# მ ა მ უ ლ ი


...თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?!

*ერის განადგურება მაშინ იწყება, როცა იგი კარგავს თავის ისტორიას!*
*ი. ჯავახიშვილი*

# ზურაბ ჟვანიას საფლავზე ვარდები დაჭკნა!




გიორგი აბდალაძის ფოტოკოლაჟი

ისტორიის დაკარგვა კი იმ სისხლის დავიწყებაა, რომლითაც დროშა შევღებეთ, ძირს არ დავუშვით და ცათა სიმაღლეებს ვაზიარეთ.

ეს დროშა ერთ დროს ქართული სიამაყის სიმბოლო იყო, - გადავაგდეთ დროშა, გაგვიქრა სიამაყეც...

თუ დამნაშავემ ყოველთვის იცოდა რაში ედებოდა ბრალი, ჩვენმა საცოდავმა დროშამ არც ახლა იცის რა დააშავა, რისთვის მოვიძულეთ...

ჩვენი ქვეყანა მთავრობებს, პრეზიდენტებს, დროშებსა და ჰიმნებს წინდებივით იცვლის... დღეს ,,იერუსალიმის დროშაზე“ დაგვახრევინეს თავი, ხვალ ალბათ ,,სვასტიკიან“ დროშას შემოგვაპარებენ. მთავარია, გერბზე უკვე უკუღმა გამოვსახეთ წმიდა გიორგი...

მერე რა, რომ დროშა გამოვცვალეთ და დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მეთაური ისევ ფრანგულ, ლევილის მიწაში დავტოვეთ და არ ვაღირსეთ ქართული მიწა...

მერე რა, რომ ლიტონ სიტყვებად აღვიქვით მისი საფლავის ქვაზე ანდერძად დატოვებული სიტყვები: ,,თუ საქართველო არ მენახოს თავისუფალი, ფერფლად ქცეული დამენახოს მთელი სამყარო“...

მერე რა, რომ თბილისის ომის შემოქმედს, ,,დიდ მხედრიონელს“ დიდუბის პანთეონის მიწა გადავაფარეთ, ხოლო დისიდენტი პრეზიდენტის ნეშტი კი, ვინ იცის, ჩეჩნურ მიწაში გვილპება...

**ჩვენ თუ ვივიწყებთ წარსულს, იქნებ გაზეთის გახუნებულმა გვერდებმა მაინც შემოგვინახოს?!**

ამიტომაც, დღეს ამ დროშასთან ერთად გაზეთის ბოლო გვერდზე ვბეჭდავთ ორიგინალდაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ფოტო-ფირს, განგაშის ზარს ვარისხებთ და ვკითხულობთ: ვინ დაკარგა ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, ნანატრი დამოუკიდებლობის აღდგენის დასტური?

**რედაქტორი**

„მამულის“ კინოდარბაზი

# პუტინის ქართველი დედა



## ლიტერატურული საქართველო გვემშვიდობება?!

## აკაკი ხორავას სენსაციური ჩანაწერები,

რომელთა დაბეჭდვაც, ლეგენდარული აქტიორის ანდერძის მიხედვით, მხოლოდ 33 წლის შემდეგ გახდა დასაშვები!

## მან ვერ იხსნა დათა თუთაშხია, მაგრამ იხსნა ნიკიტა ხრუშჩოვი!!!

ეს გახლავთ ვრცელი მოხსენებითი ბარათი, რომელიც 1960 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს - ვასილ პავლეს ძე მჟავანაძეს საქვეყნოდ ცნობილმა ერთმა ქართველმა მწერალმა გაუგზავნა და ქართველი პატრიოტები სასიკვდილოდ გაიმეტა!..



## ვის ხელშია ბედი ჩვენი, ვისაში?

ეს ჩვენი გაზეთის ახალი რუბრიკაა...
ყოველ ნომერში ამ რუბრიკის ქვეშ რედაქტორის რჩეული აზრები, რითმები თუ სიტყვები დაიბეჭდება!

## რედაქტორის რჩეული კუთხე



მედეა კახიძე

[illegible]

მე საქართველოს თბილ მიწას ვლოკავ,
მაგრამ არ ვიშლი თქვენს შორის როკვას,
ჩემი ხმა იყო ხატივით სუფთა,
და ამიტომაც დავჭირდი უფალს.
არ მითესია შური და გესლი,
მე მხოლოდ კაცის სიყვარულს ვთესდი,
არ გავკიოდი ვით ბუკნა ჭოტი,
ბულბულის ყელით უფალთან ვბჭობდი.
ანგელოზია ჩემი ხმა ფუძის,
მიწაზე ყოფნა მიტომაც უმძიმს
და, როცა ჭმუნვა გეწვევათ მძაფრი,
მე გადავაბამ გულს გულზე ძაფით.
ჩემი ხმა მშიერს მოუკლავს შიმშილს,
და ცივ ზამთარში გაათბობს შიშველს,
და ასე მუდამ კარიკარ ივლის,
ზვრებში, ჯეჯილში დაიწყებს ლივლივს.
შემოგიჯდებათ ერდოზე მერცხლად,
იმედად, ლოცვად გიტოვებთ ჩემ ხმას,
ნუ დამივიწყებთ „წინწყაროს" პატრონს,
ნუ მიმატოვებთ საფლავში მარტოს.
ვიცი, ჩემი ხმა ათას წელს გაძლებს,
გიტოვებთ ჩემს ხმას ისე ვით ანდერძს,
ჩემი ხმა იყო ხატივით სუფთა
და ამიტომაც დავჭირდი უფალს!



# ბორის წიფურიაც...

სულ ახლახან თაზო თოლორაიას სიკვდილი ვაცნეთ საზოგადოებას... ახლა ბორის წიფურიაც გვემშვიდობება...

ჩვენ არ ვბეჭდავთ გამოსათხოვარ სიტყვებს, გვსურს მხოლოდ მისი ერთი საყვარელი სადღეგრძელო წაგიკითხოთ, რომლითაც იგი ქართველებს ესიყვარულებოდა.

დააკვირდით, ეს სიტყვები უკვე ანდერძად ჩაგვესმის:

„ცხენის ფლოქვით დამსხვრეული
მარმარილოს ლოდი ნახეთ,
წინაპართა სახელები
გულში განძად ჩაისახეთ
და გახსოვდეთ სიკვდილამდე
მათი საქმე საარაკო,
საქართველოს შვილნი რომ ვართ,
ის გვეყოფა საამაყოდ!"

# ცისკარი

იქ სადაც
ცას უძებნით
კარს, გულის
კარის გაღე-
ბაც არ გაგი-
ჭირდებათ!

# მომილოცნია!

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის თავისი ისტორიული წარსულის დაფასებას და შეფასებას, მისი ტრადიციების თანამედროვეობაში დამკვიდრებას. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებად მიმაჩნია გარდასულ დროებათა ჟურნალ-გაზეთების აღდგენა.

რა დიდი სიამაყის გრძნობაა, როდესაც მკვდარი არქივის ყვითელი ფურცლები მკვდრეთით აღდგება. ამასთანავე ახალ სიცოცხლეს იწყებს ძველი სიცოცხლის ფესვებზე ჟამთა სიავისაგან მივიწყებული სახელები და დიდი ადამიანები. ისინი აღდგენილ ჟურნალ-გაზეთთა თანამშრომლებისა და მესვეურების შემოქმედებითი მადლით ცოცხლდებიან, რადგან მკითხველს ხსოვნაში შემოუნახავს დიადი თაობის ნამოღვაწარი. მადლი უხვად გადმოედინება თანამედროვე მწერლობაზეც, ეს განსაკუთრებით მაშინ, როცა საუბარია ჟურნალ „ცისკარზე", ქართულ ცაში გაღებულ კარზე.




მუხლჩაუხრელი შრომაა საჭირო, რათა ღირსეული მემკვიდრეობა გასწიოს წინაპართა ნაკვალევისა. ამდენად, თავად სულით მდიდარი დიდი პიროვნება უნდა იყო, რათა მხრებით ზიდო ამ ჟურნალის შემოქმედებითი ტვირთი. ჩვენ კიდევ, მკითხველი უნდა ველოდოთ ჟურნალ „ცისკრის" შემოქმედებითი ჯგუფისაგან საუკეთესო ლიტერატურულ და მეცნიერულ ნაწარმოებებს. მათ უნდა ვუსურვოთ, ახალ ხარისხზე აიყვანოს ჟურნალის რელიგიური მისიაც ერის წინაშე, რაც განსაკუთრებით გვჭირდება დღეს.

დღეს ღირებულის დეფიციტია, იყიდება მდორე და უხარისხო მასალა და ასეთ დროს დიდი გმირობაა შემოქმედებითი ჯგუფისაგან თავზე აიღონ პასუხისმგებლობა - რომ ამ რთულ ეპოქაში გააგრძელონ და დარჩნენ „ცისკრის" ტრადიციების ერთგულნი.

უკვე მომრავლებულ ლიტერატურულ გამოცემათა შორის, ამ „ნარევოლუციებ" ეპოქაში „ცისკარს" ხელახლად დამკვიდრებაც მოუწევს, რომელიც თავისთავად ძნელი იქნება, მაგრამ აქ უკვე ტრადიცია ითამაშებს წამყვან როლს. სამაგიეროდ, გაცილებით რთული იქნება ავტორთა თვითდამკვიდრება. ავტორთა მრავალფეროვნებაში გამორჩენებული ტალანტების შემოკრებით მიაღწევთ წარმატებას, უმთავრესად კი მკითხველთა ფართოდ გაღებულ გულისკარს.

იქ სადაც ცას უძებნით კარს, გულის კარის გაღებაც არ გაგიჭირდებათ, მჯერა!

გილოცავთ ჟურნალ „ცისკარის" აღდგენას - ამ საუკუნეობრივი დიდი ტრადიციების მქონე პერიოდული გამოცემის ახალი სიცოცხლის მიცემას, გისურვებთ შემოქმედებით წარმატებებს და მკითხველთა გულწრფელ სიყვარულს, როგორც ეს ეკადრება თქვენს და ჩვენს ჟურნალს. ჩვენც სულმოუთქმელად ველით თქვენს ახალ-ახალ ნომრებს, რადგან თვით ოკეანის გაღმითაც გგულშემატკივრობთ და გვიყვარხართ ასეთი მამულიშვილური საქმეების გამო.

**მანუჩარ კაჭახიძე,**
გაზეთ „მამულის" რედაქტორი

### პროლოგი, ანუ მერამდენედ მოტყუებული ხალხი

როდესაც ვიღაც უცხოელი ყურმოკვრით მაინც მოისმენს „ნარევოლუციებ“ საქართველოსა და მისი „რევოლუციური“ ხელისუფლების შესახებ ისეთ ანალოგიურ გულისწყრომას, როგორი პრეტენზიებითაც უყურებენ თვით „რევოლუციონერები“ პენსიაზე გაგდებულ ხელისუფლებას, თავისთავად გაორდება ამ უცხოელის შთაბეჭდილება ჩვენზე. ერთის მხრივ - ადვილი შესაძლებელია უნდობლობით მოეკიდოს იმ პოზიციას, ასე-რიგად რომ ჩასჭიდებია ოპოზიცია არსებული ხელისუფლების განკითხვისას. მოსალოდნელია მათი გამოსვლები ჩაითვალოს კარგად ნაცად ხრიკად ხელისუფლებაში მოსასვლელად. მეორეს მხრივ კი - უეჭველია, წარმოდგენა წაუხდება „რევოლუციურ“ მთავრობაზე, რადგან რა მეთოდითაც მოღვაწეობდა მისი წინამორბედი, ის მეთოდი განამტკიცეს, გააძლიერეს და არა აღმოფხვრეს. ისინიც ხომ ისეთივე სიტყვებით ებრძოდნენ „ძლიერთა ამა ქვეყნისათას“, როგორითაც ებრძვიან მას. ერთია მხოლოდ, რომ გაბითურებულია და გაბრიყვებულია მხოლოდ ხალხი. რაც შეეხება ხალხს -

ხალხი ეს-ეს იყო გამოვიდა კომუნისტური საბჭოური აზროვნებიდან, რომ თავს ახლა ახალი უბედურება დაატყდა - შევარდნაძის (თორმეტწლიანი) მეორედმოსვლა. საქართველოს ისტორიაში არ მოიძებნება თავისი სისასტიკით მსგავსი ეპოქა, რომელიც გადატვირთულიყო დამარცხებით, დაცინვით, შიმშილით, სიკვდილით, გადახვეწით, გაუდაბურებით და სხვა მრავალით. მაგრამ ყველაზე მძიმე, შეიძლება ითქვას ერთადერთი უმძიმესი და მიუტევებელი დანაშაული შევარდნაძის მეორედმოსვლის ეპოქას მიუძღვის მასში, რომ ქართველ კაცს გონებაში ჩაუნერგა დამარცხების ინსტიქტი, ე.ი. მამაკაცს ჩამოართვა მამაკაცობა - ოჯახის მარჩენალის ფუნქცია და ამით ქართულ ოჯახს არასრულფასოვნება შესძინა. ერი სულმოუთქმელად ელოდა პირდაპირი მნიშვნელობით მოხუცი ტირანის სიკვდილს...

ერის რეპუტაციაც უცხოელის თვალში დაეცა, მან არ იცის და არც ეცოდინება კარგა ხანი ქართველი ერის პოტენციალის შესახებ. მიტომაცაა, რომ ჩვენი ღირსება შელახულია თვით უცხოელებისგან - ერთნაირი ავტოავარიის შემთხვევაში საქართველოში უცხოელი იმუნიტეტით სარგებლობს და საბოლოოდ მიიპარება ამ „ველური“ ქვეყნიდან, ხოლო იგივე შეთხვევისას ქართველ დიპლომატს უცხოეთში იმუნიტეტს უხსნიან და კარგა ხნით აპატიმრებენ, ასევე მოხდა თურქეთშიც, ფეხბურთელ ბავშვთა შეჯიბრის დროს, და რომ არა სახელმწიფოთა დონეზე ამ საკითხის გადაწყვეტა, ვინ იცის რამდენი ხნით მოუწევდა ქართველ ბავშვებს ოსმალეთის ციხეში გატარება.

ამიტომაცაა, რომ გროშებზე იყიდება ქართველი მუშახელი, როდესაც სხვისთვის იგივე სამუშაო მაღალანაზღაურებადია; ამიტომაცაა, რომ ჩვენგან იაფად უნდათ, როდესაც სხვისგან ძვირად იღებენ; ამიტომაცაა, რომ სადაც ქართველის სახელს გაიგონებენ, განურჩევლად ბავშვია იგი თუ ქალი, მის სიახლოვეს აუცილებლად კრიმინალის სუნი სცემთ, არის თუ არა ეს ასე, ბოდიშსაც არ იხდიან შეცდომათა შემთხვევაში. ვერც ყბადაღებულმა „რევოლუციამ“ უშველა ქართველთა რეპუტაციას მსოფლიოს თვალში. აქ ანაზდად ქართული ანდაზა მახსენდება - „მგელს მგლობა დაუწუნეს და ტურამ ქვეყანა დააქციაო“. მაინც და მაინც ჩვენი ნეგატივი ჩანს ყველაზე მკაფიოდ საზღვარგარეთ და ეს ბინძური პიარების დამსახურებაცაა მეტწილად.

სწორედ ხალხს თავი შეძულა გარდასულმა ხელისუფლებამ თავისი მავნებლობით, სწორედ ამ სიძულვილით შეერთდა ერი და ბერი და დაიძრა პროტესტის გამოსახატავად სატახტო ქალაქში. ავანტიურისტმა შევარდნაძემ კი სწორედ ეს მასა გამოიყენა სათავისოდ, საკუთარი სამომავლო მიზნების განსახორციელებლად, რათა მას შემდეგ ისევ გაგრძელებულიყო ხანგრძლივი დროით შევარდნაძიზმი. ხალხი ისტორიულ გზისგასაყარზე ამ ბოლო ათწლეულის მანძილზე მეორედ მოტყუვდა შევარდნაძეში - პირველად მაშინ, როცა სიყვარულს ეფიცებოდნენ და ამას გადააყოლეს რუსთველის გამზირი, სამეგრელო, აფხაზეთი, სამაჩაბლო, მეორედ კი მისი სიძულვილით დაბრმავებულებმა ვერ შეიცნეს წინამძღოლში ტრიუმვირატის ნიღაბქვეშ შევარდნაძის ახალი სახე. ამით საკუთარი და საკუთარი შვილების მომავალი გასახრწნელად გაწირეს.




[illegible]

# ვის ხელშია ბედი ჩვენი, ვისაში?

**თითქმის ერთი წელია, რაც ამ წერილის დასაწერად თავს ვიკავებდი... ჩემი ქვეყანა იმედით გაცისკროვნებული თვალებით შესცქეროდა მომავალს და აბა, მე რა უფლება მქონდა, ჩემი თვალით დანახული რეალობა თქვენთვის მომეხვია... 30 ივნისს, "რუსთაველზე" პროტესტის გამოსახატად გამოსული ხალხის შეიარაღებული ჯალათებით დაშინებამ, რამაც ის სისხლიანი 9 აპრილი გამახსენა, კალამი ხელში ამაღებინა და საშინელი სიმართლისადმი თვალის გასასწორებლად განმაწყო.**

**მომიტევეთ... დრომ მოიტანა ეს ტკივილიც...**

ადრეულ წლებში თუ შევხაროდით ჩვენსეროვნულობას და ვამბობდით „ჩვენისთანა კარგი ერი არ არსებობსო“, ახლა ერთხმად შეხმატკბილებულად გავიძახით „ჩვენისთანა ცუდი ერი არ არსებობსო“. ორთავე შემთხვევაში საკუთარ თავს ვიტყუებთ, რადგან პირველ შემთხვევაში საბჭოურმა ცრუფეტიშიზმმა დაგვიუფლა, მეორე შემთხვევაში კი პოსტსაბჭოურმა ცრუნიჰილიზმმა, - და მაინც „ცრუ“ და არა „მართალი“.

სწორედ ამ ყალბი დაპირებების გამო, რომელსაც „რევოლუციონერები“ ლოზუნგებად იყენებდნენ „ვარდების როქის“ დროს, ხალხში დაიკარგა ნდობის ფაქტორი ოპოზიციური გამოსვლების მიმართ. ეს მაშინ, როდესაც მიხვდა ხალხი მოტყუებულები რომ დარჩნენ, ამით შევარდნაძემ და მისმა გაზრდილმა ავანტიურისტებმა მიაღწიეს იმას, რომ ახალი მოტყუების შიშით მოსახლეობას კარგა ხნის განმავლობაში აუარი ათქმევინეს საპროტესტო გამოსვლებზე. მიუხედავად ყველაფრისა, გულისწყრომა მაინც არის არსებული ხელისუფლების მიმართ, უმთავრესად, იმისათვის, რომ რისთვისაც შეიყარა ერი და ბერი, ის პრობლემები დღესაც სასიცოცხლო და აქტუალურია - ერი მასიურად შიმშილობს, ახალი ხელისუფლება კი ახლებურად წნეხავს ღვედებს და კანონის ფარგლებში აქცევს უკანონობას.

### კანონით დამკვიდრებული უკანონობა

აშკარად დამკვიდრდა სახელმწიფო რეკეტი, რომელსაც ახორციელებს ფინანსური პოლიცია და ყველა დანარჩენი ძალოვანი სტრუქტურა. კანონმა ხელ-ფეხი გაუხსნა მათ, რათა თავიანთი შავ-ბნელი ქმედება განამტკიცონ სამართლებრივი ფორმით. „რევოლუციამდე“ მეწარმეობა იბეგრებოდა კოლოსალური პროცენტებით, ამიტომ ყველას ჰქონდა საშუალება დაემალა სახელმწიფოსთვის უსამართლოდ დადებული ბეგარა, ე.ი. ბიზნესი გადასულიყო ქურდობის რელსებზე და ამით გაეტანა თავი, თანაც მოეღწია დღემდე. „რევოლუციის“ შემდეგ გადასახადთა რაოდენობა მართალია შემცირდა, მაგრამ გაიზარდა ტერორი მასზე. გარემოებათა მსხვერპლი ახალმა დროებამ არ დაინდო და ძველი ცოდვები მოჰკითხა, ცოდვები, რომელთა შეცოდებაც მათი იძულებითი ნაბიჯი იყო.

მძიმე საზიდარი და ხვედრი ერგო წილად ქართველ ბიზნესმენებსა და მეწარმეებს, ზოგადად ხალხს. უმრავლესობა ქვეყანაში ვითომპროლეტარიატად იქცა. სახელმწიფოსა და უცხოეთის შემწეობების შემყურე ბრბო უწყინრად და უჩივრად მიაქანებდა დროს გარდაუვალი ფინალისაკენ. სამწუხაროდ ფინალი არ შედგა. თუ დაიწერა ტიტრები და ტიტრებმა ამცნო ხალხს რაღაცის დამთავრება, აუცილებლად განახლდა შევარდნაძიზმის მეორე სერია, რომლის დასასრულობასაც პირი არ უჩანს.

ისევ გაიყინა ხალხი თავისი რბევის გამო და ისევ გაგრძელდა ქედდადრეკილი ცხოვრება.

ქვეყნის სათავეში მოვიდნენ უმწიფარი და გაუნათლებელი ადამიანები თინეიჯერული გატაცებითა და სულისკვეთებით. მოწყალე თვალებით შეჩერებიან ევრო-ამერიკის დირექტივებსა და ინსტრუქციებს. უმეტეს შემთხვევაში მათი რჩევებიც კი არ არის ყურადღებული. სასამართლო და პროკურატურა ისევ აგრესიული უმრავლესობის გავლენის სფეროს წარმოადგენს. სახელმწიფო დაკვეთებსაც წარჩინებით ასრულებენ ისინი, განურჩევლად იმისა, არის თუ არა სამართლიანი ეს დაკვეთა. გაურკვეველი ვადით შეჩერდა კერძო საარბიტრაჟო სასამართლოს მოღვაწეობა, რამაც სახელმწიფოს უსამართლობა დაადასტურა და ამით ფინანსური ზარალი მიაყენა ჯიბეგასქელებულ სახელმწიფო მოხელეებს, რომლებიც იკვებებოდნენ მეწარმეებისაგან რეკეტირებით შევსებული ბიუჯეტით...

უსუსური მდგომარეობაა კულტურასა და ხელოვნების სფეროშიც. აქ ჰყვავის უმეცრება, ღირსეული კი ჩრდილშია მოქცეული, დახლები და ესტრადა გაივსო მდარე პროდუქციით, რაც იყო, ისიც აღარ არის. გაუქმდა ქართული ფილმის ფენომენი, მაშინ, როდესაც მავანი და მავანი ცდილობს პირდაპირ დავით აღმაშენებელზე გადაიღოს ფილმი. რა სცენარით, რა რეჟისურით ამას არ აკონკრეტებენ. ჩვენ ყოველთვის გვიჭირდა ეკონომიურად, არც იმის კომფორტი გვქონდა ერთხელ გადაღებული ფილმი რამდენჯერვე სხვადასხვა ვერსიებით გადაგვეღო. ჩვენი თაობები ერთხელ გადაღებული „გიორგი სააკაძით“, „დიდოსტატის მარჯვენით“, „დათა თუთაშხიათი“ იზრდებოდა, არ გვქონდა რა საშუალება გამოგვესწორებინა ხარვეზები და დაგვეხვეწა, შეგვევსო და გაგვემდიდრებინა კინოხელოვნების გამოცდილება. ეს ყველაფერი საბჭოურ ეპოქაში თუ ხდებოდა, სადაც დაფინანსების სისტემა დედამიწის მეექვსედ ნაწილზე ვრცელდებოდა მეტნაკლებად.

მარტო დარჩენილი პატარა ერი, საკუთარი ფინანსებისა და შემწეობების შემხედვარე დავით აღმაშენებელზე რომ გადავაღებინებთ ფილმს მოწვეულ რეჟისორსა და მსახიობებს თავისი სპეცეფექტებით, ვინ მოგვცემს იმის გარანტიას, ქართული სული, დავითიან-გორგასლიანი სული შენარჩუნებული ექნება კინოპერსონაჟს, თუ გვსურს წმინდა მეფე-ხუცესი ვაქციოთ სუპერ-ბოევიკად და კოვბოური სულისკვეთება მივმადლოთ?!

- რამდენი ათწლეული უნდა გავიდეს, თუ არა ასწლეული, რომ ეს გამოუსწორებელი შეცდომა აღმოვფხვრათ თაობებში, და მაინც იმ თაობებში, რომელიც წიგნს არ კითხულობს და კომპიუტერებით აქვს დაკნინებული თავი. ისე, როგორც ჩვენ გვსურს, ამერიკელი, თუნდაც ევროპელი ვერ გადაიღებს! ყოველ შემთხვევაში ზემოთ ჩამოთვლილ ფილმებში ბევრი ხარვეზის მიუხედავად, საუკეთესოდ თვალსაჩინოდ არის წარმოჩენილი ქართული სულიერება, ეროვნული ინდივიდუალობა, რადგან მიუხედავად საბჭოური მენტალიტეტისა, ქართველები იყვნენ ბუნებით, წარმომავლობითა და შინაგანი რწმენით ქართველები...

ნდობის ფაქტორი თავისთავად ნაკლებია ამ „რევოლუციური“ „მწერლების“ მიმართაც. მაშინ როცა სრულიად უმსგავსო და უხამსო ნოველა დაბეჭდა თამარ მეფის პირველ ღამეზე „რევოლუციური“ მწერლობის პათეტიკურმა წარმომადგენელმა, ჩვენ მოვითმინეთ მისგან ეს ბეცური საქციელი, მაგრამ ვაი, რომ ეს სახელმწიფოებრივ პოლიტიკად იქცა - ტოტალური გაუნათლებლობა ქვეყანაში!

Alma Mater - დედა უნივერსიტეტი, რის შესახებაც ივანე ჯავახიშვილი ოცნებოდა, - ცოდნის ტაძარი ცოდვის ტაძრად იქცა. თუ შევარდნაძის დროს მეცნიერება თვითდინებაზე იყო მიშვებული და აყვავებას განიცდიდა წითელი პროფესურა, სააკაშვილის დროს ცოცხით ხვეტავენ განურჩევლად წითელსა თუ ყვითელ, ცისფერსა თუ შავ პროფესურას. ქვეყნის პირველი საგანმანათლებლო ცენტრი დაექვემდებარა ერთ კონკრეტულ პიროვნებას. „რევოლუციის“ მეორევე დღეს თავხედი და გაუზრდელი „კმარელები“ შეუსიეს, ეგონათ როგორც ექსპრეზიდენტს „მოერიენ“ იოლად, აქაც ასევე იოლად დაამყარებდნენ წესრიგს, - მადა ჭამაში მოდისო, ისე იყვნენ აცეტებული „გამარჯვებით“ თავბრუდახვეულები.

სამაგიეროდ, პირველი ალი-ყურის გაკვეთილები კარგად დაისწავლა შევარდნაძის ტრიუმვირატმა და ციხეც შიგნიდან გატეხეს. გაივსო საქართველო მოვალეობის შემსრულებლებით, მოვალეობას კი არავინ ასრულებს. ეს იმიტომ მოხდა, რომ ადვილად შესაძლებელი გახდა რამდენიმე შეკრებილი კასტის მიერ მოწყობილი უსამართლო აქციებისა და გაფიცვების შედეგად კანონიერად არჩეული ხელისუფლების დამხობა. ასე რომ, ვისაც მოესურვება და თვალში არ მოეწონება ლეგიტიმური ხელისუფლება, დაჯდებიან საშიმშილოდ, მოიტანენ ყურით მოთრეულ არგუმენტებს მათი კომპრომატების სახით და მოითხოვენ მათ გადადგომას, რათა მათი ადგილი დაიკავონ „მოვალეობის შემსრულებლის სტატუსით“. ამას ჰქვია ქართული ანდაზით „აპატიეს მელასაო, მოუმატა კბენასაო“.

### "მწირე, დიდი, ყველა ფლიდი, ცუღლუტი და მანკიერი"

ვიყიდებით შინ და გარეთ ნებისმიერი ხერხით. სახელმწიფო პოლიტიკა გადასულია ტოტალურ პრივატიზაციაზე, თავის ნათქვამში გაამჟღავნა ეს პოზიცია მაშინდელმა ეკონომიკის მინისტრმაც - „უნდა გავყიდოთ ყველაფერი, სინდისის გარდა“.

ამ „სინდისის გარდა“-ზე იმიტომ

მე-5 გვერდზე >>>>>>

***ზურაბ ჟვანია და რაულ უსუფოვი გაზით არ გაგუდულან! არსებობს ვერსია, რომ პრემიერ-მინისტრი კანცელარიაში მოკლეს და საბურთალოს ქუჩაზე მისი ცხედარი მიიტანეს. შემდეგ დაიბარეს უსუფოვი და, სავარაუდოდ, ისიც იარაღით მოკლეს! პროკურატურა დუმს... გამოძიების მიერ არაერთი ტყუილი ინფორმაციის გაჟღერებამ საზოგადოება და გარდაცვლილთა ოჯახის წევრები საბოლოოდ დაარწმუნა, რომ საქმე „კარგად“ ორგანიზებულ მკვლელობასთან გვაქვს. ვესაუბრებით რაულ უსუფოვის მამას იაშარ უსუფოვს.***

# იაშარ უსუფოვი: გენერალური პროკურატურა მიშა ძაძამიას ხელს აფარებს!



„ბატონ ზურაბს თავის ქალა იმიტომ ახადეს, რომ პლასტიკური ოპერაცია ჩაეტარებინათ!“





**- თუ გაეცანით დოკუმენტს, რომელიც რამდენიმე დღის წინ გენერალურმა პროკურატურამ პარლამენტს გაუგზავნა და რომელშიც არაერთი ტყუილი ინფორმაცია იყო გაჟღერებული... თქვენი აზრით, რატომ შეჰყავს პროკურატურას საზოგადოება შეცდომაში?**

- სხვათაშორის, გენერალური პროკურატურის მიერ პარლამენტართათვის დარიგებულ დოკუმენტს თქვენი გაზეთების მეშვეობით გავეცანი და უნდა გითხრათ, რომ მათ დაშვებული აქვთ გაცილებით უფრო ბევრი შეცდომა, ვიდრე იქ არის ჩამოთვლილი. ძნელი სათქმელია, რატომ იქცევა პროკურატურა ასე, მაგრამ ვფიქრობ, რომ ისინი კონკრეტულ დავალებას ასრულებენ... გამოძიება ტყუილებზეა აგებული!

**- ფიქრობთ, რომ გენერალური პროკურატურა კონკრეტული ძალების მითითებას ასრულებს?**

- ალბათ, ან ზეწოლას განიცდის, ან ვიღაცის მითითებას ასრულებს!

**- გამოდის, რომ პროკურატურა ზეწოლას პრეზიდენტისგან უნდა განიცდიდეს, რადგან ქვეყანაში გენერალურ პროკურატურაზე ზემდგომი ორგანო არ არსებობს...**

- რატომ? გარე ძალებს არ შეუძლიათ, გენერალურ პროკურატურაზე ზეწოლა მოახდინონ?

**- გენერალური პროკურატურის მასალებში წერია, რომ თქვენს შვილს დაზიანებები არ აღენიშნებოდა...**

- ტყუილია! როგორც ჩანს, ექსპერტიზას არ უნდოდა ამ დაზიანებების შემჩნევა, თორემ უბრალო გლეხებმა თუ შენიშნეს ეს, როგორ, ექსპერტებისთვის შეუძლებელი გახდა სისხლჩაქცევების დანახვა?! რაულს ყელზე მკრთალი ზოლი ეტყობოდა, მკერდის თავებზე კი ნანემსარის ტიპის ნაჩხვლეტები შეინიშნებოდა. „ნაკლეიკას“ რომ ვეძახით, ის რამეს რომ დააწებო და მერეააძრო, ასეთი შავი ლაქები ჰქონდა. რჩებოდა შთაბეჭდილება, თითქოს, ცხედარს სისხლი სდიოდა.

**- გქონდათ თუ არა კონსულტაცია ექსპერტებთან, იქნებ ეს დაზიანებები ექსპერტიზის დროს იქნა მიყენებული?**

- თავიდან ჩვენც ასე ვფიქრობდით. გვეგონა, იქნებ წვეთოვანი დაუყენეს და იმის ნაკვალევიამეთქი, მაგრამ მერე გაირკვა, რომ პირდაპირ პროზექტურაში მიიყვანეს და მათი „გადარჩენა“ არავის უცდია. ასე რომ, ეს არის „ნანემსარი“ და არა ექსპერტიზის მუშაობის ნაკვალევი.

**- როგორც ცნობილია, დაკარგულია თქვენი შვილის ნივთები...**

- ბლოკნოტი, რომელშიც რაულს ჩანაწერები ჰქონდა და მისი ავტომანქანის ტექნიკური დათვალიერების პასპორტი ახლა აღმოჩნდა პროკურატურაში, თავიდან კი გვეგონა, რომ დაიკარგა. შეიძლება ითქვას, რომ სამართალდამცველებმა ზერელედ შეამოწმეს ავტომობილი და გამომძიებელმა არც კი იცოდა, რა ამოიღეს რაულის მანქანიდან.

**- მთავარი დეტალი, რაც განსაკუთრებულად აძლიერებდა მაშინ მკვლელობის ეჭვს, იყო ის, რომ რაულს არ ეცვა ფეხსაცმელი და ის არც ბინაში აღმოჩნდა...**

- დღემდე არ გამაჩნია ინფორმაცია, იპოვა თუ ვერა პროკურატურამ რაულის ფეხსაცმელი. მკვლელობის ორგანიზატორებს, ალბათ, გაგებული ჰქონდათ, რომ აზერბაიჯანელები ფეხსაცმელს იხდიან, მაგრამ ბოლომდე ვერ გათვალეს, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ და ვერც ის განსაზღვრეს, როდის და სად იხდის ჩვენი ხალხი ფეხზე! ალბათ, ფეხსაცმელიც პროკურატურაში აღმოჩნდება... არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით, ამის შესახებ ინფორმაცია ჯერ არ გამაჩნია.

**- აქტიურად თანამშრომლობთ გამოძიებასთან?**

- ორმოცის შემდეგ პროკურატურისგან არავითარი ინფორმაცია არ მიმიღია. ახლა, წინა დღეებში დამირეკეს და მთხოვეს დახმარება, ის ხალხი მივიყვანო დაკითხვაზე, ვინც რაულის სხეულზე დაზიანებები შენიშნა...

**- ეს ადამიანები უსაფრთხოების თვალსაზრისით ერიდებიან ჩვენების მიცემას?**

- რა თქმა უნდა! მაგრამ თუ ეს უშველის საქმის გახსნას, ამით გამოძიებას პრობლემებს არ შევუქმნით და ყველანი მივლენ.

**- პრაქტიკულად, თქვენ იყავით ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც განაცხადა, რომ თქვენი შვილი და ზურაბ ჟვანია მოკლულები არიან და ეს არ იყო უბედური შემთხვევა... რატომ გაგიჩნდათ ეჭვი?**

- ითქვა, რომ რაულს თვალები ღია ჰქონდა. ალბათ, დამეთანხმებით, რომ გაზით გაგუდვის შემთხვევაში ადამიანს თვალები დახუჭული უნდა ჰქონდეს. მითუმეტეს, გაზით გაგუდვა ასე იოლად არ ხდება. ვისთვისაც უბედური შემთხვევის ვერსია დამაჯერებელია, ის, ალბათ, ჯანსაღად არ უნდა აზროვნებდეს. დღეს საქართველოში კი არა, ალბათ, მსოფლიოშიც კი არავის სჯერა იმის, რომ ეს უბედური შემთხვევა იყო, თუმცა, გენერალური პროკურატურა მაინც ჯიუტად ამტკიცებს თავისას!

**- მაინც რატომ იქცევა გენერალური პროკურატურა ასე? იმიტომ, რომ სიმართლე მიჩქმალოს თუ, უბრალოდ, არაპროფესიონალები არიან?**

- როგორც ჩანს, პროკურატურას საქმის სასწრაფოდ დახურვა სურს... სხვა რა დასკვნის გაკეთება შეიძლება?

**- ხომ არ გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ პრემიერ-მინისტრის და თქვენი შვილის მკვლელობის სცენარი „ვიღაცის“ კაბინეტში დაიწერა?**

- *(ხანმოკლე დუმილის შემდეგ)* რა თქმა უნდა! ამ საქმეს ჰყავს თავისი ორგანიზატორები და მკვლელობა წინასწარ არის დაგეგმილი, მაგრამ საკმაოდ უცოდინარი ხალხის მიერ არის ყველაფერი გაკეთებული. უზარმაზარი შეცდომები აქვთ დაშვებული. ჩვენ რომ ხმა არ ამოგვეღო და დაგვეჯერებინა, რომ გაზით გაიგუდნენ, რა არხეინად იქნებოდნენ დღეს, არა? საბედნიეროდ, საქართველო არ არის ჯუნგლების ქვეყანა და ცივილიზებულ სახელმწიფოში ასეთი ბანალური ისტორიების დაჯერება შეუძლებელია.

**- როგორ ფიქრობთ, ამ მკვლელობაში ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენლის ხელი ურევია? თქვენ ახსენეთ, შესაძლოა, პროკურატურა გარე ძალების დაკვეთას ასრულებდესო, მაგრამ დამეთანხმებით, რომ მხოლოდ გარე ძალების მიერ ამ მკვლელობის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა...**

- კონკრეტულ ადამიანებს ვერ დავასახელებ, მაგრამ ჩვენების ხელი რომ ურევია, ამაში ეჭვი არ მეპარება.

**- რატომ ფიქრობთ, რომ ჟვანიას და თქვენი შვილის მკვლელობა გარე ძალების დაკვეთაა? იქნებ ყველაფერი იმიტომ მოხდა, რომ ვიღაცას პრემიერ-მინისტრის სავარძელი სურდა ან იქნებ ვიღაცასთან ჟვანიას ფინანსური ინტერესები გადაიკვეთა?**

- არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება, თუმცა, პროკურატურა საქმის გამოძიებით არ ინტერესდება და ამტკიცებენ, რომ ეს უბედური შემთხვევა იყო. რატომ მოხდა ეს, ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩემი შვილი და ჟვანია მოკლეს. მომხდართან დაკავშირებით საზოგადოებისა და პროკურატურის მოსაზრება რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან.

**- უნდა დააყენოს თუ არა პრეზიდენტმა საქმის გამომძიებლის, მომავალში კი, თუნდაც, გენერალური პროკურორის პასუხისმგებლობის საკითხი?**

- პრეზიდენტი თანახმაა, რომ უცხოელი გამომძიებლები ჩაერთონ საქმის მოკვლევაში, მაგრამ თუ იმათაც არავინ დაუჯერებს, მაშინ რა აზრი აქვს მათ მოწვევას?

**- ექსპერიმენტი ამერიკელმა ექსპერტებმაც ჩაატარეს, მაგრამ „ეფ-ბი-აი“-ს დასკვნა რიგ ასპექტებში შეცდომით ითარგმნა და ამერიკელების მოწვევას სურათი რადიკალურად არ შეუცვლია...**

- გეთანხმებით და ამიტომაც ვშიშობ, რომ ახლაც იგივე მოხდება... ასეა, „ნათქვამია, ძაღლი აღმართს ხნავსო“. სანამ გაუვათ, ესენი თავის ვერსიას დაიცავენ... არ ვიცი, უცხოელი გამომძიებლების ჩამოყვანას აზრი აქვს? მაგრამ იქნებ ასეთი აბსურდები მაინც აღარ ილაპარაკონ, თუმცა, ქართველ სამართალდამცველებს ტყუილის თქმა ჩვევად გადაექცათ. ვითომ დემოკრატიას ვაშენებთ, მაგრამ ასეთი ტყუილებით არც დემოკრატია და არც ქვეყანა არ აშენდება.

ალბათ, საკუთარი ტყუილების პროკურატურასაც არ სჯერა, მაგრამ!.. თქვენ როგორ ფიქრობთ, საქმე გახსნილი არ არის?! მხოლოდ იმ პიროვნებების დადგენაა საჭირო, ვინც მკვლელობა შეასრულა!

**- გაქვთ ეჭვი კონკრეტულ პიროვნებებზე, ვინც ამ მკვლელობაში შეიძლება იყოს გარეული?**

- რა თქმა უნდა, არსებობს ეჭვები და კონკრეტული პიროვნებების გამოსვლებშიც ჩანს, ვინ ვისი ტყუილის გამართლებას ცდილობს!

**- სამართალდამცველებზე, მერაბიშვილზე და ადეიშვილზე აკეთებთ მინიშნებას?**

- რა თქმა უნდა! ადეიშვილის მოვალეობაა, ძიება სწორად წაიყვანოს, მაგრამ გამოძიება ბოლომდე არ დასრულებულა და მას თვითკმაყოფილების უფლება არ უნდა ჰქონდეს!

**- ძალიან ბევრი ლაფსუსი იყო „ეფ-ბი-აი“-ს დასკვნაში... ვისი მითითებით გაყალბდა ამერიკელი ექსპერტების დასკვნა - გენერალური პროკურატურის?**

- შესაძლოა, გენერალურ პროკურატურას შეგნებულად შეჰყავს საზოგადოება შეცდომაში! არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ მათ ეს ყველაფერი უცოდინარობით მოსდით, რაც ნაკლებად სარწმუნოა, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ გენერალური პროკურატურა ვიღაცის მითითებას ასრულებს!

**- გიორგი ჟვანია აცხადებს, რომ თავიდანვე საზოგადოება თავისი უპასუხისმგებლო განცხადებებით შეცდომაში ვანო მერაბიშვილმა შეიყვანა და მას მოუწევს ამის ახსნა. მისივე განცხადებით, ძალიან უცნაურად იქცევა გენერალური პროკურორი და არც მისი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას გამორიცხავს... თქვენი მოსაზრებები ამ შემთხვევაშიც ემთხვევა ერთმანეთს?**

- თავიდან მერაბიშვილი რომ გამოვიდა, განაცხადა, რომ, თურმე, ის ბინა ჩემს შვილს ეკუთვნოდა. საინტერესოა, საიდან ჰქონდა მას ეს ინფორმაცია და რატომ იცრუა?! პირველი წუთებიდანვე საკმაოდ ბევრი ტყუილი ითქვა. საიდან იცოდნენ, რომ ჩემი შვილი ჟვანიას ახლო მეგობარი იყო?! მერაბიშვილის პირველადი განცხადება იყო დირექტივა იმისა, თუ როგორ უნდა წარმართულიყო გამოძიება!

**- ბატონი ზურაბი რეგიონებს არცთუ იშვიათად სტუმრობდა, თქვენთან თუ იყო ნამყოფი? საერთოდ, ხშირად ურეკავდა რაულს?**

- არა, ჩვენთან არასდროს ყოფილა. ერთხელ რაულის პაპასთან მივიდნენ. მე პირადად მას არც შევხვედრივარ... ბატონი ზურაბი არც ისე ხშირად ურეკავდა ჩემს შვილს. გენერალური პროკურატურის დოკუმენტში წერია, რომ, თითქოს, იმ საღამოს დაახლოებით ერთ საათში სამჯერ დაურეკა ჟვანიამ რაულს, ეს სრული აბსურდია! **„ბაბთის“ სიმბარათი, რომლითაც იმ საღამოს რაულთან დაირეკა, გაცხადებ, რომ მიხეილ ძაძამიას ჰქონდა!** პროკურატურა აცხადებს, რომ ეს ნომერი ჟვანიას ჰქონდა, მაგრამ ტყუილია! ეს ტელეფონი ჰქონდა ძაძამიას! მარჯვენა ჯიბეში იდო ეს „სამსუნგის“ ტელეფონი, ხოლო მარცხენაში - თავისი მობილური და ურეკავდა ხან ვის და ხან ვის! ძაძამია კონკრეტული პიროვნებების დავალებას ასრულებდა! პროკურატურამ დაცვის წევრები რომ დააკავოს, ჩათვალეთ, საქმე გახსნილია! მაგრამ, როგორც ჩანს, დაცვამ მიიღო გარანტია, რომ მათ არ დააპატიმრებდნენ! **მე რომ გამომძიებელი ვიყო, ერთ საათში გავხსნიდი ამ საქმეს! კიდევ ვიმეორებ: ძაძამია ვიღაცის დავალებას ასრულებდა და პროკურატურა მას ხელს აფარებს!**

**- პროკურატურის დასკვნაში ისიც ეწერა, რომ ბატონმა ზურაბმა 31 დეკემბერს საღამოს დაურეკა თქვენს შვილს და ახალი წელი მიულოცა...**

- ტყუილია, ბატონმა ზურაბმა რაულს პირველ იანვარს, დილას დაურეკა. როგორც ჩანს, 31 დეკემბერს ჩემს შვილს ან ძაძამიამ დაურეკა, ან დაცვის სხვა რომელიმე წევრმა!

**- სჭირდებოდა თქვენს შვილს ჟვანიასთან კონსპირაციულ ბინაში შეხვედრა? ჰქონდათ მათ ასეთი ურთიერთობა?**

- არა, სისულელეა! ასეთი რამ არასდროს მომხდარა. როცა რაული ბატონ ზურაბს ხვდებოდა, მიდიოდა კანცელარიაში. ბევრჯერ მიკითხავს მისთვის შეხვედრის წინ, თუ სად უნდა შეხვედროდა და ვიცი, რომ ყოველთვის კანცელარიაში მიდიოდა. ასეთი რამ პირველად მოხდა და ამით დასრულდა კიდეც...

**- არსებობს ეჭვი, რომ საბურთალოს ქუჩაზე მათი ცხედრები მიიტანეს და მკვლელობა იქ არ მომხდარა...**

- ვფიქრობ, იმ ბინაში ბატონი ზურაბის ცხედარი მიიტანეს, მერე რაულს დაურეკეს, თავისი ფეხით მივიდა იქ და მოკლეს. ვეჭვობ, რომ ჩემს შვილს ჯერ ყელზე მოუჭირეს და, ალბათ, იმისი კვალი დარჩა, შემდეგ ესროლეს იარაღი, რომლის ნატყვიარიც ნანემსარივით ემჩნევა ადამიანს. არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ მის სხეულში მომწამლავი ნივთიერება ნემსით შეიყვანეს!

**- ფიქრობთ, რომ თქვენი შვილი იარაღით არის მოკლული? ითქვა ისიც, რომ პრემიერ-მინისტრიც ტყვიით მოკლეს...**

- არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. მაშინ მართლა გვჯეროდა, რომ უბედურ შემთხვევასთან გვქონდა საქმე და სანამ გონს მოვიდოდით, უკვე ყველაფერი დასრულდა... გენერალური პროკურატურის ოქმებში არ არის მითითებული, რომ ბატონ ზურაბს თავის ქალა ახდილი ჰქონდა! ჩემი შვილისთვის თავის ქალა არ აუხდიათ. ექსპერტიზას კი ნათქვამი აქვს, რომ თავის ქალა ორივეს ახადეს და ეს, თითქოს, იმიტომ მოხდა, რომ ანალიზი აეღოთ. როგორც გითხარით, რაულს თავის ქალა არ ჰქონდა ახდილი. ჩემი აზრით, **ბატონ ზურაბს თავის ქალა იმიტომ ახადეს, რომ პლასტიკური ოპერაცია ჩაეტარებინათ!** როგორც ჩანს, მას რაღაც მძიმე ნივთი ჰქონდა თავში ჩარტყმული ან, სულაც, მართლა ნატყვიარი ემჩნეოდა! რაც ახლა გითხარით, ჯერ არავისთვის არ არის ცნობილი და იქნებ ამ დეტალს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ...

**- საპარლამენტო უმრავლესობა ზურაბ ჟვანიასა და თქვენი შვილის მკვლელობაზე ისტერიული ტონით საუბრობს, თითქოს, არც მათ სურთ საქმის გახსნა...**

- ეს გასაგებიცაა... ამ მკვლელობით საქართველოს ავტორიტეტი მსოფლიოში ძალიან დაკნინდება. როგორ ფიქრობთ, საქმე რომ გაიხსნას და დადასტურდეს, რომ ჟვანია და ჩემი შვილი მოკლულები არიან, როგორ იმოქმედებს ეს ჩვენი ქვეყნის იმიჯზე? როგორი ვითარება შეიქმნება ხელისუფლებაში? რა შედეგები მოჰყვება ამას? მაგრამ თუ საქმე არ გაიხსნება და კონკრეტული პიროვნებები არ დაისჯებიან, მათ ექნებათ საშუალება, მოკლან ყველა, ვინც თვალში არ მოუვათ...

**- თქვენ ბრძანეთ, რომ ზურაბ ჟვანიასა და თქვენი შვილის მკვლელობის შესახებ გამოქვეყნებულ მასალებს გაეცანით, წაიკითხავდით პუბლიკაციასაც, როგორ შემოაგზავნეს რედაქციაში კონკრეტული დავალებით მამათმავალი... ვის ინტერესებში შედიოდა იმის მტკიცება, რომ თქვენი ვაჟი და ჟვანია გეები იყვნენ?**

- დიახ, წავიკითხე და უნდა გითხრათ, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის! პრემიერ-მინისტრის დაკრძალვაზე რომ ჩამოვედით, მძღოლი მანქანაში დავტოვეთ, მივიდნენ ვიღაცები, თითქოს, რუმინეთის თუ ბულგარეთის საელჩოს წარმომადგენლები და მძღოლის გასაგონად საუბრობდნენ: ასეთ ხალხს რა უნდა ხელისუფლებაში და რა კარგად მოხდა ყველაფერიო... ასეთი ბინძური ჭორები აღარ გვიკვირს... ეს შეიძლება, გაუნათლებელმა ხალხმა მართლა დაიჯეროს... ვინ დაიჯერებს ამას, მე არ ვიცი, ჩემი შვილი ვინ იყო? ან, იქნებ, მის მეგობრებს ჰკითხოთ, ვინ იყო რაული.

**- საზოგადოებაში მაშინვე გაჩნდა ეჭვი, რომ ეს არ იყო უბედური შემთხვევა, მაგრამ რადგან ჟვანიას ოჯახის წევრები და თქვენც დუმდით, გავრცელდა ინფორმაცია, რომ არსებობდა მასალა, რომ თითქოს თქვენი ვაჟი და ბატონი ზურაბი საძინებელში გარდაიცვალნენ და თუკი არ გაჩუმდებოდით, ეს მასალა გამომზეურდებოდა...**

- ეს სრული აბსურდია! თუ მართლები არიან, რატომ იტყუებიან გამუდმებით?!

**- სჭირდებოდა თუ არა თქვენს შვილს ვასიკო მაღლაფერიძის შუამდგომლობა იმისთვის, რომ ზურაბ ჟვანიას შეხვედროდა?**

- ესეც ძალიან საინტერესო ფაქტია. გამოდის, რომ მაღლაფერიძემ რაღაც იცის და არ ამბობს. ჩემს შვილს ზურაბ ჟვანიასთან შესახვედრად მაღლაფერიძის შუამდგომლობა ნამდვილად არ სჭირდებოდა! მაღლაფერიძე ტყუილს ამბობს! რაღაცას მალავს... შესაძლებელია, გარკვეულწილად ისიც უკავშირდება ამ მკვლელობას! ან, უბრალოდ, გამოიყენეს და მერე მიხვდა, რაც გააკეთა! ფაქტია, რომ მან რაღაც იცის და მალავს...

**- ხომ არ ყოფილა თქვენთან სატელეფონო ზარები ან მუქარა? რამდენად უსაფრთხოდ გრძნობთ თავს?**

- აღარაფერი მაქვს დასაკარგი. შვილი მომიკლეს და ამის შემდეგ რით უნდა შემაშინონ?!

*ესაუბრა*
მაია მარგველანი

მე-3 გვერდიდან

გაამახვილა ალბათ ყურადღება, რომ ამ მთავრობას სინდისი კარგა ხნის გაყიდული ჰქონდა. ასე იავარ-ქმნეს აჭარა, ასე იავარ-ქმნეს ყველა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სტრატეგიული ობიექტები.

რაც შეეხება აჭარას, ორიოდ სიტყვით მინდა ვთქვა, რომ ასლან აბაშიძის ხელისუფლების ძალადობით დამხობა იყო უკანონო და უსამართლო, თვით სააკაშვილმა მოაწყო ინსპირირება აბაშიძის რეჟიმის დასამხობად, ეს კი მისი მხრიდან ამორალური საქციელი იყო. მას სხვანაირად შეეძლო აბაშიძის ხელისუფლებიდან ჩამოცილება, მაგალითად საკანონმდებლო წნეხის ქვეშ მოექცია „მცირე ფაშა“, ან არჩევნების გზით შეეცვალა.

ამ მოვლენებმა ნათლად დაგვანახა, რომ საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტი არის სულსწრაფი პიროვნება და ქმნის არასრულფასოვანი პოლიტიკოსის შთაბეჭდილებას. მას ვერ უწოდებს კაცი ჩამოყალიბებულ, ბრძენს, თუნდაც ჭკვიანს. მასზე გასაოცრადაა ზედგამოჭრილი ქართული სიტყვა „ჩიტირეკია“. ამას მთელი მისი არსებით ადასტურებს ყველა ნაბიჯზე. იგი ვერასოდეს იქცევა ერის ზნეობრივ მაგალითად, თუმცალა „რევოლუციის“ ხანებში იგი გულწრფელად შეიყვარა ხალხმა, საკუთარი ბედი და მომავალი ანდო, და როგორც ზემოთ ავღნიშნე, ხალხი აქაც მოტყუებული დარჩა, არადა მის „რევოლუციურ“ ქმედებებს, საუბრის ლოგიკას, თვით პიროვნულადაც ადარებდნენ ზვიად გამსახურდიას, მოჰქონდათ ყურით მოთრეული პარალელები ზვიადისა და მიშას ხასიათებში.

- არ გაამართლა!

რადგან „წყალწაღებული ხავს ეჭიდებოდაო“, ხელში კი შერჩათ საეჭვო ქმედითუნარიანობისა და გონებრივი მონაცემების პატრონი, ალვირახსნილი მექალთანე და პოლიტიკური ბეცი.

ვის უნდა მიბაძოს ასეთ შემთხვევაში ხალხმა მაშინ, როდესაც თვით ოპოზიციაც თავის სათანადო და ღირსეულ სიმაღლეზე ვერ დგას?! ყველას სურს მორთმეული კეთილდღეობა, რაც საქართველოში მაინც გამოიხატება იმაში, რომ როგორმე მოტყუებისა და ცბიერების გზით მოხვდნენ პარლამენტში, უკეთეს შემთხვევაში დაისაკუთრონ თბილ-თბილი სავარძლები. ამ საკითხშიც ერთი პარადოქსული უცნაურობა სჭირს „პოსტრევოლუციურ“ და მართლაც რევოლუციის ზღურბლზე შემდგარ საქართველოს - თუ გსურს გახდე მინისტრი, უნდა გქონდეს გავლილი ევროპაში, უკეთეს შემთხვევაში ამერიკაში კოლეჯის კურსი მაინც, არაფერს ვამბობ უმაღლეს განათლებაზე, ხოლო თუ რა ჯდება ევროპაში ან ამერიკაში არათუ სწავლა, გამგზავრებაც კი, კარგად მოეხსენება როგორც ქართველობას, ასევე ნებისმიერ უცხოელს. გამომდინარე აქედან ჩვეულებრივი მოქალაქისათვის მინისტრის პორტფელი კი არა, ბაღის გამგის ადგილიც კი მიუწვდომელია. სხვა შემთხვევაში, თუ სურს ამ ნომენკლატურის კიბეზე ნელ-ნელა აცოცდეს, თავდაპირველად უნდა დააგროვოს ბევრი ფული (ცოტა არ ეყოფა ამ საქმეს), შემდეგ აუცილებლად უნდა იყოს „ნაციონალური მოძრაობის“ აქტიური (და არა რიგითი) წევრი და ბოლოს უნდა ჰყავდეს ლობი (ან პარლამენტში, ან სამინისტროში, ან პრეზიდენტის აპარატში, ერთის სიტყვით სატახტო ქალაქში და მხოლოდ სატახტო ქალაქში, ადგილობრივი წურბელები არ გამოდგებიან). თანამდებობებზე კარგა ხანია აღარ ინიშნებიან გონებრივი მონაცემებითა და პრაქტიკული გამოცდილებით ადამიანები. იყავი „ნაც.მოძრაობის“ წევრი (მოკლედ რომ ვთქვათ, ნაცისტი)? გჭერია მიტინგებზე დროშა და საჭიროების შემთხვევაში კონდახად გამოგიყენებია იგი? დაუნდობლად გიცემია შენი მოწინააღმდეგეები და მათაც უცემიხარ შენ?

- ჭრილობას მოგიშუშებენ არა წამლით, არამედ გარკვეული გავლენის სფეროების თქვენთვის ჩაბარებით, ანუ დაგნიშნავენ თანამდებობაზე - მერე გინდ ბოთლებზე დაჯექი, გინდაც... სხვა რამეზე, ამას უკვე აღარ ექნება არსებითი მნიშვნელობა.

### "მტრის არმჯკნოში, მოყვრის მგმოში, გარეთ მხეალი, შინ ძლიერი"

არსებულმა ხელისუფლებამ პირველი დარტყმა მიაყენა იმ ხალხს, ვინც „რევოლუციის“ დღეებში ალალად დაუდგა გვერდით. მან აკრძალა ბაზრობები, ამით დააზიანა ღარიბი ფენის შემოსავლის წყარო, ის რითაც წლით-წლობამდე თავი გაჰქონდა საზოგადოების დაბალ ფენას. რამდენ ბაზრობას მიადგა „ნიღბიანი“ ვინ იცის; განსაკუთრებული გულმოდგინებით დაარბიეს ამ ბოლო ხანებში რესტორანი „ნიკალა“, - საზოგადოების თავშეყრის ასეთ ადგილზე შექმნეს დისკომფორტი, სამაგიეროდ ბოდიშიც მოიხადეს და ისეთი ბოდიში, გინებაზე უარესი რომაა. გაცილებით ადრე „რევოლუციის“ გარიჟრაჟზე არნახული სისასტიკით დაარბიეს „ომეგა-ცენტრი“, მისი რბევის შედეგად ულუკმაპუროდ დარჩა საშუალო ფენა, მეტწილად მწერლები და კულტურის მოღვაწეები, რადგან „ომეგა-ცენტრმა“ დაასაქმა და საარსებო წყარო მისცა მწერლებს, მხატვრებს, მეცნიერებსა და პოლიგრაფისტებს. სამაგიეროდ ფართოდ გაუღეს კარი ისეთ უნიჭო მწერლებს, როგორებიც არიან ლაშა ბუღაძე, აკა მორჩილაძე და დათო ტურაშვილი. უხეშად ერევიან და ჯერაც ვერ წაურთმევიათ ქართველი მწერლებისათვის „მწერალთა კავშირის“ შენობა, რათა შემდგომად ამისა გადააბარონ ბენდუქიძის უწყებას და სარფიანად გაასაღონ იგი.

თუ აჭარაში ავტორიტარული რეჟიმი იყო და მას მართავდა როგორც დღევანდელი „ძლიერნი“ მოიხსენიებენ, „ტანმოკლე ფაშა“ და ადგილობრივი მოსახლეობისათვის შექმნილი ქონდა მაქსიმალური კომფორტი და საარსებო წყარო, პატრონობდა მთელ რიგ კულტურულ დაწესებულებებს, დღევანდელი მისი მონაცვლე ფაქტიურად არის „თბილისის რესპუბლიკის“ გუბერნია, სადაც თავისუფლად გზახსნილი აქვს ყველა ჯურის ავანტიურისტებს, რათა დაისაკუთრონ ედემის ბაღად ქცეული ოაზისის ყველა ღირებულებანი.

## ვის ხელშია ბედი ჩვენი, ვისაში?

სამაგიეროდ კუდქიცინა მურიებად გვევლინებიან ჩვენი „ძლიერნი“ უპირველეს მტერთან რუსეთთან, მისგან გამომდინარე აფხაზეთთან და განსაკუთრებით სამაჩაბლოს, თვითმარქვია ოსეთად მონათლულ, ყაჩაღურ მთავრობასთან, რომელთანაც გაუთავებლად და დაუზარელად მართავენ უნაყოფო მოლაპარაკებებს.

დემოკრატიის დასაცავად თვით ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც კი ძალას მიმართა და ისეთ ძალას, რომელიც უცხო ქვეყნის ანექსიისა და ოკუპაციის ტოლფასია, მაგრამ შტატებიცა და მისი მოკავშირეებიც (მათ შორის საქართველოც) ამ ნაბიჯზე წავიდნენ. შევარდნაძის მეორედმოსვლის ეპოქამ თავისი არსით დაამტკიცა სეპარატისტებთან მოლაპარაკებათა გამართვის უნაყოფობა. ომით წართმეული არასოდეს მშვიდობით არ დაბრუნებულა. პირიქით, პავლე მოციქული გვასწავლის - „ვინაც აღიღოს მახვილნი, მახვილითვე წარიწყმიდოს“...

### ჩვენისთანა ბედნიერი კიდევ არის სადმე ერი?

ასე და ამრიგად „რევოლუციამ“ თავისი შვილები შეჭამა და ისე შეჭამა, რომ ამბის გამკითხავი არც კი დატოვა. დაიშალა „ტრიუმვირატი“ - დასამარებულია ჟვანია, კუთხეშია მიგდებული ბურჯანაძე, ოქროს ხანას განიცდის სააკაშვილი. ასე იყო ოდითგან, ყველა „ტრიუმვირატი“ ერთმანეთს ჭამდა, რათა ერთი დარჩენილიყო ძლიერთაგანი. იულიუს კეისარმა გადალახა რუბიკონი, რათა გამართლებულიყო ტრიუმვირატის დაშლა, მაგრამ იგი იულიუსი იყო თავისი ეპოქის დიდი პროგრესული მოაზროვნე, რასაც ვერ ვიტყვით სააკაშვილზე. მას წინ უდევს ენგური, რათა გაამართლოს შევარდნაძის ტრიუმვირატის დაშლა.

ხალხი? ხალხი აღარ იკითხება;

ერი? ერი აღარ იჯერიება;

ილიამ ჯუზეპე ჯუსტის „ლოკოკინას“ (ლექსი) შთაგონებით შექმნა თავისი შედევრი „ბედნიერი ერი“. ეს ჯუზეპე ჯუსტი გარიბალდელი პოეტი იყო. ევროპაში იმ პერიოდში მოდაში იყო რევოლუციური მოძრაობისადმი მხარდაჭერა, მაგრამ ჩვენგან განსხვავებით მაშინ დიდი ადამიანები აზროვნებდნენ, ახლა კი ავანტიურისტები.

**რედაქტორი**

ირინე მუმლაძის
# ქართული სტუდია
გთავაზობთ ქართულ ფილმებს სახლში მიღებით

- ❑ არაჩვეულებრივი გამოფენა
- ❑ ბეღურების გადაფრენა
- ❑ სამოთხის გვრიტები
- ❑ ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი
- ❑ დავით გურამიშვილი
- ❑ დღე უკანასკნელი დღე პირველი
- ❑ დათა თუთაშხია
- ❑ ბებერი მეზურნეები
- ❑ დიდოსტატის მარჯვენა
- ❑ ვერის უბნის მელოდიები
- ❑ თეთრი ბაირაღები
- ❑ კიდევ ერთი ქართ. ისტორია
- ❑ კეთილი ადამიანები
- ❑ გზა მშვიდობისა ჯაყო
- ❑ თოჯინები იცინიან
- ❑ კოჯრის ტყის სიზმრები
- ❑ იმერული ესკიზები
- ❑ მაცივარში ვიღაც იჯდა
- ❑ მე, ბებია, ილიკო და ილარიონი
- ❑ მერცხლები და ბეღურები
- ❑ ოცნებების სასაფლაო
- ❑ პირველი მერცხალი
- ❑ პილიგრამობა ევროპიდან იერუსალიმამდე
- ❑ რაც გინახავს ვეღარ ნახავ
- ❑ რაჭა ჩემი სიყვარული
- ❑ როცა აყვავდა ნუში
- ❑ სამანიშვილის დედინაცვალი
- ❑ სიყვარული ყველას უნდა
- ❑ საბუდარელი ჭაბუკი
- ❑ საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი
- ❑ ოთარაანთ ქვრივი
- ❑ პირველი სიყვარულის შვიდი ისტორია
- ❑ ხევსურული ბალადა
- ❑ წითელი პატეფონი
- ❑ ჩემი მეგობარი ნოდარი
- ❑ მარადისობის კანონი
- ❑ ქართული სამზარეულო
- ❑ ქართული მულტფილმები 1,2
- ❑ „არტ-იმედი“ კრებული
- ❑ აჭარა მიუზიკლ-ჰოლი
- ❑ თეიმურაზ წიკლაური
- ❑ დათო ხუჯაძე
- ❑ ივერიას იუბილე
- ❑ ივერია – ფიროსმანი
- ❑ იუმორინა 2004
- ❑ იუმორინა „ოქროს შემოდგომა“
- ❑ იუმორინა 2005
- ❑ ანსამბლი „კელაპტარი“
- ❑ ნანი ბრეგვაძის იუბილე
- ❑ ნატო გელაშვილი
- ❑ მღერის ნინო ქათამაძე
- ❑ ანსამბლი „რუსთავი“
- ❑ ვახტანგ ტატიშვილის იუბილე
- ❑ ქართული ვიდეო-კოქტეილი
- ❑ ქართული კლიპები
- ❑ ფრიდონ სულაბერიძე-60
- ❑ ჯემალ სეფიაშვილი
- ❑ საახალწლო ამბავი 2002
- ❑ აბეზარა
- ❑ ბაში-აჩუკი
- ❑ ფეოლა*
- ❑ ფესვები
- ❑ ჭრიჭინა
- ❑ არსენა
- ❑ თხუნელა
- ❑ კუკარაჩა
- ❑ ლაზარე
- ❑ ლაქა
- ❑ აღდგომა
- ❑ მამლუქი
- ❑ მანანა
- ❑ განაჩენი
- ❑ გარიგება
- ❑ ლოლიტა
- ❑ მიმინო
- ❑ ლონდრე
- ❑ ნერგები
- ❑ ნინო
- ❑ სერენადა*
- ❑ სპირალი
- ❑ ქაჯანა
- ❑ ქვევრი*
- ❑ რეკორდი*
- ❑ შნო*
- ❑ შერეკილები
- ❑ ფიროსმანი
- ❑ ჩარი-რამა
- ❑ მონანიება
- ❑ პასპორტი
- ❑ ჩვენი ეზო
- ❑ მოდი ნახე
- ❑ წიგნი ფიცისა
- ❑ მოკვეთილი
- ❑ ნატვრის ხე
- ❑ ნუცას სკოლა
- ❑ მაცი ხვიტია
- ❑ ხევისფერი გოჩა
- ❑ ხარება და გოგია
- ❑ წერილი ნაძვებს
- ❑ არსენას ლექსი
- ❑ ცისკრის ზარები
- ❑ ღიმილის ბიჭები
- ❑ ცეკვა ზღაპარში
- ❑ ჩაკლული სული
- ❑ უძინართა მზე
- ❑ ცისფერი მთები
- ❑ ქალაღდის ნავი
- ❑ ქეთო და კოტე
- ❑ ღვინის ქურდები*
- ❑ სხვისი შვილები
- ❑ მაია წყნეთელი
- ❑ აკაკის აკვანი
- ❑ გლადიატორი*
- ❑ მზე შემოდგომის
- ❑ ჯარისკაცის მამა
- ❑ კუჩხი ბედინერი
- ❑ გლახის ნაამბობი
- ❑ კვალი ნათელი
- ❑ გიორგი სააკაძე
- ❑ უდიპლომო სასიძო
- ❑ მთვარის მოტაცება
- ❑ მხიარული რომანი

ფილმის ღირებულებაა 10$, ვარსკვლავით აღნიშნული მოკლემეტრაჟიანი ფილმის ღირებულება 5$, საფოსტო მომსახურეობა ნებისმიერი რაოდენობის შეკვეთაზე 4$, უნდა მონიშნოთ თქვენთვის სასურველი ფილმის უჯრედი, შეავსოთ ეს ანკეტა, ამოჭრათ, დაურთოთ ჩეკი ან მანი ორდერი IRINE MUMLADZE-ს სახელზე და გამოგზავნოთ შემდეგ მისამართზე:

(თქვენი სახელი და გვარი)

(სახლის ნომერი და ქუჩა, Apt N)

(ქალაქი, შტატი, Zip-კოდი)

(საკონტაქტო ტელეფონი)

**I. Mumladze Studio**
614 Pawler PL.
Philadelphia, PA 19116

(267) 474-9273

# ჟვანია პრეზიდენტად მინდოდა!

***ზურაბ ჟვანიას ბურუსით მოცული გარდაცვალების შესახებ საზოგადოებაში ერთი გამოკვეთილი აზრი მუსირებს - ზურაბ ჟვანია მოკლეს! თუმცა, პოლიტიკოსები ამ ფაქტს სხვადასხვაგვარად ხსნიან. ხელისუფლება ცდილობს, ბოლომდე დაამტკიცოს, რომ ქვეყნის მეორე პირი უბედური შემთხვევის მსხვერპლია... ოპოზიციური სპექტრი კი ცალსახად ადასტურებს, რომ ჟვანია მოკლულია და მავანი მკვლელობის შემკვეთად ხელისუფლებას მოიაზრებს!..***

***პრემიერ-მინისტრის გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალების შესახებ საქართველოს ექსპრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს ვესაუბრებით, რომლისთვისაც უბედური შემთხვევის ვერსია დაუჯერებელია.***




**იცით, თვითონ ამ ტერმინს ვერ ვიტან! რა რევოლუცია იყო ეს?! თანაც - ვარდების?! ავტომატებით და ჯოხებით შემოიჭრნენ პარლამენტში და დაარბიეს იქაურობა, ეს არის „ვარდების რევოლუცია“?!**

*** * ***

**„კატეგორიულად მიუღებელია, პრეზიდენტი და მთავრობის თავმჯდომარე კონსპირაციულ ბინებში დადიოდნენ. მაგალითად, მე 7 წელი ვიყავი შს მინისტრი, შემდეგ - ქალაქკომის მდივანი, მერე - 15-18 წელი ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ამდენი წელიწადი - პრეზიდენტი და ჯერ არ მქონია შემთხვევა, რომ კონსპირაციულ ბინაში მივსულიყავი“.**

**- გაიხსენეთ, როგორ მოვიდა პოლიტიკაში ზურაბ ჟვანია და რა თვისებებით მიიქცია მან თქვენი განსაკუთრებული ყურადღება?**

- ჩვენი ურთიერთობა პარლამენტში თანამშრომლობითა და თანამოაზრეობით დაიწყო. მოგეხსენებათ, პარლამენტის თავმჯდომარეც ვიყავი და სახელმწიფოს მეთაურიც, ასე რომ, ძალიან მჭირდებოდა გონიერი ადამიანების მხარდაჭერა და ზურაბი ყოველთვის მხარს უჭერდა იმ კურსს, რომელიც ჩემ მიერ იყო შემუშავებული. ჟვანია ყურადღებას, პირველ რიგში, თავისი ორატორული ნიჭით იქცევდა. გამოირჩეოდა ლოგიკური გამოსვლებით და ამიტომაც არ გაუჭირდა პარლამენტში მოხვედრა.

იმ პერიოდში ძალიან დატვირთული ვიყავი და პარტიისთვის დრო თითქმის არ მრჩებოდა. როცა ზურაბი კარგად გავიცანი, რეკომენდაცია გავუწიე და „მოქალაქეთა კავშირის“ გენერალურ მდივნად ავირჩიეთ. თავმჯდომარედ მე ვითვლებოდი, მაგრამ პარტიაში პოლიტიკური ცხოვრება ზურაბის მეთაურობით მიმდინარეობდა. მის პატიოსნებაში, კეთილსინდისიერებასა და ერთგულებაში ეჭვი არასდროს შემპარვია. არც უღალატია არასდროს.

**- როდესაც თქვენ შორის რაღაც უთანხმოება არსებობდა, თქვენ მიდიოდით კომპრომისზე თუ ჟვანია?**

- მართლაც იყო შემთხვევები, როდესაც ჩვენ შორის არსებობდა გარკვეული უთანხმოება და კომპრომისზე ხან ერთი მივდიოდით, ხან - მეორე, მაგრამ ეს განსაკუთრებით მწვავედ მაშინ გამოიხატა, როდესაც ჟვანიასა და კახა თარგამაძეს შორის მოხდა განხეთქილება...

**- მაშინ თქვენი და ჟვანიას გზებიც გაიყარა...**

- არა, რატომ? მაშინ უთანხმოების სხვა მიზეზებიც არსებობდა. გეხსომებათ „რუსთავი-2“-ში ჩატარებული არაკვალიფიციური შემოწმება და აქტიური მოწოდება ხალხის მობილიზაციისკენ. მაშინ მართლაც ბევრი ადამიანი გამოვიდა ქუჩაში და იძულებული გავხდი, მიმეღო გადაწყვეტილება მთავრობის გადაყენების შესახებ. მაგრამ ზურაბი რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ თარგამაძე მის წინააღმდეგ მუშაობდა, არადა, ასეთი რამ არ ყოფილა. კახა იყო მაღალკვალიფიციური მუშაკი, ძალიან მაგარი პროფესიონალი და ზურაბის მიმართ არცთუ ანტაგონისტურად განწყობილი. **თარგამაძეს უთქვამს კიდეც: ვერ გავიგე, რა დავუშავეო...** აქ მართლაც გაუგებარი რამ მოხდა და ჩემთვის დღესაც ძნელია ამისი ახსნა. საერთოდ, ზურაბი არ ყოფილა კონფლიქტური. პირიქით, ძალიან მოქნილი პოლიტიკოსი იყო და იმათთანაც კი, ვისთანაც მიჭირდა ურთიერთობა, ზურა ყოველთვის გამონახავდა ხოლმე საერთო ენას. სხვათაშორის, ერთი კარგი თვისებაც ჰქონდა, როცა ატყობდა, რომ რაღაცაში ვცდებოდი, მაშინვე მეუბნებოდა.

**- ბატონო ედუარდ, „მოქკავშირის“ მაშინდელ ლიდერთა განცხადებით, მათთვის დაგივალებიათ, რომ „მწვანეები“ აუცილებლად შეეყვანათ პარლამენტში, რადგან თქვენთვის ეს გერმანიის „მწვანეებს“ უთხოვიათ...**

- სხვათაშორის, საქართველოში მწვანეთა პარტია არ იყო მრავალრიცხოვანი, მაგრამ ევროპაში პოპულარობით სარგებლობდა. „მწვანეებს“, ძირითადად, ზურაბი წარმოადგენდა. მან შესანიშნავად იცოდა უცხო ენა და კარგად ერკვეოდა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში. ამიტომაც იყო ევროპის მრავალ ქვეყანაში მის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი. გერმანიის „მწვანეებთან“ ზურაბს მართლა კარგი ურთიერთობა ჰქონდა და, თუ არ ვცდები, ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი სწორედ მისი მეშვეობით გავიცანი. მაგრამ ჟვანია არცერთი გარეძალის გავლენით არ მოხვდა პარლამენტში. მასზე ჩამომიყალიბდა მოსაზრება და მიმაჩნდა, რომ ის პარლამენტში უნდა ყოფილიყო და ეს არასდროს დამიმალავს.

**- არ გწყინდათ, ოპოზიციაში გადაბარგებული ჟვანია რომ გაკრიტიკებდათ?**

- არ იყო ის ისეთი ოპოზიცია, რომელიც რაღაც პრობლემებს მიქმნიდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გვქონდა განსხვავებული შეხედულებები, მთელ რიგ საკითხებში მაინც თანამოაზრეებად ვრჩებოდით. ჩვენ ერთმანეთს ვავსებდით...

**- პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი აცხადებს, ჟვანია შევარდნაძის გვერდით რომ მდგარიყო, „ვარდების რევოლუცია“ არ მოხდებოდაო...**

- იცით, თვითონ ამ ტერმინს ვერ ვიტან! რა რევოლუცია იყო ეს?! თანაც - ვარდების?! ავტომატებით და ჯოხებით შემოიჭრნენ პარლამენტში და დაარბიეს იქაურობა, ეს არის „ვარდების რევოლუცია“?! არ ვიცი, არ შემიმჩნევია, მაშინ ზურა მონაწილეობდა ამაში თუ არა, ყოველ შემთხვევაში, დარბაზში არ დამინახავს.

**- ქუჩაში იდგა...**

- შეიძლება ქუჩაში იყო, ალბათ, თანაუგრძნობდა მის მეგობრებს...

**- ჟვანიას გარდაცვალებიდან უკვე ხუთი თვე გავიდა... გჯერათ, რომ იგი უბედური შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა?**

- პირველად, როცა ეს ამბავი გავიგე, მეც ვთქვი, რომ ეს ძალიან ჰგავდა უბედურ შემთხვევას. მაგრამ მერე მივედი იმ დასკვნამდე, რომ ეს ყველაფერი ნაკლებად ჰგავს უბედურ შემთხვევას. საერთოდ, ზურაბი ძალიან ფრთხილი და წინდახედული კაცი იყო და ვერაფრით გამიგია, რისთვის დასჭირდა მას კონსპირაციულ ბინაში მისვლა?! ამაზე პასუხი არ არის გაცემული. კატეგორიულად მიუღებელია, პრეზიდენტი და მთავრობის თავმჯდომარე კონსპირაციულ ბინებში დადიოდნენ. მაგალითად, მე 7 წელი ვიყავი შს მინისტრი, შემდეგ - ქალაქკომის მდივანი, მერე - 15-18 წელი ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ამდენი წელიწადი - პრეზიდენტი და ჯერ არ მქონია შემთხვევა, რომ კონსპირაციულ ბინაში მივსულიყავი. ამიტომაც აქ ბევრი რამაა საეჭვო. აქვე ისიც უნდა გითხრათ, რომ მჯერა, სააკაშვილი გულწრფელად განიცდის მომხდარს და მის განცხადებებში რაიმე ორპირობას არ უნდა ჰქონდეს ადგილი. თუმცა, არ ვიცი, როგორ, რა ტექნოლოგიით მუშაობენ საქმის გახსნაზე. ჩემს დროს ასეთი რამ როცა ხდებოდა, მართალია, მთავრობის თავმჯდომარე არ მოუკლავთ, მაგრამ როცა რაღაც მნიშვნელოვან დანაშაულთან გვქონდა საქმე, იქმნებოდა ბრიგადა ყველაზე მაღალკვალიფიციური კადრებით. თუ ასეთი ბრიგადა არ არსებობს, მაშინ ეს საქმე ძალიან ძნელად გაიხსნება... თვით გამოძიების პროცესის მიმდინარეობასაც სჭირდება კონტროლი, რა თქმა უნდა, მე გამოძიებაში ჩარევას არ ვგულისხმობ.

**- საგამოძიებო ჯგუფი არსებობს, მაგრამ ჟვანიასა და უსუფოვის ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ გამოძიება არაფერს აკეთებს იმისთვის, რათა საქმე გაიხსნას... უფრო მეტიც, გიორგი ჟვანიამ პროკურატურა დაცვის წევრების ადვოკატადაც მოიხსენია...**

- ვერც პროკურატურას და ვერც სხვა რომელიმე ორგანოს ვერ დავაბრალებ, რომ საქმის გახსნა არ სურთ და რაღაცის მიჩქმალვით არიან დაინტერესებული, მაგრამ **გიორგი ჟვანიას განცხადება საყურადღებოა და იმაზე მიანიშნებს, რომ ხელისუფლებამ უკეთ უნდა ჩაიხედოს საქმეში.** საერთოდ, ქვეყანა შეძრული უნდა იყოს იმით, რომ დაიღუპა ახალგაზრდა კაცი, ქვეყნის მეორე პირი და თანაც ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში. ასე შეიძლება 10 წელი გაგრძელდეს გამოძიება და საქმე არ გაიხსნას. მეტი ტემპია საჭირო. პრეზიდენტმა კი გააკეთა რამდენჯერმე განცხადება, მაგრამ **რატომ არ ტარდება პრესკონფერენციები?! რა სტადიაშია გამოძიება? რატომ ასაიდუმლოებენ ყველაფერს?!** შეშფოთებული გახლავართ მარტო იმიტომ ვარ, რომ პრემიერ-მინისტრი დაიღუპა, არამედ იმიტომაც, რომ ხელისუფლებაში ყველაზე საიმედო ადამიანი გარდაიცვალა. მიშას საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, პრეზიდენტია და... მაგრამ **რომ არ გადავმდგარიყავი, მიშა პრეზიდენტი ხომ ვერ გახდებოდა? როცა გადავდექი, მაშინ რომ მცოდნოდა, თეორიულად მაინც რომ დამეშვა, ჟვანიას რამე მოუვიდოდა, ალბათ, არ გადავდგებოდი და შეიძლება, სისხლიღვრაზეც წავსულიყავი,** რადგან ზურაბის ყველაზე დიდი იმედი მქონდა...

**- ერთ-ერთ ტელეგადაცემაში განაცხადეთ: იმედი მქონდა, პრეზიდენტი ჟვანია გახდებოდაო... იქნებ, ამან დააჩქარა პროცესები?**

- არა, ასეთი რამ ნამდვილად ვთქვი და ამას ძალიან ვიწრო წრეში ადრეც ვამბობდი. პირველ რიგში, ჟვანიაზე ვფიქრობდი და არჩევანს ყოველთვის მის სასარგებლოდ ვაკეთებდი.

**- თქვენ ეს განცხადება გადადგომიდან რამდენიმე თვის შემდეგ გააკეთეთ და მოგვიანებით ჟვანია გაზით გაიგუდა...**

- *(ხანმოკლე დუმილის შემდეგ)* მე თუ დამაბრალებთ ყველაფერს...

**- თქვენს განცხადებას ხომ არ მოჰყვა იმ წრეების ლოგიკური რეაქცია, ვისაც კატეგორიულად არ სურდა ჟვანიას პრეზიდენტობა?**

- ეს განცხადება ხმამაღლა მაშინ რომ გამეკეთებინა, როცა პრეზიდენტი ვიყავი, მართლა დიდ აურზაურს გამოიწვევდა, მაგრამ გადამდგარი პრეზიდენტის სიტყვებს რა მნიშვნელობა აქვს? ახლა თუ იმას გულისხმობს ვინმე, ამერიკელები შევარდნაძეს უჯერებენო, უნდა გითხრათ, რომ მთლად ასე არ არის. ხომ ნახეთ, ბუში არ შემხვდა თუ, ვერ გეტყვით, არ შემახვედრეს! მერიასთან ტრიბუნაზე 15-20 კაცი ხომ მაინც იჯდა, ხომ შეეძლოთ, ჩემთვისაც დაეძახათ? აქედან რა დასკვნის გაკეთება შეიძლება? ვიღაცას ეშინოდა, შევარდნაძემ ამერიკელებთან კავშირი არ განაახლოსო. რა განახლება მინდა... ახლა გერმანიაში რომ ჩავალ, ვიცი, მკითხავენ, რატომ არ იხსნება ჟვანიას საქმეო?..

**- რას უპასუხებთ?**

- *(პაუზა)* ასეთი საქმე რომ გაუხსნელია, ეს დიდი ტრაგედიაა საქართველოსთვის. მაგრამ მარტო ჩვენი ქვეყანა ხომ არ არის გამონაკლისი? მაგალითად, კენედი ერთ-ერთი უბრწყინვალესი პრეზიდენტი იყო, მოკლეს და დღემდე არ არის გამოძიებული. ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ჟვანიას საქმესთან დაკავშირებით არცერთი შეკითხვა არ დარჩეს პასუხგაუცემელი. იმ დოკუმენტში, რომელიც პროკურატურამ პარლამენტს გაუგზავნა, 18 შეუსაბამობა აღმოაჩინეს, მაგრამ პროკურატურის ამ ტყუილებზე პასუხი არავინ გასცა. ასეთი გულგრილობის გამო საზოგადოება ეჭვებით ავადდება. რატომ უნდა ფიქრობდეს ვინმე, თუნდაც, ხუთი კაცი, რომ ჟვანიას მოკვლა თუ გაგუდვა ვიღაცას სჭირდებოდა?! საერთოდ, **მეჩვენება, რომ ძალიან მალე ჩაქრა ჟვანიას გარდაცვალების ამბავი და ეს ძალიან მაშფოთებს.**

**- ვრცელდება ინფორმაცია, რომ გარდაცვალებამდე რამდენიმე დღის წინათ ჟვანია თქვენ შეგხვდათ... რაზე ესაუბრეთ პრემიერ-მინისტრს?**

- არა, არ შევხვედრივარ. ამერიკაში გამგზავრებამდე ზურაბი ტელეფონით მესაუბრა. არ ვიცი, ჩემს ტელეფონს უსმენენ თუ არა, ალბათ, - კი. ქალაქის ტელეფონზე დამირეკა, მაშინ ჩართული იყო, შემდეგ გამორთეს, ახლა, მგონი, აღადგინეს.

**- რატომ? დავალიანების გამო?**

- ალბათ, მარტო ერთ ტელეფონზე რომ ვილაპარაკო (*იცინის*). ზურაბმა რომ დამირეკა, მკითხა: რა შეიძლება მოხდეს ამერიკაში ისეთი, რაც ჩემთვის მოულოდნელი იქნებაო. ვუპასუხე: შენთვის იქ მოულოდნელი არაფერი იქნება-მეთქი. თუ გკითხავენ, - შევარდნაძე რატომ გადადგა და თქვენ როგორ მოხვედითო? ამაზე პასუხი გაქვს, - ის კაცი თავისი ნებით გადადგა და ხელისუფლება ჩვენ ჩავიბარეთ-თქო. მერე ერთ დეტალზეც ვესაუბრე: ჩემამდე მოვიდა ხმა, რომ ხელისუფლების ერთ ნაწილს ნავთობსადენის და გაზსადენის პროექტების ჩაშლის სურვილი ჰქონია. თუ ასეთი რამ მართალია, ამას აუცილებლად გკითხავენ-მეთქი, რადგან ამერიკელები ამ პროექტებში არანაკლებ აქტიურად იყვნენ ჩართული, ვიდრე მე და ალიევი.

**- რა გიპასუხათ?**

- არის აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ უმრავლესობა მხარს უჭერს და არც საბოლოო გადაწყვეტილებამდე მივსულვართო...

**- რატომ იყვნენ ამ პროექტების ჩაშლით დაინტერესებული?**

- ეშმაკმა იცის მაგათი თავი... *(იცინის)* რა ვიცი, რატომ იყვნენ ამ პროექტების წინააღმდეგი. მე და ალიევმა ნახევარი სიცოცხლე შევწირეთ მის განხორციელებას.

**- ზურაბ ჟვანიას მკვლელობის ერთ-ერთ ვერსიად სწორედ ნავთობსადენის გარშემო არსებული აჟიოტაჟი სახელდება. მავანის მტკიცებით, ჟვანია ამ პროექტის ბოლომდე განხორციელებას ლობირებდა, სამაგიეროდ, აქტიურობდნენ მისი ოპონენტებიც...**

- როცა ზურაბი ამერიკიდან დაბრუნდა, დამირეკა და მითხრა, რომ მასთან ამ საკითხზეც უსაუბრიათ. ვიცე-პრეზიდენტი ჩეინი ძალიან არის დაინტერესებული ნავთობით. როგორც ვიცი, მასთან შეხვედრა არ იყო დაგეგმილი... მთავარი საკითხი, რაზეც ჩეინს გაუმახვილებია ზურაბთან შეხვედრის დროს ყურადღება, სწორედ ნავთობსადე-

25-ე გვერდზე >>>

## მანუჩარ კაჭახიძე

# ხვალ რომ [illegible]!

შემოდგომის ქარი მიჩუმებულ ბაღებსა და ბილიკებს დაირბენდა, აღაშფოთებდა ჩაძინებულთ და სადღაც, სულის სიღრმეში აატირებდა. მერე რომელიღაც სახლს მიენარცხებოდა და დროდადრო ჩაწყნარდებოდა. ზოგჯერ აზვავდებოდა, პატარა ქუჩებს შემოირბენდა, ზღვაზეც გაინავარდებდა, აამთაგორებდა ტალღებს, ქაფს ნაღველივით მოადენდა. შემდეგ თოვლი მოვიდოდა და საპატარძლო მანდილივით ეხურებოდა სახლის სახურავებს ფანტელები. ხეებზე ბეღურები შემოსხდებოდნენ, არც არას მღეროდნენ, არც არას იტყოდნენ, იჯდნენ მობუზულები და ელოდნენ შესაშური მოთმინებით გაზაფხულს. ქარი თეთრ ქარავანს ერეკებოდა ხშირად, ზღვაც დროდადრო ამოიგმინებდა, გაახსენებდა ყველას, რომ არსებობდა.

ხშირად წარმომიდგებოდა თვალწინ - ღამის მყუდროებაში სანთელი, ფანჯრებიდან მაგიდა... მაგიდასთან შაოსანი. ის ყოველთვის რაღაც ჩანაწერებს ფურცლავდა, ეფერებოდა კიდეც მათ და ცრემლებს მოიწმენდა. ასე კითხვაში ზეზეულად ათენ-აღამებდა, ხშირად იმ ფურცლებთან მჯდომარეს ჩასთვლემდა კიდეც. გაღვიძებულს თავზე დასთენებოდა, გაიღიმებდა მწარედ, ეტყობოდა ტკბილ სიზმრებს ჰხედავდა.

„ამ ქალს შვილი მოუკლესო“, - ამბობდნენ ქალები.

„სულ ბავშვი იყოო“, - ამასაც ამბობდნენ ხოლმე.

„სულ უცოდველი იყოო“, - ამას იშვიათად ამბობდნენ.

„შვილს შვილი ჰყავდაო“, - ამას თითქმის არ ამბობდნენ.

„შვილს გულისმურაზი ან ცოლი ჰყავდაო“, - ამას სულ არ ამბობდნენ.

* * *

საბრალო მოხუცებული ზრდიდა თავის დაობლებულ შვილიშვილს, ზრდიდა მამის ანდერძით. ხშირად უამბობდა მის შესახებ, ბავშვსაც უყვარდა -

მამა,

დედა,

და ყველა, ვინც მის გულს მისწვდებოდა. მამის და დედის სულს იფიცებდა. ჯეროდა, რომ ისინი ოდესღაც არსებობდნენ. მამა ენატრებოდა, მამის წყურვილი წყუროდა...

* * *

ბუთხუზი ბიჭი;

ჭკვიანური და ზღაპრულ ტალღებს გაყოლილი ზღვისფერი თვალებით;

შავი ხუჭუჭი თმები და წარბ-წამწამიც შავი;

გოგოსავით ლამაზი და მიმზიდველი ტუჩები;

გულუბრყვილო გამოხედვა;

უეცარი გაბრაზება და მალე მისი გადავიწყება;

ბავშვური სიცელქე - აი, ეს იყო და ეს, მისი გულისთვის შეალია მოხუცმა ისედაც გამწარებული სიცოცხლე და თუ რაიმეთი სულდგმულობდა, ეს ბიჭუნა იყო.

თავად ერთი მხნე დედაკაცი ყოფილა. შვილის სიკვდილმა მოტეხა; ცხოვრებისეულ ქარტეხილებს მხოლოდ თვალები გადაურჩა,

მხოლოდ თვალები ბრწყინავდა, მხოლოდ თვალებს შერჩენოდა ახალგაზრდობა,

... და თვალებში ბუდობდა ის ტკივილი, რომლის ამოკითხვაც ერთეულებს თუ შეუძლიათ მხოლოდ. ნაადრევმა სიბერემ იელვა მის თავზე, მაგრამ მაინც მხნედ იდგა, რადგან მის უკან ცხოვრება ბრწყინავდა.

წლები თავისას შვებოდა.

ბიჭუნა გაიზარდა, დამშვენდა და დავაჟკაცდა. მამის კვალს გაჰყვა - უყვარდა პოეზია, მგონი თავადაც წერდა, სიყვარულზე ყველაზე მეტად. ბებიაც მადლობას სწირავდა უფალს, გულში კი ფარული შიში მაინც ჰქონდა. ბიჭიც გრძნობდა ამ შიშს.

ერთხელ გოგოც კი მიიყვანა სახლში, მეგობრად გააცნო ბებიას. ახალგაზრდები მორცხვობდნენ მოხუცის წინაშე, ის კი იღიმოდა.

როდესაც სუფრასთან დასხდებოდნენ, სამი თეფში იდო მაგიდაზე, ამათგან ერთი - სუფთა.

ბიჭს მამის ნაწერების კითხვა უყვარდა. ხელში აიღებდა გაყვითლებულ რვეულებს, სათუთად გადაშლიდა, დახედავდა ნაღვლიანი სიამაყით.




თვალს გადაავლებდა ასოთა მოხაზულობას და დაიწყებდა კითხვას. ზოგჯერ ცრემლები მოერეოდა კითხვის დროს, ხან მალავდა ამ ცრემლებს, ხან არა; მათში ეძებდა მამის ცხოვრებისეულ მრწამს. სწავლობდა კიდეც ბევრს იმ ნაწერებიდან. ალბათ გაიფიქრებდა კიდეც - „ნეტა ცოცხალი მყავდეს მამაო“, თანატოლებისიც შურდა მშობელთაგან დაობლებულს.

ბებიას აუღრესად დიდ პატივს სცემდა, უმშობლობა რომ არ აგრძნობინა, ხვდებოდა კიდევაც, რომ რაღაცას მალავდა სამუდამოდ. ალბათ სურვილიც აეკვიატებოდა ჩასწვდომოდა ამ სიღრმეს, მაგრამ იცოდა, რომ ბებიას გული დახურული იყო და უკანასკნელ იმედად იქნებ მამის ნაწერები რჩებოდა. ბებიას თანდასწრებით იმ ნაწერებს არასოდეს კითხულობდა, არ ვატკინო გულიო, არც საუბრობდა მამის შესახებ მასთან, ის თუ თავად არ იტყოდა რამეს.

* * *

ერთხელ ბიჭმა სადღაც სათუთად მიმალული მამის ნაწერები იპოვა. იპოვა წერილიც, რომელიც სიკვდილის დღით იყო დათარიღებული. წერილში ეწერა:

*„რომ დავსვამ ბოლოს*
*ცხოვრების წერტილს,*
*ან ბოლო ლექსზე*
*რას იტყვი ნეტა?!*
*დამენათები კელაპტარივით,*
*რადგან საყვედურს*
*ვერ მეტყვი, დედა!*

გამარჯობა!!! იცი, როგორ მენატრები?!

ჩემი ამბავი შენ არ იცი, არც არის ალბათ საჭირო. ნუ შეშინდები, დედა. ეხლა გმართებს დაიჭირო თავი ისე, როგორც არასდროს. არ ვიცი დავათავებ თუ არა ამ წერილს. მე ვიმალები. ჩემი გამოჩენა არ შეიძლება, ნადირობაა გამოცხადებული ჩემზე. თუ მოგივიდეს ცნობა, შენი შვილი სამშობლოს მოღალატეაო, არ დაიჯერო. ხომ არ დაიჯერებ?! სამშობლოს ღალატი შენი ღალატია, აბა მითხარი შენ როგორ გიღალატებდი. უიარაღო ხალხს ესროლეო, უფროსმა მიბრძანა, როგორ მესროლა, ბევრი მათგანი ხომ ჩემი თანატოლი იქნებოდა. რა უნდა მეთქვა დედამისისთვის, ვისაც ჩემი ტყვია მოხვდებოდა. ჩემთვის რომ ესროლათ, შენ რას ეტყოდი? არ გამამტყუნო, დედა!

უფროსებმა მითხრეს, ესენი შენი მტრებიაო. არა მგონია მართალი თვალები და სიკვდილისათვის შეგებებული მკერდები ვინმეს მტრები ყოფილიყო.

ჩემს გარდა იქ სხვებიც იყვნენ. იმ სხვებს ჩემსავით არ უფიქრიათ...

მარტო შენი მჯერა და შენც თუ ვერ გამიგე, თავს მოვიკლავ. მაშინ მივხვდები მხოლოდ, რომ მართლა მოღალატე ვყოფილვარ. არც ვამუქებ და არც ვაღიავებ მდგომარეობას: სიცოცხლის გადარჩენის უკანასკნელი წუთები შეიძლება ამ წერილის წერის დროს იწურება. მე მგონია ამ წერილით უფრო დიდი ცხოვრება დაიწყება: ცხოვრება სიკვდილის შემდეგ.

შენგან შორს, მოცილებით, რუსეთის ყინულიან ტრამალებში გამითხრიან სამარეს ისე, რომ შენი დატირებაც არ მეღირსება. ბედნიერი ქალი ხარ, დედა, - არავის სიძულვილი გულში არ გაგიტარებია. მე კი რა ვქნა, რამდენი გული უნდა მქონდეს, რომ ამდენი შეურაცხყოფა ავიტანო. ქართველი რომ ვარ, ალმაცერად მიყურებენ, ჩემზე ნადირობის ერთი მიზეზიც ქართველობაა ალბათ.

ჩვენთან ერთი ქართველი ბიჭია, იმას გამოვატან თუ შევძლებ ამ წერილს, თორემ ფოსტით არ მოგივა...

იცი, როგორ მენატრები, დედა!!! როგორ მიყვარხარ, ეს სიყვარული არასოდეს მიგრძნობებია შენთვის. მოვკვდები და ამ დარდს წავიღებ სამარეში.

ამ წერილს საშინელი სულიერი ტკივილების და ალბათ სიკვდილის მოახლოვების ქვეშ ვწერ. მინდა მოგესიყვარულო, დედა. მე ახლა ვტირი, რადგან შენს მაგიერ უტყვ ქაღალდს ვეალერსები. ერთი შენი თავი დამანახა და მერე მომკლა თუნდაც. თუკი რამე შემიცოდებია შენდამი, მხოლოდ დღეს მაპატიე, გევედრები (ჩვენი ქალაქი მახსენდება: ზღვა, თოლიები, გემები - ზღვის ჰორიზონტზე ჩამავალი მზე).

როგორ გაგიმწარე ცხოვრება, ძვირფასო დედა.

მამამ მიგვატოვა. ეს კითხვაც მიღრღნის გულს - ნეტა როგორ მიიღებს ჩემს სიკვდილს მამა.

გუშინ ღმერთი გამომეცხადა სიზმარში. ისეთი ბაბუა არ იყო, როგორსაც მხატვრები ხატავდნენ. უბრალო ადამიანის მსგავსი იყო, ისეთი, როგორიც ჩვენ ვართ ყოველდღიურ ცხოვრებაში, თითქოს არაფრით არ გამოირჩეოდა ჩვენგან. ვერც მივხვდებოდი ღმერთი თუ იყო. მხოლოდ ერთით იყო სხვა ჩვენგან - ღვთაებრივი ნარნარი ხმა ჰქონდა, თვალები ელავდა, როგორც ცის მანათობელნი. ასეთი უბრალო და მიმზიდველი იყო ღმერთი.

მკითხა: „პოეტო, თქვენ სიტყვის არდამთავრება გჩვევიათო“... - არ დაასრულა სიტყვა, რომ უმალ შევეპასუხე: - „არდამთავრებული არა,ართქმული კი უამრავი...“

„ცოდვა ყოფილა შენი სიკვდილი, ყმაწვილო, მაგრამ თქვენ ყველა ადვილად იმეტებთ ერთმანეთს, სასიკვდილოდ კეთილსაც და ბოროტსაც ადვილად წერთ სიკვდილზე, ადვილი გგონიათ ის. ჯერი რომ დაგიდგებათ სიკვდილის, მაშინ ყველას გეშინიათ მისი...“ და გაუჩინარდა.

შემდეგ ანგელოსები გალობად ჰკინძავდნენ ღმერთის სიტყვებს. გამომეღვიძა,შიშმა შემიპყრო,სიკვდილის შიშმა. ესეც მითხრა: „კეთილშობილი შიში - მადლიაო; და სიკვდილის შიშიც ადამიანთა ხვედრიაო“.

ღმერთმა პოეტი მიწოდა, დედა!

თურმე პოეტის გული სხვანაირად ძგერს. იგი არ ემორჩილება ამქვეყნიურ კანონებსა და დოგმებს, ამიტომ მათი განკურნება ძალზე ძნელი ყოფილა, დედა. გამოცდილი ექიმებიც კი უძლურნი არიან, - გესმის რა უპირატესობაა:

როდესაც ექიმს ჰგონია პოეტის გული მშვიდი, მაშინაა ის ბობოქარი და აზვირთებული;

როდესაც ექიმი მკაცრ დიაგნოზს სვამს, სწორედ მაშინაა გალაღებული ის;

როდესაც ექიმს უკანასკნელი იმედები ამოეწურება, ის მაშინ იწყებს ახალ და გმირულ ცხოვრებას;

როდესაც ექიმს ჯავრადაც არა აქვს პოეტის გული, სწორედ მაშინ ადის ის თავის უკანასკნელ და საბედისწერო გოლგოთაზე;

... და მაინც პოეტის გულს აქვს დიდი უპირატესობა, - საიდუმლო ბურუსში გახვეული, არავინ იცის როდის მოევლინება კაცობრიობას;

როდესაც ექიმი დარდობს მასზე, უკანასკნელი თავის თავს მსხვერპლად სწირავს სხვებს, ზოგჯერ უაზროდაც, მაგრამ სწირავს;

როდესაც ექიმს სძინავს, გულს ჰლვიძავს, დაივლის მასავით სხვა დაავადებულ გულებს და უკურნებს თავისი სიცოცხლის ფასად. ეს ექიმებს არ შეუძლიათ;

რასაც ექიმი ებრძვის, პოეტი გულღიად ხვდება. ღვინოს და სიგარეტს რომ კრძალავს ექიმი, ის არ იცის თუ რამდენი შედევრი შექმნილა თამბაქოს კვამლით აგზნებული გულითა და ღვინით აჩქეფებული სისხლით. მან არ იცის, რომ ვითომდა ამ „სასიკვდილო მავნებლობის“ აკრძალვით, კრძალავს თვით პოეტის სიცოცხლეს.

ბინძური ხელებით არ უნდა შევეხოთ პოეტის გულს.

... და მეც, ყველას და ყველაფრის მოტრფიალეს მხოლოდ სიმბოლური სიკვდილი მერგება წილად: შენ რომ ზღაპრებს მიყვებოდი, იმ ზღაპრებიდან მოვა ალბათ ის ბოროტი თოფიანი კაცი და იმ კურდღელივით მომკლავს, უძლური და კეთილშობილი რომაა. მერე ამ მკვლელს ჯილდოებს მისცემენ და გმირადაც გამოაცხადებენ. სასაცილოა არა?!!

ზოგს ჩემი ასეთი სიკვდილიც შეშურდება, რას იზამ, ხარბია კაცის გული.

ჩვენში გაზაფხულია ეხლა. ხეები კვირტებს შლიან უკვე, აქ კი წვიმებია და თოვლი - გაზაფხულამდე აქ ჯერ შორსაა. ხვალ ხომ შენი დაბადების დღეა, დედა, და ამ წერილით და ჩემი სიკვდილით გილოცავ მას.

შენ მასწავლიდი: „ადამიანი მცენარეა, ღვთის მიერ დარგული მცენარე. ძნელია მისი ცხოვრება, რამეთუ მოვალეა თავისი გაშლილი ტოტებით თუ აფეთქებული სიყმაწვილის ყვავილებით, დილის ნამიანი ბალახით თუ ვარდის საამი სურნელით დაატკბოს დაააყვავოს ქვეყანა. თუ ის ამ მოვალეობის გრძნობას მოკლებულია, თვალში ცუდი მოსახვედრია, წამლავს გარემოს.

ადამიანის ერთი წუთი ცხოვრება ერთ საუკუნე სიცოცხლეზე ძვირია“-ო!

ვკვდები ისე, რომ არც შვილი მყავს და არც ძირი. არ მინდა კერია გაცივდეს ჩემი სიკვდილით. ნურც ჩემს სიკვდილს დაიჯერებ, დედა: იშვილე ერთი პატარა ბუთხუზი ბიჭი, რომელსაც არ ეყოლება დედ-მამა, მადლი ჰქენი და გაზარდე ჩემს სახელზე. მადლი არ დაგეკარგება. ვგონებ, რომ ბიჭმა უხერხულად არ იგრძნოს თავი, დამალე ეს წერილი, ან სულაც დასწვი. შეაყვარე „მამამისი“ რამდენადაც შეძლება გექნება. ამით შენ ერთ წუთ სიცოცხლეს ერთ საუკუნე ცხოვრებად აქცევ, მერწმუნე დედა!

ეხლა კი მომწყინდა ამდენი მალვა. ალბათ ხვალ გავალ სამალავიდან და ვეტყვი იმ თოფიან კაცს: „აქა ვარ და მომკალიმეთქი!“

მაპატიე ეს სიკვდილი, დედა. მშვიდობით...“

* * *

მეგობარმა მიუტანა ეს წერილი დედას. გახარებული შეეგება იგი სტუმარს. ჯარისკაცი კი თვალს არიდებდა, გაქცევას ლამობდა. არსად არ გაუშვა იმ ღამით შვილის თანამებრძოლი, აქ გაათიე და ხვალ წადიო. რომ

25-ე გვერდზე >>>

*იმ დღეს, როცა თბილისში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში (უმცროსი) ჩამობრძანდა, ქართველი ერი კიდევ დიდხანს გაიხსენებს. გაიხსენებს, როგორც... თუმცა, ჩვენ რა ვიცით, ან საიდან უნდა ვიცოდეთ, რა მოხდება, ან რას იტყვიან მომავალში... იმ ბედნიერ დღეს კი, 2005 წლის 9 მაისს, მართლაც გულისფანცქალით, დიდი ფაციფუცითა და ბუნდოვანი იმედებით ელოდებოდნენ საქართველოში. მარშრუტებზე, სადაც ყველაზე საპატიო სტუმარს, ვინც კი ოდესმე ღირსებია საქართველოს, უნდა გაევლო, აგებდნენ ასფალტს, ალამაზებდნენ და ღებავდნენ სახლების ფასადებს და, მართალია, ეს ყველაფერი ცოტა უგემოვნოდ და უხარისხოდ გამოსდიოდათ, მაინც დიდი ენთუზიაზმი იყო გამეფებული მთელ ქალაქში.*

# ხმალს არ მოიხსნის ქართველი, არა!



ყველაზე დიდი მღელვარება ღია ცის ქვეშ სახელდახელოდ მოწყობილ სცენებზე იგრძნობოდა, სადაც პრეზიდენტის დასახვედრად ქართული ხალხური ცეკვები და სიმღერები უნდა გაემართათ და თუმცა არავინ იცოდა, ინებებდა თუ არა ბატონი ბუში ამ ადგილებზე შეჩერებას, ან თუნდაც მისი ჯავშნიანი ავტომობილის ტყვიაგაუმტარი და ჩამუქებული შუშებიდან შეხედვას მაინც, სამზადისი მეტად დაძაბული და შფოთვა-ფორიაქით აღსავსე იყო.

გიორგი და მისი პარტნიორი ნინო დიდი სახელმწიფო ანსამბლის ნორჩ მოცეკვავეთა ჯგუფის ის სოლისტები იყვნენ, რომლებიც, მიუხედავად ყმაწვილური ასაკისა, უკვე უბადლო შემსრულებლებად ითვლებოდნენ ულამაზესი, მაგრამ მეტისმეტად რთული ცეკვისა - „ქართული“. ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის, ომარ მხეიძისა და ლატავრა ფოჩიანის, ფრიდონ სულაბერიძისა და იამზე დოლაბერიძის შემდეგ ეს ცეკვა არავის შეუსრულებია ისე ლაზათიანად, შინაგანი ცეცხლითა და გარეგნული თავშეკავებით, როგორც ეს შესანიშნავი წყვილი ასრულებდა, რომლებსაც ქართული ხალხური ცეკვის ამომავალ ვარსკვლავებად მიიჩნევდნენ.

ბუშის ჩამოსვლის წინა პერიოდში, მთელი ერთი თვის განმავლობაში, ნორჩ მოცეკვავეთა გუნდი ყოველდღიურ, რამდენიმესაათიან რეპეტიციებს გადიოდა. ყმაწვილები ხვდებოდნენ, რომ მათთვის მართლაც უდიდესი პატივი იყო, მსოფლიო პრეზიდენტისთვის (როგორც ქართული პრესა-ტელევიზია უწოდებდა) ეჩვენებინათ თავიანთი ხელოვნება. ისინიც თავდაუზოგავად და ენერგიის სრული მობილიზებით ცდილობდნენ ყოველი ილეთის, ყოველი დეტალის დახვეწას. ასჯერ, ათასჯერ იმეორებდნენ იმ ნიუანსებსაც კი, რომლებსაც ზედმიწევნით სრულყოფილად ფლობდნენ და, დიდი გამარჯვების მოლოდინით ფრთებშესხმულნი, კი არ ცეკვავდნენ, დაფრინავდნენ სცენაზე.

პრეზიდენტის ჩამობრძანებამდე ერთი კვირაღა იყო დარჩენილი, ამერიკიდან ჩამოსულმა სპეცსამსახურის წევრებმა საკონცერტო სამზადისი რომ ნახეს და, როცა ძველ ქართულ ტანსაცმელში - ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი და ქამარ-ხანჯლით აღჭურვილი ამდენი მომღერალი და მოცეკვავე იხილეს, თავზარი დაეცათ.

- როგორ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ამხელა შეიარაღებით უნდა შეხვდეთ? - ბოლომდე თავგადაპარსულ შავკანიან გოლიათებს ისედაც განიერი და დაჭყეტილი თვალები კიდევ უფრო გაუფართოვდათ. ყოველ მათგანს მარჯვენა ყურიდან ამოსული წვრილი, დახვეული მავთული უჩანდა, რომელიც შავი ქურთუკის საყელოში უჩინარდებოდა.

- ეს შეიარაღება კი არა, მამაკაცის ეროვნული ტანსაცმლის შემადგენელი აუცილებელი ატრიბუტია, - მორიდებით სცადეს, განემარტათ მათთვის, თუ რასთან ჰქონდათ საქმე.

- ეს მეტრიანი ხანჯლები ტანსაცმლის ატრიბუტია? - გაკვირვებას ვერ მალავდნენ დაუპატიჟებელი სტუმრები, - არა, ამგვარ ატრიბუტს ვერ დავუშვებთ! - მოკლედ მოჭრეს მათ საუბრის ბოლოს.

საგონებელში ჩავარდნილმა ქართულმა მხარემ არ იცოდა, რა გამოსავალი ეპოვა შექმნილი ვითარებიდან. ქართული სიმღერის შესრულება ევროპული ტანსაცმლითაც მოხერხდებოდა, მაგრამ ქართული ცეკვა ეროვნული ტანსაცმლის გარეშე ჯერ არავის მოსვლია აზრად. ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ ქართული ჩოხა ქამარ-ხანჯლის გარეშე იგივეა, რაც ევროპული ფრაკი გახამებული მანჟეტებისა და საყელოს ან ყელსახვევის გარეშე, მაინც გადაწყვიტეს, მომღერალი და მოცეკვავე მამაკაცებისთვის ქამარ-ხანჯალი შეეხსნათ და ისე გამოეყვანათ სცენაზე.

9 მაისს, საღამოს, პრეზიდენტ ბუშს ელოდნენ, 8 მაისს, საღამოს კი, გენერალური რეპეტიცია იყო დანიშნული.

მასობრივი ცეკვა, რომელიც ქართული დუეტით მთავრდებოდა, დაიწყო. უქამროდ და უხანჯლოდ დატოვებული ჩოხოსნები, მიუხედავად იმისა, რომ თავბრუდამხვევად ბზრიალებდნენ ცერებსა და მუხლებზე, ქართული ცეკვისთვის დამახასიათებელ ეფექტს ვერ ახდენდნენ, მათ სამოსს ისეთი დეტალი აკლდა, ურომლისოდაც მათი ცეკვაც და აღკაზმულობაც ნაკლოვანის, დაუსრულებლის შთაბეჭდილებას ტოვებდა და ყოველი მათგანი შინაგანადაც შეურაცხყოფილად და გალახულად გრძნობდა თავს...

დასრულდა ცეკვის მასობრივი ნაწილი, მოცეკვავე გოგო-ბიჭებმა სცენაზე დიდი წრე შეკრეს, სცენის მარცხენა მხარეს, რამპასთან ახლოს, ყველაზე ტანკენარს, თეთრად მოქათქათესა და ცისკარივით მოღიმარ შავთვალწარბა ნინოს მორცხვად და მომლოდინედ დაეხარა თავი, ხოლო სცენის მარჯვენა შორეულ კუთხეში ჯერ კიდევ სრულიად ნორჩი, მაგრამ ტანსხლეტილი, შავჩოხიანი და ქორივით გამხდვარე გიორგის ფიგურა გამოიკვეთა...

წავიდა ქართული დოლის მტკიცედ ნაკვეთი, მაგრამ საოცრად ჰაეროვანი რიტმი და, იმ წუთს, როდესაც გიორგი მთელი მისი მამაკაცური სინატიფით უნდა დაძრულიყო მომლოდინე-მოიმედე ნინოსკენ, რომელიც სცენის კიდეზე სუნთქვაშეკრული და განაბული იდგა, თითქოს წაიფორხილა რიტმმა, შებორძიკდა მუსიკა და ვერ გადმოდგა ნაბიჯი, ვერ წამოვიდა გიორგი.

- სტოპ, სტოპ! - წამოიძახა და მარჯვენა ხელის მკვეთრი მოძრაობით შეაჩერა მუსიკა ავანსცენაზე მდგომმა ქორეოგრაფმა, - რაშია საქმე, გიორგი? - მიაჩერდა თავჩაღუნულ მოცეკვავეს, მაგრამ გიორგი მოკუმულ ტუჩებს იკვნეტდა და ხმას არ იღებდა.

ქორეოგრაფი ახლოს მივიდა, ნიკაპზე მოჰკიდა ხელი, ჩაღუნული თავი ააწევინა. შავი თვალებიდან ნაპერწკლები სცვიოდა გიორგის, ფერმკრთალი სახე წამოსწითლებოდა.

- რაშია საქმე? - გაუმეორა კითხვა.

- ვერ ვიცეკვებ, - დაიჩურჩულა, - ვერ ვიცეკვებ, არ შემიძლია.

- გამაგებინე, რა არ შეგიძლია? - რაღაც წარმოუდგენელისა და გაუგებარის მოლოდინში ოდნავ შეუკანკალდა ხმა ქორეოგრაფს.

- არ შემიძლია, უქამროდ... უხანჯლოდ...

- რა თქვი? - შეძრწუნება გაისმა ქორეოგრაფის ხმაში, როგორ თუ არ შეგიძლია, შენ გესმის, რას ამბობ?

- არ შემიძლია, - გაიმეორა გიორგიმ, - არ შემიძლია, ჩოხა მეცვას და ქამარი არ მეკეთოს, რაღაცა მემართება, მე თვითონ არ ვიცი, რა არის ეს, - ლამაზი სახით მისჩერებოდა და მისი საქციელის ახსნას ცდილობდა უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი ყმაწვილი.

- გიორგი, - დაყვავება სცადა ქორეოგრაფმა, - გიორგი, ახლავე აგიხსნი ყველაფერს. ეს ამერიკელებმა გადაწყვიტეს. ხომ არ შეიძლება ამერიკის პრეზიდენტს ცხვირწინ ხანჯლები ვუტრიალოთ, შენ ეს არ გესმის, პატარა ხარ... მერე გაიგებ, - ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზებით ცდილობდა, აეხსნა ის, რაც მთლად კარგად თვითონაც არ ესმოდა.

- არ ვიცი, - თქვა გიორგიმ, - უქამროდ და უხანჯლოდ ვერ ვიცეკვებ! - მტკიცე იყო ნათქვამი.

- იცეკვებ, - უფრო მტკიცედ უთხრა ქორეოგრაფმა, - მარტო საქართველო კი არა, მთელი მსოფლიო შემოგყურებს, იცეკვებ!..

ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ სცენაზე გიორგის სკოლის დირექტორი, განათლების მინისტრი, კულტურის მინისტრი და გიორგის დამნაშავესავით გაწითლებული მშობლები იდგნენ უკვე.

- ეს ამბავი გიორგისგან არ მოდის, ამას სხვა ფესვები აქვს, - ამბობდა განათლების მინისტრი და სკოლის დირექტორს ალმაცერად უყურებდა.

- ჩვენ ვიცით, ვინც თესავს და აღვივებს ანტიამერიკულ განწყობილებას საზოგადოებაში, - კვერს უკრავდა მას კულტურის მინისტრიც, - მთლად აიშვეს თავი რუსულმა ძალებმა, - პოლიტიკურ შეფასებას აძლევდა იგი ამ, როგორც თვითონ უწოდებდა, სამარცხვინო ინციდენტს და წარამარა ერთსა და იმავეს გაიძახოდა, - მეხუთე კოლონა, მეხუთე კოლონა...

- მოდი აქ, - თავისთან იხმო გიორგი მამამისმა, ჭაღარაშერეულმა, მაღალმა, ახოვანმა მამაკაცმა, რომელსაც ცოტა ძველმოდური, ჩამოგრძელებული ბაკენბარდები ჰქონდა.

გიორგი დაემორჩილა ბრძანებას.

- შენი ახირების გამო აქ სკოლის დირექტორი და მინისტრები მობრძანდნენ, ახლავე ბოდიში მოიხადე მათ წინაშე და უთხარი, რომ იცეკვებ! - მამის ტონი გაღიზიანებული და კატეგორიული იყო.

გიორგი ცოტა ხანს თავდახრილი იდგა და დუმდა, მერე თავი ასწია, მამას თვალები გაუსწორა და დაბეჯითებით თქვა:

- უქამროდ და უხანჯლოდ არ ვიცეკვებ!

- რა? - ისე აღმოხდა მამას, თითქოს საკუთარ ყურებს არ დაუჯერაო, - რა თქვი? ვის უბედავ, შე ლაწირაკო? - აფეთქდა იგი ერთბაშად და ხელუკულმა მოწყვეტით სთხლიშა სახეში გაჯიუტებულ შვილს. გიორგი წაიქცა, გახეთქილი ტუჩიდან სისხლი, თვალებიდან კი ცრემლები წასკდა. დედამ იკივლა და წაქცეულ შვილს მივარდა.

- რატომ კლავთ, რატომ? - კიოდა იგი, - რომელი ტერორისტი ეგ ნახეთ, ქამარ-ხანჯალს რომ ხსნით, არ გრცხვენიათ? მოცეკვავე ბავშვების თუ ეშინია, რატომ ჩამოდის საერთოდ, დაგვანებოს თავი... - უკვე ამერიკის პრეზიდენტს გადასწვდა გულდათუთქული დედა.

- რა სისულელეს როშავ?! - ჩააკმენდინა ხმა გაცეცხლებულმა ქმარმა. ვიღაცამ წყალი შემოარბენინა, გიორგის სისხლი ჩამოჰბანეს და დამშვიდება დაუწყეს.

შეშფოთებულმა მინისტრებმა სცენა დატოვეს და ქორეოგრაფთან ერთად სახვალიო გეგმის შედგენას შეუდგნენ.

- გიორგი ნამდვილად არ იცეკვებს, ძალიან ჯიუტი და თავნება ბავშვია, - ამბობდა ქორეოგრაფი.

- ხედავთ, როგორ მუშაობენ? - კვლავ ანტიამერიკული ძალებისკენ იშვერდა ხელს კულტურის მინისტრი.

ბოლოს შეთანხმდნენ, რომ ქართული ცეკვა „კინტოურით“ შეეცვალათ, „კინტოურის“ კარგი შემსრულებელი ყმაწვილიც ჰყავდათ და, რაც მთავარია, იქ ხანჯალი არ იყო საჭირო.

- ბუშისთვის სულერთი არ არის? გინდა „ქართული“ აჩვენე და გინდა „კინტოური“, - იხუმრა ცოტათი გათამამებულმა ქორეოგრაფმა, მაგრამ მინისტრების კუშტ მზერას რომ წააწყდა, გაჩუმება არჩია...

იმ საღამოს გიორგის მშობლებს დიდი უსიამოვნება ჰქონდათ.

- ამდენი ხანია, ამ „ნაციონალებს“ დავდევ, - შეწუხებული იყო გიორგის მამა, - თუ რამეს მივაღწევ, ჩემთვის ხომ არ მინდა, მისთვის მინდა, არა?! - ყვიროდა იგი და სასოწარკვეთილებამდე მიდიოდა, - როგორი გახარებული ვიყავი, ბუშისთვის საჩვენებელ ცეკვაზე მთავარი სოლო პარტია უნდა შეესრულებინა, არ ჩამიყარა ყველაფერი წყალში?! შენ კიდევ, ვერ გააჩუმე ენა, იმ ორი დეგენერატის თანდასწრებით ბუშზე საყვედური რამ გათქმევინა? - არ დაინდო მან ქართველი მინისტრებიც.

- მერე, მაგ დეგენერატებისთვის მიკლავ შვილს? - არ ეპუებოდა ცოლი, - შე კაცო, რუსეთის პრეზიდენტი, რა, ბუშზე ნაკლებია, ჩვენი ელჩი ორმეტრიანი ხანჯლით რომ გაეჭიმა მიღებაზე? იმას დაცვა არ ჰყავს? ჰყავს, მაგრამ მათ აზრადაც არ მოსვლიათ არც ელჩის და არც ქართული ეროვნული ტანსაცმლის შეურაცხყოფა, ამერიკელებმა კი სულში ჩაგვაფურთხეს და ნამუსი აგვხადეს... - ამ სიტყვებით იგი გაეცალა ქმარს და გიორგის საძინებელში შევიდა. გიორგი ლოგინში ჩაწოლილიყო, გახეთქილი და გასიებული ტუჩი სტკიოდა და უხმოდ ტიროდა. აცრემლებული დედა გვერდით მიუწვა და დამშვიდება დაუწყო, მაგრამ დედის მოფერებაზე გიორგის გული ამოუჯდა და უხმო ტირილი ქვითინით შეეცვალა, მერე სლოკინიც დაერთო, სუნთქვა გაუძნელდა და ქოშინებდა. დედა ხედავდა, თუ როგორ იტანჯებოდა მისი ცამდე მართალი ბიჭი, როგორ ახრჩობდა უსამართლობის განცდა და ძალმომრეობის ტკივილი, მაგრამ ვერაფრით ამშვიდებდა, თვითონაც ღაპაღუპით სცვიოდა ცრემლები, უდანაშაულოდ ნაცემსა და შეურაცხყოფილ შვილს გულში იკრავდა.

გიორგის დიდხანს არ დაეძინა, მაგრამ მერე, გვიან, როდესაც, როგორც იქნა, თვლემა მოერია, ერთბაშად კოშმარების სამყაროში აღმოჩნდა...

ჯერ იყო და, ყოველი საგანი, რომელსაც მიუახლოვდებოდა, ცოცხლდებოდა და მოძრაობას იწყებდა. უფორმო და სახიჩარი არსებები დაბობღავდნენ ირგვლივ, ხან თვალები სცვიოდათ ბუდეებიდან და იმ თვალებით ხარბად ათვალიერებდნენ გიორგის, ხან გრძელ ენებს უყოფდნენ და შემზარავი ხითხითით დასცინოდნენ, მერე კვლავ პირვანდელ ფორმას იბრუნებდნენ, ჩვეულებრივი საგნები ხდებოდნენ... შემდეგ ჰაერი დამძიმდა, გაიშვიათდა და სუნთქვა გაჭირდა. საიდანღაც წამოსულმა შავმა ბურუსმა მზე დაფარა. თანდათან დიდდებოდა და ახლოვდებოდა ეს ბურუსი. აღმოჩნდა, რომ შავი ფრინველების უზარმაზარი გუნდი უახლოვდებოდა თბილისს. არწივებივით ვეებერთელა ფრინველები იყვნენ, მაგრამ უცნაური და საკვირველი ის იყო, რომ ადამიანების სახე ჰქონდათ. იღიმებოდნენ, ლაპარაკობდნენ კიდეც, ოღონდ გიორგისთვის გაუგებარ ენაზე. უშველებელ, შავ ფრთებს ატყლაშუნებდნენ, ნელა ეშვებოდნენ ქალაქის თავზე. ნარიყალაზე მოიყარეს თავი, ქართვლის დედას შემოესივნენ, თავსა და მხრებზე ასხდებოდნენ, მკერდს უკორტნიდნენ, ხმალი წაუბილწეს, ფიალა პირთამდე ამოუვსეს სკინტლითა და უწმინდურებით, კევს ღეჭავდნენ და იფურთხებოდნენ, თანაც იმ გაუგებარ ენაზე ჟივჟივებდნენ გაუთავებლად და ადამიანური სახეები ბედნიერი ღიმილით უბრწყინავდათ, ზეიმობდნენ რაღაცას...

მეორე დღეს, საღამოს, პრეზიდენტ ბუშის ორი თვითმფრინავი ჩამოფრინდა თბილისში. აბანოთუბანში სახელდახელოდ მოწყობილ სცენასთან, სადაც ქართველებს კონცერტი გაემართათ, ბუშმა გრძელი კორტეჟი შეაჩერა. „ქართული“ არ უცეკვიათ, მაგრამ „კინტოურიც“ ძალიან მოეწონა პრეზიდენტს - სხვაგან ამერიკული დროშების დაწვითა და ლაყე კვერცხების სროლით დახვედრას ნაჩვევმა და აქ, ამ უცნაური პატივისცემით გაკვირვებულმა, ერთი-ორი უხერხული მოძრაობა თვითონაც მიამსგავსა ქართულ ცეკვებს და მისი უკანალის გაქნევით აღტაცებულ და აჭყლოპინებულ ქართველ საზოგადოებასთან კარგა ხანს დარჩა...

**იმ ბედნიერ წუთებში გიორგი, რომელიც არასოდეს ჩაიცვამს ჩოხას და აღარასოდეს იცეკვებს „ქართულს“, რა თქმა უნდა, არავის გახსენებია. მომავალში კი, ვიღაცა, ალბათ, იტყვის, რომ გიორგიმ, მისთვის იმ ტრაგიკულ დღეს, მართალია, ცეკვის ინტერესსა და სიყვარულთან ერთად, სამართლიანობის რწმენაც დაკარგა, მაგრამ იმ მძიმე დანაკარგის ფასად გადაარჩინა და შეინარჩუნა უმთავრესი - ღირსება, ურომლისოდაც ადამიანი აღარ არის ადამიანი. თუმცა, დაბეჯითებით ვერც იმას მოგახსენებთ, მართლა იტყვიან თუ არა ასე, რადგან, საიდან უნდა ვიცოდეთ ჩვენ, რა მოხდება ან რას იტყვიან მომავალში...**

**ვალერი კვარაცხელია**
*თბილისი, 2005 წლის 22 მაისი*

# ზაურ კალანდია



## ციკლიდან: ესკიზები საზოგადოებისათვის

## გიგა ვიყო, ბოკერია...

შეღამდა. შინ მოვედი, მანქანა ფარეხში დავაყენე.

ჩემი კორპუსის წინ პატარა სკვერია, იქვე მაგიდაა გრძელი სკამებითურთ. აქ იკრიბებიან კორპუსის ბიჭები, თამაშობენ ჯოკერს, დომინოს, ლუდს სვამენ, ზოგჯერ არაყსაც, მერე იგინებიან ხმამაღლა, იფურთხებიან, ჩხუბობენ კიდეც და არიან... ლამის ყოველ საღამოს მეორდება ერთი და იგივე, ვერ დაუშლი. ქვეყანა უმუშევარია, უსაქმური და რა ქნან, სად წავიდნენ, ამ ერთი ბეწო ადგილზე იხარჯება მათი ულევი ენერგია და: ისევ ეს გვირჩევნია, ჩვენს თვალწინ იყვნენ და არა სადმე გადაკრგულშიო, თავს ამით იმშვიდებენ იმათი მშობლები. მე თავი ქუდში მაქვს ჯერჯერობით, ჩემები პატარები არიან, სკოლის მოსწავლეები, არც ისინი ირევენ და, როგორც ვატყობ, არც ამათ აქვთ მათთან ყოფნის დიდი სურვილი. ყველაზე მეტად ის არ მომწონს, დილაობით ხსენებული მაგიდის სიახლოვეს ერთჯერად ნახმარ შპრიცებს ვპოულობთ და ამაზე ვწუხვართ, ერთმანეთს შევჩივით ხოლმე მეზობლები.

ორი განაწყენებული ყმაწვილის ცხარე კამათი მესმის: თუ ასე არ არის, იმართლე თავი, დაიგინეო, არ ეშვება ერთი, ქუჩურად აწვება.

თუ სუფთა არ ვიყო მაგ საქმეში, გიგა ვიყო, ბოკერიაო, არ თმობს ისიც და: ეს რა მესმის-მეთქი, დავინტერესდი, ფეხი ავითრიე...

ერთი შორეული ამბავი ამომიტივტივდა, დაწერილიც კი მაქვს, მაგრამ რაღაც საერთოს ვპოულობ ახლანდელსა და ადრინდელს შორის და შინ შევედი, ხელნაწერებში ვიქექები, ძველი ჩანაწერის ხელახლა გადმოწერა მომინდა...

სამი ათეული წლის წინათ ჩემს მშობლიურ ქალაქში, ზუგდიდში, ორი ათი-თორმეტი წლის ბიჭუნას კინკლაობის უნებლიე შემსწრე გავხდი.

დურუ ვიყო, თუ ამ სიბინძურეში ვერიოო, დაეფიცა ერთი მეორეს და გინებაც დიდივით მიაყოლა. ბილწსიტყვაობამ კი არა, სახელმა დურუმ გამაოგნა და, ჩემდა უნებურად, გამეღიმა, გულმაც რეჩხი მიყო, შევშინდი.

მითაყამინდელი ამბავია, ჩემი ბავშვობისდროინდელი.

დურუ მილიციის თანამშრომელი იყო ჩემს ქალაქში, სულით ხორცამდე ჩეკისტი, მთელი ცხოვრება რეციდივისტებს დასდევდა, შეიძლება, სამართლიანადაც, მაგრამ მისი სახელის გაგონება რატომღაც ყველას, ბავშვებსაც კი, ტანში გვზარავდა. დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, მართლა ასე იყო თუ არა, მაგრამ, რასაც უფროსკლასელი ბიჭები ჰყვებოდნენ, იმას გადმოვცემ სიტყვასიტყვით: რომ დაგიჭერს, გაიქეცი, შენს გზას ეწიეო, აუცილებლად შემოგთავაზებსო, თუ წამოეგები მის ანკესს - ვაი შენი ბრალი, ტყვიას კეფაზე მოგაწვდენსო.. ერთხელაც უკითხავთ უფრო დიდ ჩეკისტებს - რატომ და რისთვის აკეთებ ამასო. თავწაცლილი ქათამივით რომ აფართხალებს მკლავებს დამნაშავე, ის მიყვარს, იმაზე ვგიჟდებიო, გაუცია გულწრფელი პასუხი.

ერთ დღეს ბაზრის შესასვლელთან ათას კაცში ვიღაცა ზურგიდან მიეპარა დურუს, კისერზე დაუსვა დანა, მალებამდე დაუყვანა და, მიწამ თუ ჩაყლაპაო, უკვალოდ გაქრა იმ ჯამაათში ის მკვლელი. თავი მკერდამდე ჩამოუგორდა ჩეკისტს, მაგრამ არ დაეცა, არც დაბნეულა, ნიკაპქვეშ ამოიბჯინა მარცხენა ხელისგული, თავი უკან გადაიგდო, შეიმაგრა, სისხლის შეკავებას შეეცადა, მარჯვენათი იარაღი დააძრო და ასე, სარივით გაჯგიმულმა, კილომეტრზე მეტი გაიარა, თავისი ფეხით მივიდა საავადმყოფომდე. ქუჩა თავისით იხსნებოდა, მანქანები ჩერდებოდნენ და გაოგნებულები მიაცილებდნენო, გაკვირვებულები ჰყვებოდნენ ამ უბედურების შემსწრენი. ცხადია, ვიღაცამ იძია შური, მაგრამ ვინ? ეს ჰქონდა საჭორაო, ეს აინტერესებდა ქალაქს მთელი თვე და არა ის, დურუ რომ გადარჩა, სიკვდილსაც სიკვდილივით ეზარება ეს ოხერიო, ამას თუ დაიწუწუნებდნენ.

პენსიაზე ახალგასული იყო დურუ, მოულოდნელად ავად რომ გახდა, უფრო ზუსტად, ენაზე გაუჩნდა რაღაც ხორცმეტი და აქაურ ექიმებს არ ენდო, მოსკოვში ამოაჭრევინა ნაზარდი პროფესორს.

მოსკოვმაც რომ არ უშველა!

ავთვისებიანი სიმსივნე აღმოაჩნდა და, რომ ჩამოიყვანეს, დიდხანს არ უცხოვრია, ორ-სამ კვირაში გარდაიცვალა.

მისი დასაფლავების დღეც მახსოვს.

მარტის თვე იყო, ნასესხები, დილიდან ჟინჟღლავდა, აქა-იქ თოვლს ურევდა.

მოგეხსენებათ, ზუგდიდი პატარა ქალაქია, ყველა ერთმანეთს იცნობს და მის გასვენებაზეც იყვნენ მეჩხრად მეზობლები. დედაჩემიც წასულა. მამამ რომ გაიგო, გაუბრაზდა დედას, ვახშამიც არ ისურვა და მეზობელთან გადავიდა, როგორც მერე გავიგეთ, საქეიფოდ.

რა ცოდვა გქონდა, დურუ, ისეთი, ენაზე კიბო რომ გაგიჩნდაო, მეუღლემ დაატირაო, - მეორე დილით გაიხსენა დედამ მამის გასაგონად, წამითაც შეიცადა. მამამ გაკვირვება რომ გამოხატა, ისევ გააგრძელა: საინტერესოა, მართლა ასე ფიქრობდა ის უბედური თუ ქმრის ცოდვილ სულს ვინმე ღვთისნიერს აბრალებდაო, იკითხა.

●

რა საერთო უნდა ჰქონდეს ცნობილ, ადამიანის უფლებათა დამცველ, ფრიად წარმატებულ კანონმდებელ გიგა ბოკერიას ორმოცდაათიანი წლების ვინმე ზუგდიდელ დურუ როგასთან, ღმერთმანი, ვერ დავიჩემებ, ვერც ავხსნი, დაბნეული ვარ, მაგრამ ფიქრი სად არ გაგიტყუებს, მახსოვრობა რას არ ჩაგადენინებს, სიტყვას, შემთხვევით ყურმოკრულსაც, რა არ ძალუძს... არადა, სიმართლეს ვყვები, ორივე შემთხვევა იყო, ხატზეც შემიძლია დავიფიცო და, მეტი რა დამრჩენია, ამიტომ გადმოვწერე ძველი, მივიწყებული ესკიზი ახალი ინტერპრეტაციით.

ახლაც მიჟღის ყურში:

გიგა ვიყო, ბოკერიაო...

დურუ ვიყო, როგაო, ლამის ორ ხმაში ჩამესმის...

იგინებიან, თავიანთი სიმართლის დამტკიცებას ცდილობენ პატარა ქართველები.



## მოსიარულე ეკლესია

1988 წლის დეკემბერია, მთავრობის სახლის წინ მიტინგები გრძელდება. როგორც კი გამოვნახავ დროს, აქეთ გამოვრბივარ. ახლაც მოვედი. ორმოცამდე ყმაწვილი საშიმშილოდ დამჯდარა, ჭრელაჭრულა ლეიბებით არის აქაურობა მოფენილი, პირდაპირ კიბეზე იშლება. რუსთაველზე მოძრაობა, რა თქმა უნდა, გადაკეტილია.

შეღამდა; გვარიანად აცივდა, ფეხები მომეყინა, შინ მინდა. ჯორჯიაშვილის ქუჩას ჩავუყევი, მანქანაში ვჯდები. ვიღაც შუახნის მამაკაცი მომვარდა, ლამის ძალით ჩამიხტეს მანქანაში: თუ ძმა ხარ, ნახალოვკაში წამიყვანე, სტუმარი კაცი ვარ, ქუთაისელიო, შემევედრა. ქუთაისელმა სტუმარმა ნამუსზე შემაგდო, დაბრძანდით-მეთქი, კარი გამოვუღე. მივდივართ, დრო ბევრია, გავეცანით ერთმანეთს. მიშა ჰქვია, ახალი გამოსულია თურმე ციხიდან. მოგეცა ლხენა, ვაგინებთ მთავრობას შეხმატკბილებულად. მერე სხვა ჭრილში გადამაქვს საუბარი - ჩემს ქუთაისელ ახლობლებს ვიხსენებ, პირველ-მეორეზე მაინცდამაინც დიდი რეაქცია არა აქვს, მესამეზე: ოთარს, ძმაო, ვინ არ იცნობს, კაცი კი არა, მოსიარულე ეკლესიაააო. ვგრძნობ, მეტი პატივისცემით იმსჭვალება ჩემდამი, მე კიდევ ამ მოსიარულე ეკლესიამ უცნაურად ამაღელვა. მოვძებნეთ ის ქუჩა ნაძალადევში, სადაც მისი სახლიკაცი ცხოვრობს თურმე. შინ მეპატიჟება, ძმის სახლია, ნაცნობისა კი არაო, მაგრამ უდროობას ვიშველიებ, ვემშვიდობები.

ქუთაისში ვარ. ერთი სული მაქვს, როდის მოვუყვები ოთარს ამ შეხვედრის შესახებ. რანაირად არ აღვუწერე ის ტიპი, ვერაფრით გაიხსენა: ისე, მოსიარულე ეკლესია ოთარ მამფორიამ თქვა ოთარ სულაბერიძეზეო, ამბობს ოთარ ქანდარია და თავისებურად, დიდსულოვნად დაიმორცხვებს.

## ჩვენი მეგობარი ირაკლი

რუსთაველზე, პირველი სკოლის წინ, ბადრი ჭოხონელიძეს შევხვდი. ზევით, ილია-აკაკის ძეგლისკენ ავიწიეთ, ვსაუბრობთ.

ირაკლი ბაზაძე გამოჩნდა, პროსპექტს თავისებურად მოარღვევს მკერდგაღეღილი პოეტი, ჩვენი ძმა და მეგობარი. ახალი ამბები ეცოდინებაო, ბადრის ღიმილი ეძალება, ხელებს სიამოვნებით იფშვნეტს. ირაკლიმ შეგვამჩნია, გადმოუხვია ჩვენკენ, ბადრი გადაკოცნა, მე მისაყვედურა - გუშინ სად გამეპარეო. დავიბენი, სად გავიპარე. ვიყავით თუ არა გუშინ ერთად, იმასაც ვერ ვიხსენებ, დამნაშავესავით ვუღიმი კი.

ვიღაც უცნობი მოგვიახლოვდა. პატარა, შავზე შავი ტიპია, მუქ, რაღაც უფერულ ბერეტში ცალი თვალ-წარბი აქვს მოყოლილი. ირაკლის ჩაეხვია. საფიჩხიელია, ჩემი გამოზრდილიო, გვაცნობს ირაკლი და: სად დაიკარგე, არ გრცხვენიაო, მხარზე ხელი ღონივრად წამოარტყა. გაუბრაზდა.

ეხ, ჩემო ირაკლი, სხაპასხუპით აჰყვა იგი: შარშან, შემოდგომაზე, სახლი დამეწვა, ჩემი ოთხმოცი წლის დედა მომიყვა შიგ... ორმოცი არ იყო გასული, მეორე სართულიდან ჩამოვვარდი ნათესავისას, ფეხი მოვიტეხე და ექვსი თვე „გიფსში“ მქონდა გაჭიმული... ახლა კიდევ უმცროსი ძმა - შაკო დამიჭირეს - „მარადიორობას“ ტენიან, ამათი დედაც... - ხელი მთავრობის სახლისკენ აიქნია, გიჟს ვგავარო...

ირაკლი მის თავზემოთ იყურება, პროსპექტს გაჰყურებს, მეეჭვება, ამ კაცის ჩივილი რომ ეყურება, უცებ: კარგს რასაც გააკეთებ, კარგია, ძმაო, არ დაიკარგებაო, ამბობს ბრძნულად.

გაოგნებული საფიჩხიელი სამივეს მოგვაჩერდა, მერე მოულოდნელად შებრუნდა და წამში დამეკარგა ხალხში შესამჩნევი კოჭლობით.

ბადრი ცალკე იცინის, მე - ცალკე.

რა გაცინებთ, თქვე ოხრებო, უკვირს ირაკლის, ზევიდან დაჰყურებს პროსპექტს, ვინმე ნაცნობი არ გამომეპაროს უსალმოდ და უყურადღებოდო.

## პოეტი-მეომარი

ბ.ქ. მიყვება:

ოცდაშვიდი სექტემბრის დილაა. სოხუმი დაეცა, სოხუმი იწვის, რუხი კვამლი დირიჟაბლივით აწევს ქალაქს, ჩვენკენ მოიგრაგნება.

მაჭარკასთან ვდგავართ.

გუჯამ აიტეხა, ქალაქში უნდა მივბრუნდე, ტურბაზასთან კაცი მელოდებაო. რა დროს ტურბაზაა, გიჟს ვგავარ. ერთი დაფეხვილი მანქანა გვყავს, 06-ი. ჩახტა და დაქოქა. მარტო ვერ გავუშვებ, მის გვერდით ვჯდები, ერთი შეშელეთელი ბიჭიც ჩაგვიხტა.

მივქრივართ. დასახლება დაიწყო. რაც შეიძლება ჩქარა უნდა გავიაროთ ეს მონაკვეთი. კელასურს რომ გავცდით, სუბტროპიკების ასახვევთან, შუა გზაზე იარაღასხმული ვერზილა დგას. რა ვქნა? - გადმომხედა გუჯამ, - დავაჯახო? არ გინდა, -ავტომატი მოვიმარჯვე, მიზანში ამოვიღე, - იქნებ, ჩვენიანია სულ...

სვლა შეანელა.

ჩავხტი, შენი მეგობარი პოეტი შემრჩა ხელში.

ასე წადი, ძმაო, - მაჭარკისკენ ვუთითებ, - თუ გინდა, აქ დარჩი, სადმე დაიმალე, ნახევარ საათში მოვბრუნდებით და გაგიყვანთ, - მივაყარე.

- სად ჯანდაბაში წავიდე... შვილებს რა ვუთხრა, როგორ ავუხსნა, მე არ წამიგია ომიო! - მხრებში ჩამავლო ხელები, შემანჯღრია, თვალებში მომაცივდა. ცრემლებს ვერ იკავებს, ტირის...

მართლაც ნახევარ საათში მოვბრუნდით. წასულიყო...

ერთი წლის მერე რუსთაველზე შემხვდა მიშა ქურდიანი. ვერ ვკითხე, როგორ გამოაღწია ან რა თქვა, როგორ აუხსნა შვილებს - მას რომ არ წაუგია ომი!..

## საქართველო იყიდება

*იყიდება საქართველო - მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით; წარსულის ისტორიით, მომავალი სვე-ბედით; მშვენიერი ენით; ნაქარგი ფარჩა-ხავერდით; ვაჟკაცური ხასიათით, სტუმარ-მოყვარეობით; დიდებულის სანახაობით, წმინდა ჰაერით; ნაამაგევი სახლით და კარით; ჩუქურთმიანი მონასტრებით და ეკლესიებით; მჩქეფარე ნაკადულებით, ბერით; თვალწარმტაც ბანოვანთა გუნდებით, გონებაგახსნილი ვაჟებით; მალხაზი ბავშვებით: ვერცხლისფერ თმით შემოსილ პატივსადებ მოხუცებით. იყიდება საქართველო დედით და მამით, შვილით და ძირით, ძმით, დით, ცოლით და ნათესავ-მოყვრებით.*

*ჰყიდის ყველა: თავადი, მღვდელი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი და პატარა, ჭკვიანი და სულელი, ლოთი და პირაკრული.*

*იყიდება ყველგან: ქუჩაში და სახლში, თეატრში და სასამართლოში, სასწავლებელში, სატუსაღოში, ეტლში, მატარებელში, დილით და ღამით, სიცხეში და სიცივეში, დარში და ავდარში.*

*იყიდება ერთიანად: შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და ოსეთიდან სპარსეთამდე. იყიდება ნაწილ-ნაწილ: კახეთი და იმერეთი, ქართლი, სვანეთი და სამეგრელო, გურია და ლეჩხუმი, რაჭა და ჯავახეთი. იყიდება პატარპატარა ნაჭრებით, ვისაც რამდენი სურს და როგორიც უნდა: ნისიათ, უფასოდ ნაღდად, დროებით და სამუდამოდ: ბანკის საშუალებით და ჩვენის დახმარებით.*

*იყიდეთ ბარემ მთლად, გაწეწეთ და გაგლიჯეთ, რასაც საქართველო ერქვა და რაც დღეს ოხრადდარჩენილი აძღებს ყორნებს და გულს უკლავს უძლურ ჭირისუფალს!*

●

**1910 წელს დაწერილი ეს საშობაო მინიატურა ნიკო ლორთქიფანიძის კალამს ეკუთვნის.**

**ეჭვი არ მეპარება, ოდესღაც წაკითხულიც გაქვთ.**

**მე არაფერი, უბრალოდ, ჩემი ხელით გადმოგიწერეთ, ძვირფასო მთავრობის წევრებო!**

**მოკრძალებული თხოვნა მაქვს - სანამ სამთავრობო მრგვალ მაგიდას შემოუსხდებით და ქვეყანაზე (რომელიც თქვენი სამშობლოც არის!) ფიქრი მოგეძალებათ, ჩემო უყვარყვარესო ბატონებო, გაიხსენეთ ეს მინიატურა, იქნებ თვალიც ჩაჰკრათ ან უფრო ცივილიზებულად - ფირზე ჩაწერილი მაინც მოისმინოთ, წუთნახევარი თუ დასჭირდება. რა იცი, როცა ასეთ „ბრძნულ“ გადაწყვეტილებებს იღებთ, იქნებ, ხმა აგიკანკალდეთ ან ხელი (არ ვიტყვი, შეგხმებოდეთ-მეთქი!), „რაც დარჩენილა ოხრად“, იმასაც უმოწყალოდ რომ ჰყიდით და ჰყიდით...**

## მინაწერის მინაწერი:

**მოაღწევს ეს გაზეთი თქვენამდე? მეეჭვება. ამიტომ თითო ხელნაწერს პირადად გამოგიგზავნით ფოსტით. ბატონ კახა ბენდუქიძეს - სრულუფლებიან პირველ გამყიდველს - სამ ეგზემპლარად მივართმევ. ერთი სამსახურში ჰქონდეს, ერთი - მანქანაში, ერთიც, სადაც ცხოვრობს, სასტუმროს შინაგანაწესივით საწოლი ოთახის კედელზე გაიკრას.**

**თუ ამ თხოვნას შემისრულებს ბატონი კახა, არ დაეკარგება, ერთ ესკიზს ცალკე მივუძღვნი მის აღმატებულებას.**

# აკაკი ხორავას

**აკაკი ხორავას, სტალინის შეფასებას თუ გამოვიყენებთ, „მსოფლიო კლასის არტისტის“, ჩანაწერები, ალბათ, მოგონებათა წიგნის ასაკინძად იწერებოდა. ეს ჩანაწერები დღემდე არსად გამოქვეყნებულა, ავტორის სურვილი იყო - სიკვდილიდან ოცდაათი წლის მერე ეხილა მზის სინათლე!**

**რედაქციის თანამშრომელთა შეხედულება ამ მოგონებების თაობაზე არაერთგვაროვანია, თუმცა, ერთში კი შევთანხმდით: ამ ვეებერთელა მსახიობს, მოღვაწეს, ქართული თეატრის კორიფეს უდავოდ აქვს უფლება, იმდროინდელი მოვლენები - ეხება ეს თეატრს თუ საზოგადოებას - ისე მიიტანოს დღევანდელ თაობამდე, როგორც ეს მისი თვალსაწიერიდან ჩანდა.**

**XXI საუკუნის საქართველო, იქნებ, ბევრ შეფასებაში არ დაეთანხმოს ჩანაწერების ავტორს, - ამ გადასახედიდან ხომ ყოველივე სხვაგვარად მოჩანს - მაგრამ, ვფიქრობთ, იმ ეპოქის თუ გარემოს გაცნობა, რომელშიც ჩვენი დიდი წინაპრები ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ, უთუოდ საინტერესო იქნება დღევანდელი ქართველებისთვის. მერე რა, რომ ამ ჩანაწერებში შეხვდებით მსახიობის კოლეგებს, რომლებიც მთლად მისაბაძი საქციელით არ გამოირჩევიან და, იმავდროულად, შეხვდებით ლავრენტი ბერიას, საქართველოს ცკ-ის ამა თუ იმ მდივანსა და თანამშრომელს, რომლებიც კოლეგებისგან დაბეზღებული მოღვაწის გადარჩენაზე „ზრუნავენ“, შეხვდებით კეთილ, სტუმართმოყვარე ბელადს, რომელსაც ქართველებთან ყოფნას არაფერი ურჩევნია, აქვე სხვა დიდი მსახიობების თუ რეჟისორების მისამართით გამოთქმულ საყვედურსა თუ მწარე კრიტიკასაც ამოიკითხავთ, მაგრამ გვინდა, შეგახსენოთ - ეს ერთი კაცის, ერთი დიდი მსახიობის თვალით დანახული ის მოვლენებია, რაც თეატრში, ქვეყანაში, „დიდ“ საბჭოეთში ხდებოდა, და ამ ჩანაწერებს სულაც არა აქვს უდავო ჭეშმარიტების მტკიცების პრეტენზია.**



პარიზში მეორედ ჩასვლისას ვიყავი ლეჟეს (ცნობილი მემარცხენე, მხატვარი) ატელიეში. პარიზთან ახლოს - აგარაკზე. მისი სურათების დათვალიერების შემდეგ მისმა მეუღლემ ნ. პეტროვამ (ისიც მხატვარია, ლეჟეს მოწაფე) შეგვიყვანა თავის სამუშაო ოთახში და გვიჩვენა მის მიერ შესრულებული ნახატები. როგორც თავისი მეუღლე, პეტროვაც აბსტრაქციონისტია. როგორც საუკეთესო ნიმუში მისი მხატვრობისა, გვაჩვენა ტილო, რომელზედაც დახატული იყო ზოია კოსმოდემიანსკაია სახრჩობელაზე. სახრჩობელაზე ეკიდა რაღაც უფორმო, მუქი ლურჯი ფერის (როგორც ავტორმა აგვიხსნა) ზოია. სურათს არაფერი საერთო ჰქონდა იმ პატარა ახალგაზრდა გოგოსთან, რომელმაც თავი დასდო სამშობლოსათვის. მე ზოიას მაგიერ, როგორც საბჭოთა მოქალაქემ, შეურაცხყოფა ვიგრძენი. ალბათ, უკმაყოფილება სახეზე გამომეხატა. პეტროვა თავმომწონედ იდგა თავის ნამუშევართან და მოელოდა ნახატის აღფრთოვანებულ შეფასებას ჩვენგან. იქ დამსწრეებმა ქება-დიდება შეასხეს პეტროვას. მე გაჩუმებული ვიყავი. როცა დავაპირე ჩემი აზრის გამოთქმა, ჩემს გვერდით მყოფმა ლუი არაგონმა შემაჩერა და მითხრა: „ბატონო აკაკი, ნურას იტყვით ნახატის შესახებ ცუდს. ვინ იცის, შეიძლება მომავალში ეს სურათი და საერთოდ აბსტრაქციონიზმში წამყვანი გახდეს მთელს მსოფლიოში. გახსოვდეთ: თუ არ გინდათ, ფრანგს აწყენინოთ - არ შეურაცხყოთ, ცუდი არაფერი სთქვათ აბსტრაქციონიზმზე, რადგან ყოველ ფრანგს ფორმალიზმი ეროვნულ მიღწევად მიაჩნია და მისი არმიღება ეროვნულ შეურაცხყოფად იქნება აღქმული (ატელიეში ვიყავით ელზა ტრიოლე, ლუი არაგონი, დაევიჩი და მე.)

მეც ვარჩიე, არაფერი მეთქვა. ვერ ვაწყენინე გულუხვ მასპინძელს.

ლეჟე დიდი ოსტატია ფერწერისა. შესანიშნავად ფლობს ფერებს. მას ხშირად იწვევენ კათოლიკური ეკლესიების გასაფორმებლად. გაფორმება გამოიხატება არა წმინდანების ხატვით ეკლესიის კედლებზე, არამედ როგორც ბარდიური, წყნარი, მშვიდი ფერების გასწვრივ (კედლის) გაყოლებით. ეკლესიის მესვეურნი ასეთ მხატვრობას ამართლებენ იმით, რომ ფერებს სიმშვიდე შეაქვს მლოცველის სულში. არ ვიცი, ამშვიდებდა თუ არა მლოცველს ასეთი სახის მხატვრობა, მაგრამ ეკლესია ისე იყო აჭრელებული სხვადასხვა ფერით, რომ თავი რესტორანში ან ბარში მეგონა.

ლეჟესთან, ატელიეში, ვნახე ბევრი მისი ნამუშევარი, რომლებმაც ჩემზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა. იყო ფერების ორომტრიალი ყოველგვარი შინაარსის გარეშე. მხოლოდ ერთმა სურათმა (კარგად მოზრდილმა) დამაფიქრა. სურათს ერქვა „სიფხიზლე“. შინაარსი შემდეგშია: დახატულია პატარა მდინარე ტყის პირას. ტყეში დგას მსუბუქი ავტომანქანა. მძღოლს „კაპოტი“აუხდია და ძრავასთან საქმიანობს. მანქანასთან ახლოს ბავშვი თამაშობს. წინა პლანზე წამოწოლილი არიან ცალ-ცალკე ქალი და კაცი, ეტყობა, ბავშვის მშობლები არიან, ჩასძინებიათ. ლეჟე მეუბნება, აბა მიხვდები თუ არა შინაარსსო. პირველად ვერ გავიგე, რა შუაშია ეს სურათი და „სიფხიზლე“. დიდი დაკვირვების შემდეგ შევამჩნიე ცოლი და ქმარი ახირებულად არიან დახატულნი. ქალი, როგორც ქალი, და კაცი, როგორც კაცი. მხოლოდ იქ, სადაც სახსრებია, სხეულის ნაწილები დაშორებულნი არიან ერთმანეთისაგან. ისეთი შთაბეჭდილება გრჩებოდა, თითქოს სხეული დაშლილი იყო ნაწილებად და ნაწილებად სწორედ იმ ადგილებში, სადაც ადამიანს სახსრები აქვს. მძღოლი და ბავშვი ნორმალურ ადამიანებად იყვნენ დახატულნი. კარგა ფიქრის შემდეგ მივხვდი, რომ ცოლ-ქმარი ისვენებდნენ - ეძინათ, ყოველი მათი სხეულის ნაწილი ისვენებდა. ლეჟეს ეს აზრი გავუზიარე. გაეხარდა, მაგრამ, რა შუაში იყო სიფხიზლე, ვერ გავიგე. ლეჟემ მიმითითა სურათის მარჯვენა ქვედა კუთხეში დახატულ ყურებდაცქვეტილ პატარა თაგვზე, რომელიც უკანა ფეხებზე წამოსკუპებულიყო, თვალები დაჭყეტილი ჰქონდა და ღია პირიდან ორი კბილი უჩანდა - აი ამ თაგვშია დედააზრი ამ სურათისაო.

ვერ გავიგე მაინც.

მაშინ თვითონ ამიხსნა - როდესაც ადამიანი ისვენებს, თუ ფხიზელი ძილი არა აქვს, თაგვსაც შეუძლია მას ზიანი მიაყენოსო. ერთი ინგლისელი დიდ თანხას მაძლევდა სურათში, მხოლოდ იმ პირობით, რომ თაგვი სურათიდან ამომეღო. მე მისი მოთხოვნა არ შევასრულე - როგორ შემეძლო, სურათის დედააზრი წამეშალაო. საინტერესოა!!! გავიდა წლები და ეს სურათი დღესაც მახსოვს!

●

კანში (სამხრეთ საფრანგეთი) დავესწარი ყვავილების დღესასწაულს. ადრე გაგონილი და წაკითხული მქონდა ამ დღესასწაულის არაჩვეულებრივობის შესახებ. მეც დიდი მოლოდინი მქონდა. ეს დღესასწაული ტარდება გაზაფხულის პირველ დღეს. ქალაქი სავსეა ნაირ-ნაირი ყვავილებით. ყოველ ადამიანს ხელში ყვავილების თაიგული უჭირავს. დღესასწაული ტარდება დილით და გრძელდება 2-3 საათი. ეტლები, ავტომანქანები, ცხენები მორთულია ყვავილებით. შიგ სხედან ლამაზი ქალები - ყვავილებში არიან ჩაფლულნი. დღესასწაული გამოიხატება იმაში, რომ ყვავილებში ჩასმული ტრანსპორტი მიდის და მიდის ზღვის პირას მდებარე მთავარ ქუჩაზე. ყოველი 7 თუ 8 ეტლის ან ავტომანქანის წინ სამხედრო ნაბიჯით მიუძღვის სასულე ორკესტრი, რომელთა ინსტრუმენტები ყვავილებითაა მორთული. ასეთი 7 თუ 8 ეტლი შეადგენს პროცესიის ერთ ნაწილს. ნაწილები კი დავთვალე 8! ეტლში მსხდომი ქალები ყვავილებს ესვრიან ქუჩაში მდგომ ხალხს, ხოლო ხალხი კი ეტლში მსხდომ ხალხს. სამი საათის განმავლობაში ერთი კილომეტრის მანძილზე წინ და უკან სიარული ძალზე ერთფეროვანი, მომაბეზრებელი და ძალზე დამღლელია. მართალი რომ ვთქვა, ამ უგემურობას ვერ გავუძელი და ერთი საათის შემდეგ წავედი სასტუმროში, რომ ორკესტრების ბრახაბრუხისაგან ცოტათი მაინც დამესვენა.

●

ჩემი თეატრის დირექტორად ყოფნის დროს აკაკი ვასაძე მთავარი რეჟისორი იყო. რომელიმე საკითხის გარჩევის დროს, ჩვეულება ჰქონდა, უთუოდ ჩემი აზრის საწინააღმდეგო გამოეთქვა. ხშირად ამიტომ საკითხი გადაუწყვეტელი რჩებოდა, რითაც საქმე ფერხდებოდა.

ბოლოს დავადექი ასეთ გზას: თუ საჭირო იყო საქმისათვის ჩემი შეხედულების გატარება, მე ვიტყოდი ჩემი აზრის საწინააღმდეგოს. აკაკი კიდევ უთუოდ საწინააღმდეგოს იტყოდა, ე.ი. იმას, რაც მე სწორად მიმაჩნდა. მეც დავეთანხმებოდი. ამრიგად გავიდოდა ჩემი დაფარული აზრი. ჩემის ფიქრით, აზრი სწორი იყოს და, ვისაც უნდა, იმან გამოთქვას, ოღონდ საქმისათვის სჯობდეს. თანამდებობის მქონე ადამიანის ავტორიტეტი ამით არ ილახება, პირიქით.

●

ერთხელ ვერიკო ანჯაფარიძე ჩემის თანდასწრებით ეუბნებოდა თავის ამხანაგ ქალს: ამ დილით ისე გამაჯავრეს, რომ სახლიდან გამოსვლისას ჩემს სახეს ვერ მივეცი... (ესმოდათ უცხოელ სტუმრებს თეატრალურ საზოგადოებაში...). რამდენი სისაძაგლე იფარება ნიღაბს ქვეშ. უფრო მართალი არ არის, ადამიანი ცხოვრებაში იყოს ისეთი, როგორიც ხარ? რამდენი ადამიანი ატარებს კეთილშობილების ნიღაბს? რამდენი ზიანი მოაქვს ასეთ ნიღბიან ადამიანებს საზოგადოებრივ საქმიანობაში ან ადამიანთა ურთიერთობაში. ნიღაბს ატარებენ თავიანთი მზაკვრული მისწრაფებების დასაფარავად.

●

მერი ანჯაფარიძე თავის რჩევას აძლევდა მიხეილ ჭიაურელს: „საჭიროა, ინდივიდუალურად დამუშავდეს ყოველი ადამიანი შენთვის სასურველის ცხოვრებაში გატარებისათვის, ამა თუ იმ ადამიანზე შენთვის სასურველი აზრის შექმნისათვის. სჯობია, ხელმძღვანელი გადმოიბირო შენს მხარეზე, ამით მის განმგებლობაში მყოფი ხალხი თავისთავად მიემხრობა თავისი უფროსის აზრს. ასე შეიქმნება საზოგადოებრივი აზრი. საჭიროა, დაპატიჟო ხელმძღვანელი, პურ-მარილი გაუმართო, კრებაზე სთქვა ორი ტკბილი სიტყვა იმ კაცის შესახებ, ვინც გინდა მიიმხრო, შეასრულო მისი სურვილები და მოაჩვენო თავი, როგორც მისი ერთგული ხარ. ასეთი ქცევით ნდობას დაიმსახურებო“. კარგია, თუ უფროსს აქვს იმდენი შეგნება, დამმუშავებლის ნათქვამი თვითონ შეამოწმოს, მაგრამ თუ არა აქვს? თუ მართალი ჰგონია, ვინც პირველი მივა მასთან?

მაგონდება იგავ-არაკი „ყვავი და მელა“. მელიების მლიქვნელური სიტყვებით თუ რამდენ უფროსს დაუკარგავს საღი აზროვნების უნარი და გადმოუგდია ყველი მელიების შესაჭმელად. ასეთი იყო მოქალაქეობრივი მორალი მარჯანისტებისა, ახმეტელთან და მის მიმდევრებთან „ბრძოლის“ დროს. ასეთივენი არიან ისინი დღესაც. სამწუხაროდ, ასეთი მორალი გაუხდია ზოგ ახალგაზრდას, ხელოვნების მსახურს - ქართული თეატრის ისტორიაში მისთვის დაუმსახურებელი ადგილის მოპოვებისათვის ბრძოლის საქმეში. ასეთი მორალის ადამიანებს უნდა გამოეცხადოთ სასტიკი ბრძოლა, რადგან მთელი მათი ადამიანობა ემყარება არამორალური ადამიანების მორალს!

თანამდებობა მხოლოდ გეგმების შესრულებით კი არ უნდა განისაზღვროს. ყოველი ხელმძღვანელი ამა თუ იმ ორგანიზაციისა იმავ დროს აღმზრდელიცაა თავისი თანამშრომლისა. მან უნდა იცოდეს, რომ, როდესაც ორი კაცი დავობს, მათ შორის ერთი უსათუოდ მტყუანია, ეს კი მტყუანს (არამართალს) საქმის უცოდინარობით მოსდის - მას უნდა განემარტოს შედეგი და, თუ წინასწარგანზრახვით ან ანგარებით ჩირქს სცხებს ადამიანს, ასეთი ისე უნდა დაისაჯოს, რომ მეორედ ვეღარ გაბედოს!

●

ერთ დღეს ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ილია თავაძემ დამიბარა ცეკაში. მითხრა, თუ როგორ ვუყურებ კინოში გიორგი სააკაძის როლზე მუშაობას მიხეილ ჭიაურელის ფილმში. ვის ან რომელ მსახიობს არ გაუხარდება იმუშაოს ასეთი დიდი ისტორიული სახის შექმნაზე. მეც გამეხარდა, თუმცა განვუცხადე, რომ ჭიაურელი, როგორც ადამიანი, არ მომწონს და მასთან მუშაობა ჩემთვის ძნელი იქნება-მეთქი. რატომ? - შემეკითხა. მე ვთხოვე, დაებარებინა ჭიაურელი და მისი თანდასწრებით მეთქვა ყოველივე. მეორე დღეს თავაძესთან ორივენი შევიკრიბენით. თავაძე შეეკითხა ჭიაურელს თუ რად მემდურის იგი მე. ჭიაურელს უხერხულობა დაეტყო და არჩია, ჩემი თანდასწრებით არაფერი ეთქვა ჩემზე. მაშინ თავაძემ უთხრა - სთქვით ყველაფერი, რაც მე მელაპარაკეთ ხორავაზე, თორემ იძულებული ვიქნები, თავად გადავცე ამხ. ხორავას თქვენი სიტყვებიო. ჭიაურელმა მხოლოდ ესა სთქვა, რომ, ხორავას არა სწამს ჩემი რეჟისორობისაო და არ ვუყვარვარო. სხვა არაფერი უთქვამს, ეტყობოდა, ჩემზე ბევრი ცუდი ულაპარაკნია თავაძესთან მასთან მარტო ყოფნისას.

მე ვთხოვე თავაძეს, ჯერ მე მეთქვა ჭიაურელის შესახებ. ისიც დამეთანხმა. მეც სრულიად გულწრფელად ჭიაურელს პირში ვუთხარი, რასაც ვფიქრობდი. ვთქვი, რომ ის ინტრიგანია, არაგულწრფელი; ქართულ თეატრში მის მეუღლე ვერიკო ანჯაფარიძესთან ერთად არევ-დარევის შემომტანია, ჭორიკანა, დემაგოგი და პროვოკატორია; რომ კინორეჟისორ კოლია შენგელაიას ცოდვა მის კისერზეა; რომ მისი ოჯახი ჩემი ლანძღვის მეტს არაფერს აკეთებს, რომ დიდი წარმოდგენის არის თავის თავზე, თუმცა მისი კინორეჟისორული ნიჭი არ უარმიყვია. მოვაგონე თუ რა უღირსად ეჭირა თავი სტალინური პრემიების მიმნიჭებელ კომიტეტში; რომ პირში ყველას უცინის (მათ შორის, მეც!) ზურგს უკან კი სამარეს გვითხრის. ჭიაურელმა ვერა მიპასუხა რა. ან რა უნდა ეპასუხა თავის გასამართლებლად, როდესაც ჩემი ყოველი სიტყვა სიმართლე იყო.

ი. თავაძე ჩავიდა კ. ჩარკვიანთან, ალბათ, ვითარების მოსახსენებლად. ჩვენ ხმა არ გაგვიცია ერთმანეთისათვის. ცოტა ხნის შემდეგ თავაძე ამოვიდა და გვითხრა: - პარტიის ხელმძღვანელობის აზრია „სრაბოტატსა“. რასაკვირველია, ჩემთვის ძნელი იყო, ყოველივე იმის შემდეგ, რაც თავაძის კაბინეტში ვუთხარი ჭიაურელს - მასთან მემუშავნა. მაგრამ ხელმძღვანელობის განკარგულებას დავემორჩილე იმ პირობით, თუ ჭიაურელი ორპირულ პოლიტიკას თავს დაანებებდა ჩემს მიმართ. გამოვეთხოვე თავაძესა და გამოვედი შენობიდან. დამეწია ჭიაურელი, გამიყარა მკლავში ხელი და თითქოს ჩვენს შორის არაფერი მომხდარაო, დამიწყო პირფერობა და სიყვარულის ახსნა - რომ მე ის დიდ პატივსა მცემს, როგორც ადამიანსა და შემოქმედს; რომ ძალიან უხარია გიორგის როლზე მასთან რომ ვიმუშავებ; რომ ჩემზე უკეთესი სააკაძე არავინ ეგულება და სხვ. კინაღამ გული ამერია - ზუსტად ათი წუთის წინ კაცი მზად იყო, გავეთხლიშე, სიბრაზისაგან დორბლებს ყრიდა, მზად იყო, იქვე, თავაძის კაბინეტში მოვეკალ. პირში ისეთების თქმა, რაც მე ვუთხარი, მისთვის არავის გაუბედნია და თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ხუთი წუთის შემდეგ სიყვარულს მეფიცებოდა. არის ასეთი ხალხი - პირში რომ მიაფურთხებენ, ხელით მოიწმენდს - თითქოს არაფერიო. იმ დალოცვილს ერთი ორი დღე დაეცადა მაინც, გადაეხარშა თავის თავში ყოველივე ის, რაც მე ვუთხარი და შემდეგ, ყოველგვარი სიყვარულის გამოცხადების გარეშე, მხოლოდ საქმეზე ელაპარაკა ჩემთან. ასეთი ნაუცბათევი ფერისცვალება ქამელეონების თვისებაა. რასაკვირველია, ჭიაურელი, ანჯაფარიძე და მისთანანი, სადაც კი ხმა მიუწვდებოდათ, ჩემს გათახსირებას ცდილობდნენ და დღესაც ცდილობენ. როგორც იტყვიან, - კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანს, მით უმეტეს, კოკა, რომელსაც გასდის. დღემდე ვერ გაიგეს ანჯაფარიძემ და ჭიაურელმა და მათმა მაგვარმა ხალხმა, რომ ამ ცოდვილ მიწაზე ყველანი დავეტევით სიცოცხლეშიაც და მის შემდეგაც. გულწრფელად, უანგაროდ ვემსახუროთ ჩვენს ხალხს და ჩვენი მოღვაწეობისა თუ ცხოვრების დაფასება-შეფასება ისტორიას მივანდოთ!

●

რუსთაველის თეატრი იხდიდა თავისი არსებობის 15 წლისთავს. ყველას გვიხაროდა. იუბილემდე რამდენიმე დღის წინ თეატრში ხმა მოვიდა, რომ მთავრობას გადაუწყვეტია, ახმეტელს, ვასაძესა და მე მოგვანიჭოს სახალხო არტისტის წოდება, ხოლო დასს მისცეს ერთი თვის ხელფასი პრემიის სახით. ბევრი მსახიობი განაწყენებული იყო, რომ მათ წოდება არ ენიჭებოდათ და ერთი თვის ხელფასის ოდენობით პრემიაც ეცოტავებოდათ.

შუადღეს ახმეტელმა მოიწვია თეატრის შემოქმედებითი აქტივის კრება თავის კაბინეტში. მიზანი კრებისა იყო, გამოგვეთქვა ჩვენი აზრი მთავრობის მიერ ჩვენი მუშაობის ასეთი შეფასებისა გამო. ყველაზე მეტ უკმაყოფილებას გამოსთქვამდა ახმეტელის ცოლი - წულუკიძე, ვერ დაწყნარებულიყო, რომ ახმეტელს, ვასაძესა და მე ერთნაირად გვანიჭებდნენ წოდებას. ახმეტელიც უკმაყოფილო იყო და თუმცა კრებაზე არა უთქვამს რა წოდებაზე, მაგრამ ამბობდა, რომ თეატრს არ აფასებენ, ყურადღებას არ აქცევენ. რომ თეატრის მუშაობას არად აგდებენ. წულუკიძე უმატებდა საშას სიტყვებს, რომ ასეთი დამოკიდებულებისა გამო არ ღირს თეატრში მუშაობა (მას აწუხებდა ის გარემოება, რომ სახალხო არტისტის წოდებას არ ღებულობდა!). საშას მიერ მოწვეულ კრებას ესწრებოდნენ (ვინც მაგონდება) თავად ახმეტელი, ვასაძე, გიორგი დავითაშვილი, წულუკიძე, ირაკლი გამრეკელი, ალსაბაძე, პატარიძე, ივ. ლაღიძე, ივ. აბაშიძე, ელ. ლორთქიფანიძე, დიმ. მჟავია, მე და კიდევ ზოგიერთები. საშამ შემოიტანა წინადადება, რომ ერთი თვის ხელფასი არ აგვეღო და მთელი თანხა შეგვეტანა დაღუპული დირიჟაბლის მაგიერი ახალი დირიჟაბლის გასაკეთებლად (იმხანად დაიღუპა საბჭოთა დიდი დირიჟაბლი, ხალხი ფულს აგროვებდა ახლის გასაკეთებლად). ყველა დამსწრე გამოთქვამდა აზრს, მუშაობას თავი დავანებოთ მთავრობის მიერ თეატრის მუშაობის ასე მცირედ შეფასებისა გამო პროტესტის ნიშნად საპრემიო ფული შევიტანოთ დირიჟაბლის ასაშენებლადო.

აღელვება დიდი იყო. წულუკიძე ამბობდა, რომ „თეატრს ყავს ხელმძღვანელად ისეთი რეჟისორი, როგორიც ახმეტელია, და მისი ნიჭის ასე მცირე დაფასება შეურაცხყოფაა“, საშა, შენი არ ესმით, არც გაფასებენ. შენ დაგაფასებენ მხოლოდ საზღვარგარეთ. იქ უნდა წახვიდე და სხვა ამგვარი.

სათითაოდ ყველა დამსწრემ გამოთქვა აზრი შექმნილი მდგომარეობისა გამო და ყველანი ეთანხმებოდნენ წულუკიძეს, რომ უნდა დავანებოთ თეატრს თავი და ფული შევიტანოთ დირიჟაბლის ასაშენებლად. ბოლოს რიგი ჩემზე მოვიდა. მე ასეთი აზრი გამოვთქვი: - ჩვენ საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე დავდექით. სრული შეგნებითა და გულწრფელად, საჯაროდ განვაცხადეთ, რომ ვიმუშავებთ საბჭოთა ხელისუფლებასთან, გამარჯვებულ მშრომელებთან. საბჭოთა თეატრის შექმნისათვის არ დავიშურებთ ჩვენს ძალ-ღონეს და ნიჭიერებას, რომ საბჭოთა ხელისუფლებას გვერდში ამოვუდგებით ახალი ცხოვრების შესაქმნელად და სხვ. მართლაც ვმუშაობდით დაუზარლად, მთელის ენერგიით. მთავრობა გვეხმარებოდა მუშაობაში და დღეს, იუბილეს წინ, დაგვავიწყდა ჩვენი პირობა, ჩვენი განცხადებები, მთავრობის წინაშე ჩვენი ვალდებულებანი და რაღაც პრემიის სიმცირის გამო ვაპირებთ, თავი დავანებოთ თეატრს, პირადი ინტერესები უფრო მაღლა დავაყენოთ, ვიდრე საზოგადოებრივი ვალდებულებანი, ვუღალატოთ ჩვენს სიტყვას, საქმეს. პრემიის სიმცირის გამო ვუღალატოთ პარტიას, ხალხს - რა სინდისით? მე არ ვეთანხმები ამხანაგების აზრს. მუშაობა უნდა განვაგრძოთ ისევე დაძაბულად, როგორც დღემდე, რადგან საქმე გვაქვს ჩვენს მიერ მიცემულ სიტყვასთან, ხალხისა და მთავრობის წინაშე დადებულ

# სენსაციური ჩანაწერები,

## რომელთა დაბეჭდვას, ლეგენდარული აქტიორის ანდერძის მიხედვით, მხოლოდ სამი ათეული წლის შემდეგ გახდა დასაშვები!

პირობასთან და სხვა ასეთი.

ჩემი გამოსვლის შემდეგ კრება დაიხურა. ეტყობა, ჩემი სიტყვა არ მოეწონათ. ვთქვი ის, რასაც ვგრძნობდი და რასაც ვფიქრობდი, რაც მწამდა.

ზუსტად მეორე დღეს, შუადღისას, ჩემთან სახლში მანქანით მოვიდა ბერიას მცველი და მითხრა, რომ ბერია მიბარებდა ცენტრალურ კომიტეტში, მეც, გახარებული, რომ, ალბათ, იუბილეს გამო ვიყავი დაბარებული - წავედი. ცეკაში რომ მივედი ბერიას კაბინეტში, იქ დამხვდა ყველა ის, ვინც გუშინ ახმეტელის კაბინეტში კრებაზე იყო. მთავრობიდან იყო ბერია და მგალობლიშვილი (მთავრობის თავმჯდომარე). ბერია წამოდგა და დაიწყო ლაპარაკი. ხელში დაბეჭდილი ქაღალდები ეჭირა (პაპიროსის ქაღალდი). დაიწყო ასე: (რუსულად) ჩვენ დიდად ვაფასებთ რუსთაველის თეატრის მუშაობას. ჩვენი სახელმწიფო ახალგაზრდაა. ჩვენს წინაშე დიდი ეკონომიკური ამოცანაა. ფული, ძირითადში მიდის მრეწველობაში, საერთოდ, მეურნეობისათვის. მიუხედავად ამისა, ჩვენ გიწევდით დახმარებას ორგანიზაციულად და ფინანსურადაც. ამჟამად ჩვენ მეტი ფული არა გვაქვს, როცა გავმდიდრდებით - მეტს გადაგიხდით, დაგაჯილდოებთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თქვენ გაგვიგებთ, ჩვენი მცირედი დახმარება (შეფასება) შეგასხამთ ფრთებს მუშაობისათვის ახალი ლიტერატურის, თეატრის შესაქმნელად. ჩვენ გვგონია, რომ გაგებით მოეკიდებით ყოველივეს. გაინაწილებთ - სიხარულსაც და არასასიამოვნოსაც. თქვენ კი აპირებთ სამსახურის მიტოვებას, „პროტესტუიტე“. გინდათ, პრემიალური შეიტანოთ ახალი დირიჟაბლის მშენებლობის ფონდში. დირიჟაბლს ჩვენ თქვენი პრემიის გარეშე ავაშენებთ და გავიგებთ, რატომაც შეგაქვთ პრემია ფონდში. თუ თქვენ პარტიასთან მეგობრობა არა გსურთ, თქვენი ნებაა, მაგრამ ჯერჯერობით თქვენ მუშაობთ, აკეთებთ იმას, რაც ჩვენ თეატრისაგან გვჭირდება. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ დამკვეთები ვართ, თქვენ კი შემსრულებლები - ამისთვის გიხდით ხელფასს... და სხვ.

ლაპარაკის დროს ქაღალდის ფურცლებს ათვალიერებდა და ახმეტელთან შეკრებისას ყველა გამომსვლელის ნათქვამს პასუხს სცემდა და ჯიქურ უყურებდა მას. ეტყობა, იმ ფურცლებში იყო დაწვრილებით გადმოცემული, რაც ითქვა და რაც ხდებოდა კრებაზე. ყველას ხაზგასმით მოაგონა ის, რაც კი სთქვეს კრებაზე. ყველა ჩუმად იყო. არავის არაფერი უთქვამს. ბოლოს მე მომმართა შემდეგი სიტყვებით: „თქვენც ამბობდით რაღაცას იქ“. მე ვუპასუხე, რომ ვილაპარაკე და აქაც შემიძლია გავიმეორო ნათქვამი. „ილაპარაკეთ“, - მითხრა ბერიამ. მე ვთქვი ის, რაც კრებაზე განვაცხადე. არანაირი გარემოებების გამო ტყუილი არ შემიძლია. აქ კი გუშინდელი ყოველი ნათქვამი ვიღაცის მიერ დაწვრილებით მოხსენდა მას, სისულელე იქნებოდა რაიმეს დაფარვა. ყოველივეს განმეორების შემდეგ, რაც კრებაზე ვთქვი, დავამატე: მე მინდა თეატრიდან წასვლა არა იმის გამო, რომ ცოტა მივიღე პრემიალური, არამედ იმისათვის, რომ ჩემს ჯანმრთელობას აღარ შეუძლია გაუძლოს ასეთ მშიერ არსებობას. მთელი თეატრი შიმშილმა მოიცვა. დღეში ერთხელ ვჭამთ ნახევარ თეფშ ლობიოს თეატრის ბუფეტში. ეს არის და ეს. ორგანიზმი ვერ გაუძლებს. ოდესღაც ფიზკულტურელი ვიყავი. ჯანმრთელი, ეხლა კი შემხედეთ მეცა და სხვებსაც, როგორი გამხდრები ვართ. ექიმები მეუბნებიან, რომ უნდა ვიკვებო, წინააღმდეგ შემთხვევაში ჭლექით დავაავადდები, ასეთი გარემოებისა გამო გთხოვთ - იძულებული ვარ, გთხოვოთ - გამაგზავნოთ სხვა ისეთ სამუშაოზე, სადაც შიმშილი არ მომიწევს“. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. მე ვთქვი, რასაც ვფიქრობდი და რაც მწამდა. სადღაც გულში ვფიქრობდი: შეიძლება, ჩემმა სიტყვამ დასის ნახევრად მშიერ მდგომარეობას უშველოს-მეთქი. ბერია მიუბრუნდა ახმეტელს და უთხრა: - ეს ჩვენთვის სიახლეა! შენ აქ მოსვლისას როდესაც გეკითხებოდით, რა ამბებია თეატრში, ერთხელაც არ გითქვამს კოლექტივის მძიმე მდგომარეობის შესახებ. მუდამ ამბობდი, რომ კარგად ცხოვრობთ! მიუბრუნდა მგალობლიშვილს - იქნებ, შენ გითხრა რამე ახმეტელმა? მგალობლიშვილმა უარყოფის ნიშნად თავი გააქნია. უცებ გამახსენდა, რას გვეუბნებოდა საშა ხშირად: - მე მთავრობაში მუდამ ვამბობ დასის ნახევრად მშიერი მდგომარეობის შესახებ, მაგრამ არავინ ყურადღებას არ მაქცევს. ყოველივეს გაგონების შემდეგ უამრავი აზრი დამებადა თავში... მთავრობას ეუბნებიან, რომ ჩვენთან ყველაფერი კარგადაა, ჩვენთან კი ამბობენ, რომ არავინ ყურადღებას არ გვაქცევს. გაბრაზებულმა ბერიამ, ამით დავამთავროთო, სთქვა. წამოვედით. იუბილეზე პრემიის სახით ორი თვის (!) ხელფასი დაგვირიგეს; ახმეტელს, ვასაძესა და მე სახალხო არტისტის წოდება, ხოლო წულუკიძეს დამსახურებულისა მოგვანიჭეს. კოლექტივში მიდიოდა ლაპარაკი, ვინ დაწერა და დაასმინა ბერიასთან იმ დღეს ახმეტელის კაბინეტში ნათქვამი. ბევრ უდანაშაულოს აბრალებდნენ. გამოცანა გამოუცნობი დარჩა. ბოლო წლებში, მეტნაკლებად ვრწმუნდები ინფორმატორის პიროვნებაში - მაგრამ ახლაც არ მინდა ამის დაჯერება - ვიღაცამ ისარგებლა ახმეტელზე „მელკოი ობიდოი“ მსახიობთა ჯგუფიდან და ეცადა, დაერწმუნებინა ბერია, რომ საშინელება ხდება თეატრში. ბერია და ახმეტელი იყვნენ „ნე ვლადახ“ და ამან უფრო გააღრმავა უფსკრული მათ შორის.

●

ახალი მისული ვარ თეატრში. დაახლოებული არავისთან ვარ. შეიძლება ითქვას, გიორგი დავითაშვილი ცდილობდა ჩემთან დაახლოებას, მეც, როგორც ახალგაზრდა მსახიობს, მიხაროდა მასთან დაახლოება, რადგან გიორგი უკვე სახელოვან მსახიობად ითვლებოდა.

ერთხელ შევამჩნიე, რომ თავზე ჭაღარა თანაბრად არ ჰქონდა განლაგებული. მაინცდამაინც არ მივაქციე ყურადღება. ერთხელ, წარმოდგენის დაწყების წინ მის საპირფარეშოში შევედი. ვხედავ - ზის მელოტი გიორგი (თავის შუა ნაწილში თმა არ ჰქონდა) ძალიან გამიკვირდა. გიორგი ცდილობდა, მალე დაეხურა თეატრალური პარიკი. როდესაც შევეკითხე ასეთი ცვალებადობის მიზეზის შესახებ, ამიხსნა, რომ მას თავზე, შუა ნაწილზე, დადებული აქვს პარიკი და ცხოვრებაშიც ასე დადის. მე მაშინ არც მქონდა წარმოდგენა, რომ კაცმა ხალხში შეიძლება პარიკით იაროს. რატომღაც გიორგის პარიკით სიარული წყინდა. მან დამიწყო მტკიცება, რომ ამაში არაფერია სასირცხვილო: კაცს თუ კბილი არ უვარგა, ხომ ჩაისვამს ახალ კბილს? ვალერიან გუნიას ცალი თვალი არა ჰქონდა - ის თვალს ატარებდა, ხომ? კაცს თუ ფეხი მოსჭრეს, პროტეზს ატარებს და არავინ დასცინის, რატომ არ შეიძლება კაცმა პარიკი ატაროს, თუ იგი მელოტია? ისე მტკიცედ მარწმუნებდა, რომ მისი სიტყვები დავიჯერე და მის რჩევას, რომ მეც მეტარებინა „ნაკლადკა“ - დავეთანხმე, შევუკვეთე ჩვენს პარიკმახერებს „ნაკლადკა“, მაგრამ ცხოვრებაში მისი ტარებისა შემრცხვა. გადავწყვიტე, რომ კონცერტებზე გამოსვლისას გავიკეთებდი.

კონსერვატორიაში ვ. ანჯაფარიძის საღამო გაიმართა. მეც მთხოვეს, მიმეღო მონაწილეობა. წვიმიანი საღამო იყო. დიდის ამბით დავიდევი თავზე პარიკი და, გზაში წვიმას რომ არ დაეშალა, ვიშოვე ეტლი და კონსერვატორიისაკენ გავემართე. ვდგავარ კულისებში „თმახუჭუჭა“ ბიჭი. თავს უხერხულად ვგრძნობდი, კონფერანსიე ჭიაურელმა გამოაცხადა ჩემი გვარი. უნდა გავიდე სცენაზე და უცბად თავში გამიელვა: დამსწრე საზოგადოება დღეს დილით მელოტს მხედავდა და ამ საღამოს თმიანი წარვსდგები მის წინაშე. მეუხერხულა, ულამაზოდ მეჩვენა. ერთ წუთს მოვიძვრე პარიკი, გადავისვი თავზე ხელი. როგორიც ვიყავი ცხოვრებაში, ისე გამოვედი სცენაზე. ის იყო და ის, პარიკი არასდროს არ მიხმარია ცხოვრებაში.

იყავი ცხოვრებაში ისეთი, როგორიცა ხარ. ნუ ეცდები ხალხის შეცდომაში შეყვანას. ბუნებრიობას არაფერი სჯობს. შელამაზებული არც გარეგნობა ვარგა და არც შენი ხელოვნური სულიერი თვისებანი - თუ გიხარია, გაიხარე; თუ გწყინს, ნუ ეცდები დაფარვას. შენს განცდებს ნუ შეუფარდებ სხვის სურვილს.

სამწუხაროდ, ასეთმა შეხედულებამ ადამიანის უძრაობაზე და ბუნებრიობაზე ცხოვრებაში მე ბევრი ზიანი მომაყენა, მაგრამ მაინც ასე მიწირავს და ასევე ვწირავ მომავალშიც... დიპლომატია არ გამომდის...

●

1937 წელია. საშინელი წელიწადი: იჭერდნენ ყველას - მტყუანსაც და მართალსაც. შიში იყო გამეფებული მოსახლეობაში. არ გქონდა იმედი, რომ ხვალინდელი დილა მშვიდობით გაგითენდებოდა. ხალხში სულ გაისმოდა: წუხელის ეს დაიჭირეს, ის გადაასახლეს, მას ეძებენ და სხვ.

ერთ დროს ჩემზედაც დადიოდა ხმები, რომ დამიჭირეს. დანახვისას გვერდზე ჩამივლიდნენ, ეშინოდათ დასაჭერად გამზადებულისა და ჩემთან მოსაუბრენიც არ დაეჭირათ. ბევრ ვინმეზე იყო გავრცელებული. მაგალითად, სანდრო შანშიაშვილზე, ნატო ვაჩნაძეზე, კოლია შენგელაიაზე და სხვ. ფუტბოლის თამაშის დროს სტადიონზე იყო მთელი მთავრობა (ლოჟაში ისხდნენ). ლოჟის ქვემოთ, ტრიბუნებზე იჯდა კ. შენგელაია თავისი ნატათი. ბერიამ მიიწვია ისინი ლოჟაში და გვერდით მოისვა. რასაკვირველია, ხალხმა ეს შენიშნა. ეს იყო და ეს, მეორე დღეს არავის უთქვამს, რომ კოლია და ნატა ან დაიჭირეს, ან დაიჭერენო. მეც დაახლოებით ასეთივე ამბავი შემემთხვა. რა თქმა უნდა, არ არის სასიამოვნო, როდესაც ამბობენ, რომ დაგიჭერენ, მაგრამ მე დამშვიდებული ვიყავი, რადგან არანაირი დანაშაული არ მქონდა ჩადენილი, მაგრამ მაინც ღელავდნენ ჩემი მეგობრები, ნათესავები, ოჯახი.

ერთხელ თეატრში რეპეტიცია გვიანობამდე არ დამთავრდა. რეპეტიციის შემდეგ მე, შალვა და მანაველ აფხაიძეებმა გადავწყვიტეთ, ცოტა ხნით ოპერის თეატრში შევსულიყავით, სადაც ოლიმპიადა მიმდინარეობდა. გაუპარსავნი ვიყავით და არც სათანადოდ ჩაცმულნი. ამიტომ, პარტერის ნაცვლად, იარუსის (მესამე) ლოჟაში დავსხედით. დარბაზი განათებული იყო. სცენაზე ანსამბლები ერთმანეთს სცვლიდნენ. პირდაპირ მთავრობის ლოჟა იყო, სადაც ბერია და მთავრობის დანარჩენი წევრები ისხდნენ. ჩვენი ლოჟის კარს დახურვისა და გაღებისას ტკაცანი გაჰქონდა. ლოჟაში რომ შევედით, ხალხმა დაგვინახა. შევამჩნიეთ, რომ ბერიამაც დაგვინახა. მან მოიხმო თავისი მცველი და რაღაცა უთხრა. გავიდა ცოტა ხანი და ტკაცუნით გაიღო ჩვენი ლოჟის კარი და შიგ ფორმაში გამოწყობილი მცველი შემოვიდა. მე მომმართა და მითხრა - ბერია სამივეს თავის ლოჟაში გთხოვთო. მთელი დარბაზი ჩვენ გვიყურებდა. ავდექით და გამოვედით დერეფანში. ბევრმა იფიქრა, რომ ჩვენ დაგვიჭირეს. შევედით ბერიას ლოჟაში და უკან გავჩერდით. ბერიამ დამიძახა და თავის გვერდით დამსვა. როდესაც ხალხმა ბერიას გვერდით დამინახა, სცენას თავი დაანება და სულ ლოჟისაკენ იცქირებოდნენ. ბერია რაღაცას მეკითხებოდა და მივხვდი, რატომ გააკეთა ეს. ძალზე აღელვებული ვიყავი და არა მესმოდა რა. მეორე დღეს ჩემი დაპატიმრების შესახებ ჭორი ხალხში მოისპო.

●

1937 წელს სრულიად უმართებულოდ დააპატიმრეს ჩემი ქვისლი გიგო ბაქრაძე და ჩემი მეუღლის ნათესავი ვანო მაყაშვილი. ორივეს წვრილშვილები დარჩა. ყოველ ზაფხულს აგარაკზე მიყავდათ თავიანთი ოჯახები. დაპატიმრების შემდეგ კი რა დროის აგარაკი იყო. მე, რადგან ფული მქონდა მიღებული, რამდენიმე დღეში მივიყვანე საბარგო მანქანა, ჩავსვი ბავშვები, ქალები და ავიყვანე წყნეთში, ვუქირავე ოთახები, დავუტოვე საცხოვრებლად სახარჯო ფული და უკან გამოვბრუნდი. ორი დღის შემდეგ თავისთან დამიბარა ბერიამ. დამხვდა მოღუშული. ხელში რაღაც ქაღალდი ეჭირა. მელაპარაკება რუსულად: სად იყავით გუშინწინ? ქალაქში, ვუპასუხე მე. არა, არა, ქალაქიდან გახვედით. დიახ, ავედი წყნეთში. ვისთან ერთად ახვედით წყნეთში? მე მოვყევი, რომ დაიჭირეს ჩემი საუკეთესო მეგობრები, ბაქრაძე და მაყაშვილი. მათ დარჩათ ოჯახები წვრილშვილით. ამ სიცხეში ბავშვები შეიძლება ავად გახდნენ, ამიტომ ავიყვანე ისინი წყნეთში საագარაკოდ. თუკი არიან ხალხის მტრები, ხუთი წლის ბავშვებმა რა დააშავეს, გაიზარდონ, იქნებ მათგან ჩვენი ქვეყნისათვის სასარგებლო ხალხი დადგეს. მათ ოჯახს ეყოფა თავისი გასაჭირი. ჩემი საქციელი ჩემი მეგობრების წინაშე ჩემს მოვალეობად ჩავთვალე. დიდხანს მისმენდა. მერე ჩემსკენ შემობრუნდა და მითხრა: „აი, წაიკითხეთ“ და ქაღალდის ფურცელი გამომიწოდა. წერილი ანონიმური იყო. შიგ ეწერა, რომ მე ამა და ამ დღეს, ამ საათზე, საბარგო ავტომობილზე ვიჯექი რეპრესირებულთა ბავშვებთან და ცოლებთან ერთად და გავსწიე წყნეთისაკენ. ანონიმი აღშფოთებას გამოთქვამდა ჩემი ასეთი საქციელისა გამო და მკაცრად დასჯას მოითხოვდა.

ეტყობა, ამ წერილმა ძლიერ ამაღელვა და მივმართე ბერიას: - რა დააშავეს ბავშვებმა-მეთქი. „ამის დამწერი რომ პატიოსანი კაცი იყოს, გვარს მიაწერდა, წადით, მოუარეთ ბავშვებს და ეცადეთ, კარგი მოქალაქენი გამოვიდნენ, - „მითხრა ბოლოს ბერიამ“. მადლობა გადავუხადე და ოთახიდან გამოვედი.

მე მგონია, რომ ეს შეხვედრა იყო მიზეზი იმისა, რომ ჩემი მეგობრების მეუღლეებიც არ დააპატიმრეს. უმამოდ გაიზარდნენ ბავშვები და მეც გახარებული ვარ - დღეს ისინი სასახელო ადამიანები არიან და უფრო მიხარია, რომ ჩემს მეგობრებს თუ არა, იმათ ოჯახებს მაინც გავუწიე მეგობრობა.

მართალია, ორივე რეპრესირებული შემდეგ რეაბილიტირებულნი იყვნენ, მაგრამ ორი შესანიშნავი, მართალი ადამიანი სრულიად უსაფუძვლოდ დაიღუპა. საშინელი წელი იყო ქართველი ხალხისთვის და, განსაკუთრებით, ქართველი ინტელიგენციისათვის და განა მარტო ქართველებისათვის.

●

არამზადა რუხაძის პარპაშის დროს დააპატიმრეს ჩემი მკვიდრი ბიძაშვილი დავით შურღაია, რომელიც მსახურობდა იურიდიული ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სასწავლო ნაწილის გამგედ, დააპატიმრეს იმიტომ, რომ თითქოს ინსტიტუტში რაღაც ბოროტმოქმედებანი იყო ჩადენილი მისი და ინსტიტუტის დირექტორის - მირიანაშვილის მიერ. ცხადია, მეცა და შურღაიას ოჯახიც ძალზე შეწუხებულნი ვიყავით. ჩვენ მის უდანაშაულობაში ვიყავით დარწმუნებულნი (ბოლოს აკი რეაბილიტირებულ იქნა!). რაღაც უნდა გვეღონა. გადავწყვიტე, მიმემართა რუხაძისათვის, რომ ჩემი ერთადერთი, ძმასავით ახლობელი და ნათესავი უმართებულოდ არ დაეღუპათ.

რუხაძეს ვიცნობდი სსრკ დეპუტატად ყოფნის დროიდან - ისიც დეპუტატი იყო. მივედი და ვუთხარი, რომ თვითონ გამოერკვია შურღაიას საქმე და, თუ დამნაშავე აღმოჩნდებოდა, დაესაჯა, თუ არადა გამოეშვა. დამპირდა. არ ვიცოდი თუ შენი ნათესავი იყოო, დღესვე გამოვითხოვ მის საქმეს და თვითონ გავარჩევო. დამამშვიდა და მითხრა, რომ შურღაიას ოჯახიც დამემშვიდებინა. მეც, დაიმედებულმა, მადლობა გადავუხადე.

გავიდა რამოდენიმე ხანი და ციხიდან მივიღე (არ ვიცი, როგორ მოახერხა გადმოგზავნა) ბარათი შურღაიასაგან, სადაც მწერდა, რომ ფრთხილად ვყოფილიყავი რუხაძესთან. რომ რუხაძეს უნდა, მას ხელი მოაწერინოს განცხადებაზე, სადაც ნათქვამია, რომ მე ვარ ტერორისტი, უცხო ქვეყნის აგენტი და სხვა ამგვარი ბოდვები. რასაკვირველია, შურღაიას ამ პროვოკაციულ ცილისწამებაზე ხელი არ მოუწერია, რის გამოც უმოწყალოდ სცემდნენ და აწამებდნენ. კაცი იქამდე მიიყვანეს, რომ ციხეშივე გარდაიცვალა. ყველამ კარგად ვიცოდით რუხაძის მტრული დამოკიდებულება მეგრელიძის მიმართ, მაგრამ რა ვიცოდი, თუ ის პირში უცინოდა ადამიანს და ზურგს უკან კი სამარეს უთხრიდა. ასეთი ბუნება გამოაშკარავდა უმაღლესი სასამართლოს მიერ მისი და მისივე დამქაშების გასამართლების დროს). ყოველ შემთხვევაში, მაშინ გავიგე თუ რა პროვოკატორი, როგორი გაიძვერა, უღირსი, მავნე ადამიანი ყოფილა იგი!

საინტერესოა ერთი ფაქტიც: დაპატიმრებული იყო რეჟისორი კუკური პატარიძე, რომელსაც, აგრეთვე, მოთხოვეს, ხელი მოეწერა ჩემს წინააღმდეგ ჩვენებაზე, სადაც ნახსენები ვიყავი, როგორც ტერორისტი და დივერსანტი. პატარიძე აღმოჩნდა მტკიცე ნების ადამიანი და საბრალომ ჩემს გამო ბევრი ცემა გადაიტანა, სიცრუესა და შეთითხნილ ბრალდებას ჩემს მიმართ ხელი არ მოაწერა. ეს ამბავი თავად პატარიძისგან ვიცი.

დღესაც არ მესმის, ვინ ან სად იყო ის ვიღაცა, ვინაც ასე დაინტერესებული იყო ჩემს განადგურებაში. მე გულწრფელად ვემსახურებოდი ჩემს ხალხს და ის ვიღაცები ჩემს ზურგსუკან პროვოკაციულ ქსელებს აბამდნენ ჩემს დასაღუპავად. ახირებული მდგომარეობა შეიქმნა ჩემს ირგვლივ: რადიოთი ემიგრანტები მლანძღავდნენ, რომ მე მივეყიდე ბოლშევიკებს, ხოლო საქართველოს ჩეკა ეძებდა მასალებს, რომ მე ტერორისტი ვიყავი. რა ბედმა გადამარჩინა განადგურებას, დღესაც არ ვიცი. რატომ, რისთვის ჩემს ირგვლივ ასეთი პროვოკაცები. მე ვიყავი ახალი ქართული თეატრისათვის მებრძოლთა რიგებში, მთელი ჩემი შესაძლებლობით ვემსახურებოდი ქართული თეატრის დიდებას. სჩანს, მტერი მყოლია და დღესაც მყავს. ყველამ თავისი სიმართლით იაროს ამ ქვეყანაზე. მე დამშვიდებული ვარ, რადგან ჩემი სინდისი წმინდაა ჩემი ხალხის წინაშე. დრო ისეთია, რომ მტრობა, პროვოკაცია, დემაგოგია, პოპულიზმი დიდხანს ვერ იბოგინებს. ის მალე გამოაშკარავდება, რადგან დრო მართალი კაცის ქომაგია. სწორედ დრომ ბევრი ადამიანი, რომელნიც სთხზავდნენ ჩემს წინააღმდეგ ყოველგვარ ჭორებს, გამოააშკარავა და მათ მიიღეს საზღაურიც. მაგრამ ამ ჭრილობებს გაძლება არ უნდა? ადამიანის ნერვები ხომ რკინისა არ არის.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გაზეთი „მამული“ გამოსცემს სპეციალურ ნომერს მიძღვნილს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სიკვდილისადმი, თქვენ შესაძლებლობა გექნებათ ერთ გაზეთში, რვეულად აკინძული სახით წაიკითხოთ მოწმეთა ჩვენებები, დისკუსიები, გაეცნოთ პრეზიდენტის მარშრუტს, იმ დღეების ნამდვილ პერიპეტიებს და თავად გამოიტანოთ დასკვნა.

მაშ ასე, ელოდეთ გაზეთ „მამულის“ ისტორიულ ნომერს.

გიორგი ბეზირგანი

# თბილისი, 1937 წელი

*გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მამული“ 2005 წლის №14*

●

საქართველოს სამხედრო გზაზე სასიკვდილოდ დაჭრილი საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი ხარიტონ ხაცკევიჩი თბილისის მისადგომებთან გარდაიცვალა. მხოლოდ წუთით მოვიდა გონს.

- ნინა, - დაბინდული მზერა მიაპყრო ბერიას ცოლს - ნინა თეიმურაზოვნას და უსასოოდ დაიჩურჩულა ხაცკევიჩმა, - ჩემი შვილი... მიმიხედე... პირობა მომეცი, რომ...

- გეფიცები, მივხედავ, ხარიტონ, - დაამშვიდა ქალმა.

მისი პასუხი ხაცკევიჩს აღარ გაუგონია.

ცხადია, თავდამსხმელები პენსნემ შეაცდინა - ხარიტონიც ხომ ბერიასავით ახლომხედველი იყო და პენსნეს ატარებდა. ჰოდა, ტერორისტებსაც ბერია ეგონათ. ასე რომ, „მსხვილი ნადირი“ კვლავ გადაურჩა სიკვდილს.

ვინ იყო ამ ტერორისტული აქტის შემკვეთი? ამ კითხვას ზუსტი პასუხი ვერავინ გასცა. თუმცა...

- მესამე ცდა! - ცალყბად ჩაიღიმა ლავრენტიმ. - მესამე, ისევ უშედეგო და უკანასკნელი! ახლა კი მიფრთხილდი, გლუხოი!

„გლუხოი“ აფხაზეთის ლიდერის - ნესტორ ლაკობას პარტიული ფსევდონიმი გახლდათ.

ამიერკავკასიის ხელმძღვანელზე ნადირობის სეზონი დასრულდა. ამ დღიდან თავად იგი ჩადგა სტალინური სამონადირეო მეურნეობის ეგერთა რიგებში.

●

სკკპ-ის მე-17 ყრილობის №1113 დელეგატი აღასი ხანჯიანი ფიცხი, გაუწონასწორებელი კაცი იყო, ხანდახან წაიქარაფშუტებდა კიდეც. სომხეთის კომპარტიის პირველი მდივნის თანამდებობამ, რაც 20-იანი წლების საკადრო ცვლილებებმა არგუნა წილად, არათუ გამოაფხიზლა და დაასერიოზულა, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო დაახვია თავბრუ. მოსალოდნელიც გახლდათ ეს - 30-ს მიტანებული ახალგაზრდა კაცი რესპუბლიკის ხელმძღვანელი გახდა! ეს იყო ჭეშმარიტად ბონაპარტული ნახტომი, რასაც ნაპოლეონისეული ტულონის გამარჯვება, ვანდემიერი და ეგვიპტის ლაშქრობა არ დასჭირებია. ხანჯიანი ხვდებოდა, რომ ეს მისი კარიერის მწვერვალი იყო. მართლაც, სხვა რაღაზე უნდა ეოცნება? თბილისში, სამხარეო სტრუქტურებში თუ მოსკოვში, ცენტრალურ აპარატში გადაყვანაზე? საეჭვოა... ან სჭირდება კი ამგვარი რამ? ერევანში იგი, ასე თუ ისე, რესპუბლიკისა და საკუთარი თავის ბატონ-პატრონია.

ყრილობაზე სათვალავშიც არ ჩაუგდიათ, სიტყვა არ მისცეს, პრეზიდიუმში მისთვის ადგილი არ გამოიძებნა. აზერბაიჯანის ხელმძღვანელი მირ ჯაფარ ბაგიროვი სამდივნოში აირჩიეს, ხანჯიანი - ტილიან სამანდატო კომისიაში. მოკლედ - შენი ადგილი იცოდეო, - აგრძნობინეს. არადა, პარტიული სტაჟი მას, ბაგიროვსა და ბერიას ერთნაირი აქვთ - 1917 წლიდან. თითქმის თანატოლები არიან. განსხვავება კი მათ შორის საკმაოდ დიდია: ხანჯიანი პირველივე დღიდან პარტიულ სამუშაოზეა, ისინი კი ჩეკისტები არიან, თანაც, მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ - ბნელი წარსულის მქონენი. ჩეკადან - ცეკაში! როგორია, ა?

კი, რესპუბლიკას ხელმძღვანელობს, მაგრამ... ბელადსა და მას შორის კიდევ ერთი შუალედური ხელმძღვანელია - ფედერაციის მეთაური ლავრენტი ბერია. თუმცა, უკვე ლაპარაკობენ ფედერაციის გაუქმებაზე. ჰოდა, მაშინ... ერთი სიტყვით, უკვე უნდა ემზადოს ამ დღისთვის, ახლავე უნდა დაიწყოს.

ამიერკავკასიის ხელმძღვანელთან ურთიერთობა თავდაპირველად არცთუ დალაგებული ჰქონდა. შეიძლება, ამაში ავმა ენებმა ითამაშეს ბოროტი როლი... როცა, 1931-ში, ერთ-ერთ თათბირზე ბელადმა ბერიას კანდიდატურა წამოაყენა, ამიერკავკასიის მთელი ხელმძღვანელობა - ლავრენტი ქართველიშვილი, მამია ორახელაშვილი, ბუნიათ-ზადე და სხვები - ყალყზე შედგნენ, ხოლო აღასიმ, ეშმაკმა აცდუნა თუ რა იყო, მის გვერდით მჯდომ სნეგოვს, საქართველოს ცეკას ორგმდივანს - გადაუჩურჩულა: „უჰ, რას გავახარებთ ამიერკავკასიელ ამხანაგებს?!“ იქნებ სნეგოვმა „ჩაუშვა“, ვიდრე ბერია მას თავიდან მოიცილებდა და მის ადგილას „თავის კაცს“ - გრიშა არუთინოვს დასვამდა?

იქნებ არც არავის დაუსმენია...

ბერია ჯეროვნად აფასებდა აქტიურ, ენერგიულ მუშაკებს. მან ხანჯიანიც შენიშნა. აღასიც ვალში არ რჩებოდა - წამდაუწუმ ხოტბას ასხამდა „პარტიის ერთგულ შვილს“, რამდენიმე საწარმოსა და კოლმეურნეობას მისი სახელი მიანიჭა, სურდა, ქალაქ კარაკლისისთვისაც მისი სახელი დაერქმია, მაგრამ ბერიამ არ დაანება. ახლა კი, მირონიჩის ავაზაკური მკვლელობის შემდეგ, ლავრენტიმ ამ ქალაქს კიროვაკანი დაარქვა.

ერთი სანუკვარი ოცნება ჰქონდა აღასის, ჩანაფიქრი, რომელიც მისთვის ისეთივე ტრამპლინი უნდა გამხდარიყო, როგორიც ტულონის გამარჯვება იყო ნაპოლეონისთვის: პროგრამა მაქსიმუმი - რესპუბლიკათაშორისი საზღვრების გადასინჯვა; პროგრამა-მინიმუმი - ავტონომიის შექმნა საქართველოს სომხურენოვან რაიონებში. ერთხელ ორჯონიკიძესთან საუბარში წამოიჭრა ეს თემა - ის ხომ ამიერკავკასიის არაოფიციალური კურატორი იყო.

- მერე რაო? - დაინტერესდა ყოფილი ფერშალი, რომელიც ბედმა გეოპოლიტიკოსად აქცია. - იდეა ჯანსაღ აზრს როდია მოკლებული. საჭიროა, კარგად ავწონ-დავწონოთ, ყველაფერი გავიაზროთ...

თვით ამხანაგ სერგოს მხარდაჭერით ფრთაშესხმული ხანჯიანიც აქტიურად შეუდგა ამ იდეის „ყოველმხრივ გააზრებასა“ და „აწონ-დაწონას“.

და აი...

- გავიგე, ერევანში რაღაც პროექტზე მუშაობენო. შენ იცი რამე ამის შესახებ? - მოხსენება შეაწყვეტინა და მოულოდნელად, ჯიქურ ჰკითხა ბერიამ.

- პროექტი? - შეკრთა აღასი. - რა პროექტს გულისხმობთ, ლავრენტი პავლოვიჩ?

- ახალქალაქსა და მის მიმდებარე რაიონებში ეგრეთ წოდებული ჩრდილო სომხეთის ავტონომიის პროექტს, ამხანაგო ხანჯიან! - თითქმის მარცვალ-მარცვალ გამოკვეთა ბერიამ.

კაბინეტში, მათ გარდა, ცეკას საორგანიზაციო განყოფილების უფროსი, თელავში დაბადებული და გაზრდილი არუთინოვიც იყო, ეგრეთ წოდებული „შურტვაც ჰ აია“, ანუ „ამობრუნებული სომეხი“, - როგორც ერევანში ეძახიან მისნაირებს. დედა ქართველი ჰყავდა, სომხურისა ინჩიბინჩი არ იცოდა.

- აჰ, ლავრენტი პავლოვიჩ, - აღმოხდა დაბნეულ ხანჯიანს, - მართლაც, არსებობს ასეთი... ეე... როგორ ვთქვა... ასეთი გეგმა. ერთხელ ამხანაგ სერგოს ვესაუბრე ამ თემაზე. თითქოს... მოეწონა კიდეც...

- მაშ, მოეწონა, არა?

- დიახ... შესაძლოა, ამ გეგმას ზოგიერთებმა სხვანაირად შეხედონ, ეს გასაგებია... მაგრამ მე არ მესმის მავანი ქართველი ამხანაგის აღელვება... ხომ არსებობს სამხრეთ ოსეთის ოლქი?.. ამასთან, ჩვენ ხომ, ასე ვთქვათ, ერთ ფედერაციაში შევდივართ...

## ხალიჩაში გახვეული ცხედარი




- მაშ, რაკი ერთ ფედერაციაში ვართ, - ავისმომასწავებელი, სუსხიანი კილოთი გამოსცრა ბერიამ, - რატომ არ შეიძლება, ავდგეთ და პირდაპირ მივუერთოთ სომხეთს ეს ძირძველი ქართული მიწა?.. რა განსხვავებაა?.. „ასე ვთქვათ“...

ხანჯიანი დუმდა.

- რაც შეეხება ამხანაგ სერგოს... - იმავე კილოთი განაგრძო ბერიამ. - როგორც მე ვიცი, იგი მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს ხელმძღვანელობს და არა ამიერკავკასიის ფედერაციას. თუ - ვცდები?!

გრიშა არუთინოვმა ჩაიცინა და ქართულად რაღაც უჩურჩულა ლავრენტის... ფუჰ! შურტვაცი - შურტვაცია! არაფერია უკუღმა ამობრუნებულ სომეხზე უარესი!..

ინციდენტი, თითქოსდა, ამით ამოიწურა. მაგრამ ამ წუთიდან ხანჯიანის კარიერა დაღმა დაეშვა... 1934-ის დეკემბერში კი აღასის აუწყეს, შენი გადაყენება - „სხვა სამუშაოზე გადაყვანა“ - ფაქტობრივად, უკვე გადაწყვეტილია და ეს მოსკოვთანაც შეთანხმებულიაო. ახალი კანდიდატურაც შეურჩევიათ - მეტიჩარა და წინამასწარა ამატუნი, სომხეთის კომპარტიის ცეკას რიგითი მდივანი!

იფ! მშვენიერი საახალწლო საჩუქარია! ბევრს იღებს საკუთარ თავზე, როგორც ამბობენ ხოლმე, ამხანაგი ლავრენტი!..

●

**მარია სვანიძის დღიურიდან:** (ა. სვანიძის - ი. სტალინის პირველი ცოლის ძმის - მეუღლე)

„5 დეკემბერი, 1934 წელი.

...ჩვენ საგანგებო ბილეთები გვქონდა სვეტებიან დარბაზში შესასვლელად, სადაც კიროვი ესვენა. სტაჰ რედენსმა *(სტალინის ქვისლი - რედ.)* განკარგულება გასცა, რომ ალილუევები, მე და ალიოშა შევეშვით გაჩახჩახებულ დარბაზში. იქაურობა ჭერამდე აღმართული წითელი და შავი დროშებით იყო მორთული. ცენტრში, ამაღლებულ ადგილას, წითლად შეღებილი სადა კუბო იდგა. მიცვალებულს მომწვანო-მოყვითალო ფერი ედო სახეზე, მარცხენა საფეთქელსა და ღაწვზე მუქი ლაქები აჩნდა - ეტყობა, დაცემისას იატაკს დაჰკრა. კუბო თაიგულების ზღვაში იყო ჩაფლული. ცხედრის მარჯვენა მხარეს მირონიჩის ქვრივი - მარია ლვოვნა იჯდა, გვერდით - მისი და კიროვის დები, შემდეგ - ლენინის და - მარია ილინიშნა. ლენინის ქვრივი ნადეჟდა კრუპსკაია, კატია ვოროშილოვა, ნიურა ალილუევა-რედენსი, ზინაიდა ორჯონიკიძე, მაია ორახელაშვილი. ჩვენც ამ ჯგუფს შევუერთდით.

ცოტა ხნის შემდეგ მტკიცე ნაბიჯებით შემოვიდნენ იოსები, ვოროშილოვი, მოლოტოვი, ორჯონიკიძე, კაგანოვიჩი, ჟდანოვი, მიქოიანი და სხვები. ჟღერს შოპენის სამგლოვიარო მარში. კუბოსთან მიდის სახეგაქვავებული იოსები, იხრება და სერგეი მირონოვიჩის გაყინულ შუბლს ეამბორება. სულისშემხუთველი სურათია, მთელი დარბაზი ქვითინებს. ასევე თბილად, ცრემლისღვრით ემშვიდობება მიცვალებულს სერგო - მირონიჩის უახლოესი მეგობარი...

დარბაზს ვტოვებთ. კიროვის კუბო გამოაქვთ, მანქანაზე ასვენებენ და, უზარმაზარი კორტეჟის თანხლებით, კრემატორიუმისკენ მიჰყავთ. დილით მირონიჩის ცხედრისაგან ერთი მუჭა ფერფლილა დარჩება, სამაგიეროდ, ხალხის გულში მუდამ იარსებებს მისი ხსოვნა და, ამავე დროს, სიძულვილი კიროვის მკვლელებისადმი...“

●

ხარიტონ ხაცკევიჩი ნაკლები ზარ-ზეიმით, მაგრამ ყველანაირი პატივის მიგებით დაკრძალეს კომუნარების - ყოფილ ალექსანდროვის ბაღში. სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვით გამოვიდა ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ლავრენტი ბერია.

- კლასობრივი მტრის ბანდიტურმა ტყვიამ, - თქვა მან, - უდროოდ წაგვართვა შენი თავი, ჩვენო მებრძოლო მეგობარო, მაგრამ მშვიდად იძინე, ჩვენ, შენი მეგობრები, შურს ვიძიებთ, ხალხის მტრებს მათივე შავი სისხლით ვაზღვევინებთ შენს სიკვდილს...

მალე თბილისში მინსკიდან ჩამოვიდა საიდუმლო დოკუმენტაცია, რომელიც ხაცკევიჩს „კონტრრევოლუციურ-ტროცკისტულ საქმიანობაში“ ამხელდა. ბელორუსი ამხანაგები სთხოვდნენ ქართველ კოლეგებს, შეესწავლათ „ორპირი ხაცკევიჩის“ საქმე და გაერიცხათ იგი პარტიის რიგებიდან.

- რა ვქნათ? - ჰკითხა შეფიქრიანებულმა ლავრენტიმ ცოლს.

- არაფერი, - მტკიცედ მიუგო ნინა თეიმურაზოვნამ. - მისწერე მინსკს, რომ შენ მიცვალებულებს პარტიიდან არ რიცხავ.

- საწყალი ხარიტონი... - ჩაიბუტბუტა ბერიამ. - იცი, რა, ნინა, ეს საკმაოდ რთული ამბავია. ხაცკევიჩის ცოლ-შვილი პასუხისმგებელ პირთათვის განკუთვნილ დიდ ბინაში ცხოვრობს. ხარიტონი კი ქალაქის ცენტრში, ალექსანდროვის ბაღშია დაკრძალული და...

- იწვეს იქ, სადაც წევს! - გადაჭრით თქვა ნინა თეიმურაზოვნამ. - დედა-შვილი კი იქვე დარჩება, სადაც ცხოვრობს! ლავრენტი, ხომ არ დაგავიწყდა, მომაკვდავ ხარიტონს რომ შევფიცე, შენს შვილზე ვიზრუნებ-მეთქი?.. ხომ არ დაგავიწყდა, რომ ხაცკევიჩს შენთვის გამიზნული ტყვია მოხვდა?

- ყველაფერი მახსოვს, - მოიღუშა ბერია. - კარგი, ნინა, ნუ ღელავ, ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენ გსურს...

ერთადერთი, რითაც ბერია მინსკიდან მიღებულ დოკუმენტაციას გამოეხმაურა, იყო ის, რომ ხაცკევიჩის საფლავზე მემორიალური დაფა მოახსნევინა - თბილისელებმა ისედაც იციან, ვინ არის დაკრძალული კომუნართა ბაღის ცენტრში. ამასთანავე, ლავრენტი პავლოვიჩის განკარგულებით, ხაცკევიჩის ქვრივს დაენიშნა სამუდამო პენსია, ვაჟს - სრულწლოვანებამდე.

●

**მ. სვანიძის დღიურიდან:**

„8 დეკემბერი, 1934 წელი.

სირცხვილი და თავის მოჭრაა!.. სულ ახლახან დავკრძალეთ კიროვი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის არკადი როზენჰოლცის ბინაში კი ჩვენი საზოგადოების ნაღები დილამდე ცეკვავდა საფრანგეთის ვაჭრობის მინისტრის მორშანდოს პატივსაცემად.

სხვათაშორის, როზენჰოლცმა ამასწინათ დაასაფლავა საკუთარი ქალიშვილი, გზაარეული კახპა. ზოგი ამბობს, თავი მოიკლაო, სხვები ამტკიცებენ - მოკლესო. ამ მორშანდოს მაინცდამაინც სამგლოვიარო დღეებში მოუნდა ჩამოსვლა! ჩვენებიც მაგარი პირფერები არიან, ცეკაში გაატარეს მთელი ღამე. ნუთუ ყოველივე ეს ცეკას თანხმობით მოხდა?..

მე და ალიოშაც მიგვიწვიეს. მწვანე კოსტიუმი მეცვა. ბუდუ მდივანიც იყო ჩამოსული თბილისიდან. თითქოს ჩვეულებისამებრ ხუმრობდა, იცინოდა, ჩვენს გამხიარულებას ცდილობდა, მაგრამ, ეტყობოდა, ძალას ატანდა თავს...

●

აღასი ხანჯიანი კი არ შევიდა, ქარიშხალივით შეიჭრა პირველი მდივნის მისაღებში.

- ამხანაგ ბერიას არ სცალია, - წინ გადაუდგა პასუხისმგებელი მორიგე. - მოსკოველ სტუმრებს ესაუბრება!

- მაგრამ მე სასწრაფო საქმე მაქვს! - გაიმეორა აღელვებულმა ხანჯიანმა. - ძალზე სასწრაფო, გადაუდებელი! მოახსენეთ! ახლავე მოახსენეთ! თუ არადა, მოხსენების გარეშე შევალ!..

და ისევ კაბინეტისკენ გაიწია...

●

**მ სვანიძის დღიურიდან:**

„9 დეკემბერი, 1934 წელი.

...მე და ალიოშა ვიყავით იოსებთან. სადილობდა. მოუსვენარი ბუდუ მდივანიც უჯდა მაგიდას. იოსები გამხდარა, ფერი აღარ ადევს, თვალები სევდით აქვს სავსე. გაუხარდა ჩვენი დანახვა. სადილის შემდეგ კარგახანს იჯდა ჩაფიქრებული, შუბლზე ხელშემოდებული. „დავობლდი“, - ჩაილაპარაკა ხმადაბლა. თავისთვის, რა თქმა უნდა. საშინელებაა ასეთი ძლიერი პიროვნების ხილვა სისუსტის წამებში... იქნებ საჭიროა, უფრო ხშირად ვიაროთ მასთან, გავამხნევოთ... მაგრამ რა ვქნა, მერიდება... ძალიან მიყვარს იოსები, სულ გული მიმიწევს მისკენ, განსაკუთრებით - ნადიას თვითმკვლელობის შემდეგ *(ნადეჟდა ალილუევა, სტალინის მეორე ცოლი. - რედ.)*, მაგრამ ალიოშა ამბობს, ვაითუ თავი მოვაბეზროთო, ისედაცო, მეუბნება, იოსებს არ უყვარს, როცა მასთან ქალები დადიანო.

მე მგონია, ალიოშა აჭარბებს... იოსები უბრალო, ჩვეულებრივი ადამიანი არ არის, უდიდესი პიროვნებაა. ამასთან, იგი **უაღრესად კეთილია**“ *ხაზგასმულია მარია სვანიძის მიერ. - რედ.*.

●

ბერიასთან მოხსენებით შესულ სოლომონ მილშტეინს, ცეკას საიდუმლო განყოფილების გამგესა და, ამავე დროს, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ თავმჯდომარეს ერთი ტანმორჩილი, 35-ოდე წლის კაცი ახლდა თან.

- გაიცანი, ლავრენტი, - წარუდგინა სტუმარი მილშტეინმა: - მარტინ ივანოვიჩ მერჟანოვი - ცნობილი სპორტული ჟურნალისტი. ჩვენს „დინამოზე“ ამზადებს მასალას.

- ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს, - გაეღიმა ბერიას, წამოდგა და სტუმარს შეეგება.

მერჟანოვს გაუკვირდა.

- მე თქვენ, რა თქმა უნდა, გიცნობთ, ლავრენტი პავლოვიჩ... მთელი ქვეყანა გიცნობთ... მაგრამ პირადად... არ მახსენდება...

- მე კი მახსოვს, - მხიარულად გაეცინა ბერიას. - მომისმინეთ: ერთმანეთს ხვდებოდნენ ამიერკავკასიის ჩეკას და საქართველოს ჩეკას ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები... ეს იყო დაახლოებით 1923-ში... მატჩს თქვენ მსაჯობდით, მარტინ ივანოვიჩ...

***მსახიობები გოგა პიპინაშვილი და ზურა ყიფშიძე 30 წელია, ერთ თეატრში მოღვაწეობენ, მაგრამ ისეთი უშუალო პარტნიორები არასოდეს ყოფილან, როგორც „ემიგრანტებში“, რომლის პრემიერაც „თეატრ ათონელზე“ გაიმართა. მსახიობმა და რეჟისორმა ირაკლი აფაქიძემ, რომელიც 12 წელია, ჰოლანდიაში ემიგრაციაში იმყოფება, სპექტაკლში ნათლად წარმოადგინა დღევანდელი საქართველოს სინამდვილე და ქართველი ემიგრანტების ტრაგი-კომიკური ყოფა საზღვარგარეთ. ემიგრანტების თემასთან დაკავშირებით შეუძლებელია, მაყურებელს არ გაახსენდეს გუგული მგელაძის „ფესვები“, ლეგენდარული დოდო აბაშიძე, რომლის გმირიც თავისთავში აერთიანებს ქართველი კაცის ბუნებასა და ხასიათს.***

## *გუგული მგელაძე:*
# ღმერთმა დამსაჯა, საყიდლების გამო ემიგრანტების სუფრიდან რომ წამოვედი!




**ირაკლი აფაქიძე,** *რეჟისორი:* - 12 წელია, ემიგრაციაში ვიმყოფები ჰოლანდიაში, ამიტომ ქართველი ემიგრანტის ცხოვრება საზღვარგარეთ ჩემთვის სრულიად ნაცნობია. რამდენიმე წლის წინათ გავეცანი პოლონელი დრამატურგის სლავომირ ბროჟეკის „ემიგრანტებს“ (ავტორი თავად ცხოვრობდა ემიგრაციაში 45 წლის განმავლობაში). გამიჩნდა იდეა, იმავე ემიგრანტების თემაზე დამედგა სპექტაკლი, სადაც წარმოჩენილი იქნებოდა დღევანდელი საქართველოს სინამდვილე. თითქმის მილიონი ქართველი ცხოვრობს ქვეყნის საზღვრებს გარეთ, ვფიქრობ, ერთი ამდენი წასასვლელად ემზადება და საოცარია, ვინც წასულია, დაბრუნებაზე ოცნებობს, აქ დარჩენილები კი გაქცევას ცდილობენ.

**- რა პრინციპის მიხედვით შეარჩიეთ მსახიობები?**

- ეს პიესა დადგმული მაქვს ამსტერდამის ერთ-ერთ თეატრში, ამავე დროს, ზურას გმირი თავად განვასახიერე. საქართველოში ამ პერსონაჟის თამაში ზურას ვანდე, პიესა თავადაც ძალიან მოეწონა და არაჩვეულებრივად ითამაშა კიდეც. რაც შეეხება გოგას, თავიდან პიესა სწორედ მას წავაკითხე, პირველი რეპეტიციებიც დავიწყეთ. ორივე მსახიობი დიდი მონდომებითა და ენთუზიაზმით შეუდგა მუშაობას. რეპეტიციები დავიწყეთ მარტის დასაწყისში და აი, უკვე პრემიერაც გაიმართა.

**- რატომ შეაჩერეთ არჩევანი „თეატრ ათონელზე“?**

- თავიდან კინომსახიობთა თეატრში დავიწყეთ რეპეტიციები, მაგრამ შემდეგ ეს თეატრი ვარჩიე. მომწონს ეს სივრცე, პატარა სცენა, ინტიმი. აქ სხვანაირი განწყობაა, ზუსტად ისეთივე, როგორიც ამსტერდამის თეატრები.

**- თქვენ როდის დაბრუნდებით საქართველოში?**

- სურვილი ერთია და საშუალება - მეორე. ჩემი შვილები ამსტერდამში სწავლობენ, იქ პურის ფულს ვშოულობ, ჩემს ოჯახსაც ვინახავ და აქაც ვეხმარები. დავბრუნდები მაშინ, როდესაც ამ სპექტაკლში დასმულ კითხვებს პასუხი გაეცემა, თორემ სულ ჩემოდნებზე ვზივარ, დაბრუნებას ყოველ წუთს ვაპირებ. წარმოუდგენელია, შეეჩვიო ემიგრანტის ცხოვრებას. ამ სპექტაკლში წარმოდგენილია ორი ადამიანის ისტორია, რომლებიც აბსოლუტურად განსხვავებული პიროვნებები არიან და რომ არა ეს ექსტრემალური სიტუაცია - ემიგრაცია, ერთმანეთთან საერთო არასოდეს ექნებოდათ და ერთ ჭერქვეშ არ იცხოვრებდნენ. ერთი ხელოსანია, მიწის მუშა, შრომობს ოჯახის სარჩენად, მეორე ინტელექტუალია - ემიგრაციაში იმყოფება საკუთარი იდეის გამო, იქნებ იქ მაინც იგემოს ყლუპი თავისუფლებისა.

**ზურა ყიფშიძე,** *მსახიობი:* - რეჟისორმა მუშაობის დასაწყისშივე მითხრა, შეიძლება ბოლომდე ვერ ჩასწვდე პრობლემას, მაგრამ პირველივე რეპეტიციების შემდეგ მივხვდი, რომ შეიძლება, საკუთარ სახლში ცხოვრობდე და თავს ემიგრანტად გრძნობდე. სხვა ქვეყანაში დიდი ხნით არასოდეს მიცხოვრია, მაგრამ სტუდენტობის წლები მოსკოვში გავატარე, სხვა დროსაც წავსულვარ სამუშაოდ და ვიცი, რა არის ნოსტალგია. ასეც რომ არ იყოს, შეიძლება ითამაშო ჰომოსექსუალისტი და სულაც არ იყო ასეთი. მთავარია, პრობლემის არსი და თუ გრძნობ და გტკივა, ე.ი. შეგიძლია შენი განცდილი მაყურებელს გაუზიარო. დღეს ხომ ოჯახი არ არის საქართველოში, საკუთარი ემიგრანტი რომ არ ჰყავდეს საზღვარგარეთ.

**გუგული მგელაძე,** *რეჟისორი:* - ქართველი ემიგრანტების ცხოვრებაზე დიდი ხანია, მინდოდა ფილმის გადაღება. ოციოდე წლის წინათ ჟორჟიკა მდივანმა არაჩვეულებრივი სცენარი დაწერა „პატრიოტი“, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებას ეხებოდა. ყველაფერი მზად იყო, ფრანგი პროდიუსერი ჟორჟ შეიკო გვაფინანსებდა, ექვთიმეს როლზე ოთარ მეღვინეთუხუცესი დავაკავე, მაგრამ ხელი შეგვიშალეს. ცეკაში დამიბარეს და დამაწერინეს - სცენარი არ ვარგა და გადასაკეთებელიაო. გადაღება ჩაიშალა... ამ ფაქტიდან კარგა ხნის შემდეგ ჟორჟიკამ „ფესვების“ სცენარი მიამბო. მეგობრის დაკრძალვაზე ვიყავით. ესეც განუხორციელებელი იქნებოდა, რომ არა ერთი შემთხვევა: რუსთაველის თეატრმა „კავკასიური ცარცის წრე“ მოსკოვში გასინჯვაზე წარადგინა. სპექტაკლს ესწრებოდა ბრეჟნევის მრჩეველი ლიოვა ონიკოვი. მაყურებლებს შორის მე და ჩემი მოსკოველი მეგობარიც გახლდით, რომელსაც დიდ ხალხთან ნაცნობობა მეტად ემაყებოდა. ლიოვა დამანახა და მითხრა, - მეშვიდე რიგში კაცი რომ ზის, ბრეჟნევის მრჩეველია, მაგას რომ ვიცნობდე, ბედნიერი კაცი ვიქნებოდიო. მოხდა სასწაული, უცებ დავიძახე - ლიოვა! მოტრიალდა. - „გუგული, დოროგოი“, - მიცნო, დაცვას გამოეყო, გადამეხვია. ბავშვობაში თბილისში ერთ უბანში ვცხოვრობდით. მამიდაჩემი განათლებული ქალი იყო, ჩვენს ოჯახში ხშირად მოდიოდა. კითხვა უყვარდა. - თუ რამე გაგიჭირდა, დამირეკეო - მითხრა და ტელეფონის ნომრები ჩამაწერინა. „ფესვების“ გადაღებასთან დაკავშირებით სწორედ მას დავურეკე. ალექსანდრე ჩიკვაიძემაც უდიდესი დახმარება გამიწია, რომელიც მაშინ მოსკოვში დიდ თანამდებობაზე მუშაობდა... თენგიზ აბულაძის „მონანიება“ მოსკოვში გასინჯვაზე წაიღეს. - ან პრემიას მომცემენ, ან დამიჭერენო, - ნერვიულობდა. მოსკოვში სასტუმროში ერთად ვცხოვრობდით. მას გადაღებული ფილმის ბედი აღელვებდა, მე - ამაოდ დავდიოდი გადაღების უფლების მოსაპოვებლად. სწორედ თენგიზმა შემახვედრა ალექსანდრე ჩიკვაიძე. ბოლოს ყველაფერი დადებითად გადაწყდა, მოგვცეს საჭიროზე მეტი თანხა და სამი დღის შემდეგ 11 კაცი პარიზში გავემგზავრეთ. ეს იყო 1987 წელი.

***- დოდო აბაშიძის გარდა მთავარ როლზე სინჯები სხვასაც გადაუღეთ?***

- თავიდანვე დოდოზე შევაჩერე არჩევანი. გარეგნულად მოქეიფე, დარდიმანდის იერი ჰქონდა, მაგრამ საოცრად ნაკითხი კაცი იყო, ძალიან სევდიანი, დიდი პატრიოტი, დიდი პიროვნება. მას არ უთამაშია, ასახა ცხოვრება. გარკვეული დეტალები ემიგრანტების ცხოვრების სინამდვილიდან არის აღებული. საოცარი ის არის, რომ დოდო „ფესვების“ პრემიერის დღეს გარდაიცვალა, ზუსტად ისევე, როგორც მისი გმირი. პირველი ჩვენება კინოს სახლში გაიმართა. დოდოს საავადმყოფოში მიუტანეს ტელევიზორი, ფილმი რომ ენახა და შეეფასებინა, მაგრამ ვერ უყურა, ცუდად გახდა... ტრაგიკულად დასრულდა ლევან აბაშიძის ცხოვრებაც. მისი დაღუპვის ამბავი რომ შევიტყე, ძალიან განვიცადე, ოთახში დავდიოდი და მოვთქვამდი. თანატოლებისგან გამორჩეული იყო თავისი აღზრდით, ზნეობით.

**- ფრანგი მსახიობი ქალი ლორანსი როგორ მოიწვიეთ?**

- ის უკვე საქართველოში ნამყოფი იყო. ფრანგების მიერ ბათუმში გადაღებულ ფილმში მონაწილეობდა. ქართველები უყვარდა, გადაღებაზე სიამოვნებით დაგვთანხმდა. ახსოვდა, როგორ თანაუგრძნეს ქართველებმა, როცა მის ოჯახში ტრაგედია დატრიალდა - მეუღლე აბაზანაში გაზით მოეწამლა. გახმოვანებაზე ჩამოსულს უკვე ნასწავლი ჰქონდა ქართული - გუგული, შეხედე, როგორ გავხდიო, - შემომჩივლა. - „პივა“ უნდა დალიო-მეთქი, - ვუთხარი. „პივა“ კი არა, ლუდიო, - შემისწორა.

**- ქართველ ემიგრანტებს შეხვდით საფრანგეთში?**

- წამოსვლის წინა დღეს, 2 საათისთვის, მე და დოდო ქართველმა ემიგრანტებმა რესტორანში დაგვპატიჟეს. ოჯახის წევრებისთვის საჩუქრების ყიდვა მსურდა და ცოტა შეგვაგვიანდა. რა თქმა უნდა, არც საყვედური უთქვამთ. თამადა დოდო გახლდათ. უნდა გენახათ, ეს მოხუცი ემიგრანტები როგორ წუხდნენ საქართველოს ბედზე, როგორ ტიროდნენ. ჩემდა სამარცხვინოდ, სუფრიდან ჩუმად ავდექი და ახლომახლო მაღაზიებში წავედი - ოჯახში არ შემიშვებენ-მეთქი, ვფიქრობდი. მაგრამ ღმერთმა დამსაჯა, გადასასვლელზე ფეხი რკინას მივარტყი, 6 თვე ვმკურნალობდი. ვერც ლევილში წავედი... დრო არ მქონდა. დღეს ვნანობ.

**- ბატონმა დოდომ რა შეიძინა სახსოვრად?**

- დოდომ ჩემს ქალიშვილს ქეთინოს სთხოვა (ფილმის რედაქტორია), რძლისთვის ოქროს ჯაჭვი და გულსაკიდი შეერჩია. ეს იყო და ეს. ლევან აბაშიძემ მთელი ჰონორარით ფრანგ მეგობრებს რესტორანში უმასპინძლა...

კარგი დრო იყო, ავად თუ კარგად, იმ რეჟიმში ფილმებს ვიღებდით. კარგი იქნება, „ქართული ფილმის“ ფეხზე წამოყენებაში დაგვეხმარონ ახალგაზრდები.

**ესაუბრა**
**ქეთევან ხამიცაშვილი**

## *ზურა ყიფშიძე:*
## შეიძლება, საკუთარ სახლში ცხოვრობდე და თავს ემიგრანტად გრძნობდე!

# ამხ. ა. ხანჯიანი

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი იუწყება, რომ 1936 წლის 9 ივლისს, თვითმკვლელობის აქტის შედეგად, გარდაიცვალა სომხეთის კ. პ. (ბ) ც. კ.-ის მდივანი ამხ. **ხანჯიანი.**

სთვლის რა თვითმკვლელობის აქტს სულმოკლეობის გამოხატულებად, რომელიც შეუფერებელია განსაკუთრებით პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელისათვის, საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი აუცილებლად სცნობს აუწყოს პარტიის წევრებს, რომ ამხ. ხანჯიანმა თავის მუშაობაში ბოლო დროს დაუშვა მთელი რიგი პოლიტიკური შეცდომები, რაც გამოიხატა არასაკმაო სიფხიზლეში ნაციონალისტური და კონტრრევოლუციური ტროცკისტული ელემენტების მხილების საქმეში.

ამხ. ხანჯიანმა თვითონ შეიგნო ეს შეცდომები, მაგრამ ვერ ჰპოვა გამბედაობა ბოლშევიკურად საქმით გამოესწორებინა ისინი და თვითმკვლელობის აქტს მიმართა.

ამხ. ხანჯიანის სიკვდილი [illegible] მისი ხანგრძლივი ავადმყოფობა—მძიმე ფორმის ტუბერკულოზი.

**საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი.**



*გაზეთი „კომუნისტი“, 1936 წლის 11 ივლისი*

# ხალიჩაში გახვეული ცხედარი

მე-10 გვერდიდან

- აა, მაგონდება, - გამოცოცხლდა მერჟანოვი.

- მე ამიერკავკასიის გუნდში ვთამაშობდი, - ღიმილითვე განაგრძო ბერიამ. - თქვენ პირველსავე ტაიმში გამაძევეთ მოედნიდან - უხეში თამაშისთვის...

მერჟანოვს მიწისფერი დაედო, ენა ჩაუვარდა. გაახსენდა: ტაიმებს შორის შესვენებაზე საქართველოს გუნდის კაპიტანი მივიდა მასთან და შეშფოთებულმა უთხრა: „ეს რა ჩაიდინე, მარტინ! ეგ ხომ საიდუმლო-ოპერატიული ნაწილის ხელმძღვანელია, ჩვენი უშუალო უფროსი!..“ მაშინ მერჟანოვმა მკვახედ მიუგო - მინდორზე უფროსი არავინაა, აქ მხოლოდ ფეხბურთელები არიანო... ახლა კი...

მერჟანოვმა უმწეოდ გაშალა ხელები:

- ვინ იფიქრებდა, ლავრენტი პავლოვიჩ...

- ნუ ღელავთ, მარტინ ივანოვიჩ, - მხიარულად შეაწყვეტინა ბერიამ. - რაღა არ ხდება ცხოვრებაში! თანაც, მე მაშინ მართლაც უხეშად ვითამაშე... მაგრამ ეს წარსულია, მოდით, დღევანდელობას დავუბრუნდეთ... საქმე ის არის, რომ ჩვენს „დინამოს“ მხარდაჭერა სჭირდება...

●

- მეასედ გიმეორებთ: ეს ისეთი საქმეა, რომლის გადადებაც არ შეიძლება! - ხმას აუწია ხანჯიანმა და შეეცადა, ხელით ჩამოეცილებინა გზიდან მორიგე.

მაგრამ ამ დროს კარი გაიღო და კაბინეტიდან სოლომონ მილშტეინი და მოსკოველი სტუმარი მარტინ მერჟანოვი გამოვიდნენ. აღასი ხანჯიანი ადგილს მოსწყდა, სტუმრებშუა გასხლტა და კაბინეტში შევარდა.

„გიჟია, ოხერი! - გაიფიქრა მორიგემ. - ნეტა რა ბზიკმა უკბინა! შარს გადაეყრება!“

ათიოდე წუთის შემდეგ კაბინეტიდან გასროლის ხმა მოისმა.

●

გვიან ღამით ეულმა გამვლელმა, რომელიც მთაწმინდის ქუჩიდან რუსთაველის გამზირისკენ ეშვებოდა, თვალნათლივ დაინახა, რა ხვნეშითა და ბუზღუნით გამოიტანა ორმა კაცმა ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის შენობიდან დიდი დახვეული ხალიჩა.

„გასარეცხად მიაქვთ? - გაიფიქრა მოქალაქემ. - ამ შუაღამისას?“

ის იყო, ამ ფიქრმა გაუელვა, და შეძრწუნებულმა დაგორგლილი ხალიჩიდან ადამიანის გამოშვერილი ფეხები შენიშნა, რომელსაც მოდური ლაკირებული შტიბლეტები ეცვა. ვიდრე მოქალაქე გაიაზრებდა, რას ნიშნავდა ყოველივე ეს, იმ ორმა შორიახლო მდგარ შავ „M-1“-ში შეტენა გვამიანი ხალიჩა. მანქანა მყისვე ადგილს მოსწყდა, რუსთაველის გამზირისკენ დაეშვა და თვალს მიეფარა...

**შემდეგ ნომერში:**

# კალმახი ტყემლის საწებლით



# მან ვერ იხსნა დათა თუთაშხია, მაგრამ იხსნა ნიკიტა ხრუშჩოვი!!!



***ამ სამიოდე კვირის წინ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-მა თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტური ფილმი აჩვენა... „ხრუშჩოვი უნდა მოკვდეს!“ — ასე ერქვა სენსაციურ ქრონიკას, რომელშიც ნიჭიერმა ტელეჟურნალისტმა XX საუკუნის 60-იანი წლების საბჭოთა საქართველოში დაგეგმილ იმ ტერორისტულ აქტზე მოგვითხრო, ნიკიტა ხრუშჩოვის მოსაკლავად რომ ამზადებდნენ ქართველი პატრიოტები! ქართველთმოძულის, სტალინის ამომთხრელისა და 1956 წლის 9 მარტს თბილისში სისხლიანი სასაკლაოს მომწყობის — ხრუშჩოვის განადგურების იდეა შოთა მექვაბიშვილს 1960 წლის იანვარში გაუჩნდა; მალე შეთქმულთა წრე გაფართოვდა და მექვაბიშვილის მხარდამხარ ალეკო მელაძე, აბრამ ბათაშვილი და ოლეგ მდინარაძეც შეიპყრო მესიმინდე საბჭოთა ლიდერის სიკვდილის სურვილმა.***

შეფიცულებმა, ისევე, როგორც ფართო საზოგადოებამ, უკვე იცოდნენ, რომ 1961 წელს ხრუშჩოვი საქართველოში უნდა ჩამოსულიყო და თავდასხმისთვის საგანგებოდ ემზადებოდნენ. როგორც დოკუმენტური მასალებიდან ირკვევა, ალეკო მელაძეს ნაცნობი ჯარისკაცის დახმარებით უჯარმის სამხედრო ნაწილიდან 16 ცალი ხელყუმბარაც კი გამოუტანია!..

ხრუშჩოვი 1961 წლის 18 მაისს თბილისში მართლაც ჩამოვიდა, მაგრამ ტერაქტი ვერ შედგა, რადგან ვიღაცამ ტერორისტული აქტის მზადების შესახებ საბჭოთა უშიშროებას შეატყობინა და შეთქმულები ჯერ კიდევ 1960 წლის დეკემბერში დააპატიმრეს.

**შოთა მექვაბიშვილი და აბრამ ბათაშვილი, რომლებიც ალეკო მელაძესთან ერთად 1968 წელს ბრეჟნევმა შეიწყალა და გადასახლებიდან საქართველოში დაბრუნდნენ, საფლავში ისე ჩავიდნენ, „ჩამშვების“ ვინაობის შესახებ ვერაფერი** შეიტყვეს. გათავისუფლების შემდეგ ძველმა შეთქმულებმა ერთმანეთთან კავშირი საერთოდ გაწყვიტეს; მიზეზი ერთადერთი იყო - ისინი ერთურთზე ეჭვიანობდნენ და ფიქრობდნენ, რომ ოთხ შეფიცულს შორის ვიღაც გამცემი და „ჩამშვები“ იყო!..

თომა ჩაგელიშვილის „ხრუშჩოვი უნდა მოკვდეს!“ ისე დამთავრდა, მაყურებელმა ვერ მიიღო პასუხი უმთავრეს შეკითხვაზე - **„ვინ გასცა შეთქმულება?“**

არადა, ფილმის ავტორის კატეგორიული მტკიცებითა და საარქივო დოკუმენტების მიხედვით, **შეთქმულება არც შოთა მექვაბიშვილს გაუცია, არც - აბრამ ბათაშვილს, არც - ალეკო მელაძეს და არც - ოლეგ მდინარაძეს!..**

**შეთქმულება მეხუთე კაცმა გასცა!..**

**ვინ იყო ეს კაცი?**

●

სამიოდე დღის წინ რედაქციაში ძველი ნაცნობი, ზესტაფონის პრეფექტის ყოფილი მოადგილე **გია ფერაძე** მეწვია, გვერდზე გამიხმო და გადმომცა დოკუმენტის ქსეროასლი, რომლის ნახვასაც სიკვდილი მერჩივნა!..

**ეს გახლავთ ვრცელი მოხსენებითი ბარათი, რომელიც 1960 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს - ვასილ პავლეს ძე მჟავანაძეს საქვეყნოდ ცნობილმა ერთმა ქართველმა მწერალმა გაუგზავნა და ქართველი პატრიოტები სასიკვდილოდ გაიმეტა!..**

ოთხი კაცის გამაუბედურებელი „დანოსი“ რომ წავიკითხე და ელდანაცემმა გონზე მოსასვლელად თვალები მოვიფშვნიტე, მივხვდი, გია ფერაძეს, დიდი ხნის ნაცნობობის მიუხედავად, აუცილებლად ოფიციალურად უნდა დავლაპარაკებოდი და დიქტოფონი მოვიმარჯვე...

●

***- გია, საიდან ჩაგივარდა ხელში ეს საშინელება, ვინ მოგცა, ნამდვილია თუ შეთითხნილი?***

*- 1993 წლის გაზაფხულზე გროზნოში საქართველოს პირველი პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას მოსანახულებლად ვიმყოფებოდი. საერთოდ, გროზნოში ცამეტჯერ ვარ ნამყოფი, პრეზიდენტისგან დავალებებს და მითითებებს ვიღებდი. ერთი სიტყვით, 1993 წლის აპრილში, როცა გროზნოდან უკან, საქართველოში ვბრუნდებოდი, ბატონმა ზვიადმა სხვა საბუთებთან ერთად გამომატანა ეს დოკუმენტიც და მთხოვა, რომ იგი ალეკო მელაძისთვის გადამეცა. ხრუშჩოვის მოსაკლავად ალეკო მელაძე მექვაბიშვილთან, ბათაშვილთან და მდინარაძესთან ერთად ტერაქტს ამზადებდა. ალეკო მელაძე, უპატიოსნესი კაცი, ნამდვილი ქართველი პატრიოტი, ზვიად გამსახურდიას უზენაესი საბჭოს დეპუტატი გახლდათ და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელი აქვს მოწერილი.*

*მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი კონვერტში არ იდო, გროზნოდან ისე წამოვედი, მისი წაკითხვა არც მიფიქრია. ჩამოვედი თბილისში, მოვიძიე ალეკო მელაძის სახლი; მითხრეს, კიევის ქუჩაზე ცხოვრობსო და შინ მივაკითხე. ბატონი ალეკო სახლში დამხვდა. სანამ მასთან მივიდოდი, მანამდე დოკუმენტი უკვე წავიკითხე. დოკუმენტის დედანი ბატონმა ზვიადმა თავისთან, გროზნოში დაიტოვა, მე ქსეროასლი გამომატანა... ცხადია, იგი ბატონ ალეკოს გადავეცი და თან ვუთხარი, ზვიადმა გამოგიგზავნათ, წაიკითხეთ-მეთქი! დაიწყო კაცმა კითხვა და როცა იმ ადგილას მივიდა, სადაც ჭაბუა ბრძანებს, რომ შეთქმულების შესახებ ალეკო მელაძე გამენდოო, წამოხტა საწყალი, მკოცნიდა და თან ტირილით მეუბნებოდა, - შენ გენაცვალე, შვილო, კიდევ კარგი, მიწაში ისე ჩავალ, ვინც „ჩამიშვა“, იმისი სახელი და გვარი მეცოდინებაო!.. ოთხმა კაცმა იცოდა ეს ამბავი, მე დანარჩენი სამიდან ყველაზე ვეჭვობდი, მაგრამ ვერასოდეს ვიფიქრებდი, თუ ამას ჭაბუა გამიკეთებდაო... კაცი სიხარულისგან აღარ იყო!..*

იმ დღიდან ალეკო მელაძეს დიდხანს არ უცოცხლია, იგი სამი წლის შემდეგ - 1996 წელს გარდაიცვალა.

სიხარულით თვალებგაბრწყინებულმა დალია, თურმე, სული, რადგან სიცოცხლეშივე შეიტყო თავისი მკვლელის ვინაობა.

შოთა მექვაბიშვილსა და აბრამ ბათაშვილს ეს ბედნიერება არ ეღირსათ... ორივენი წავიდნენ და სამარეში ჩაიტანეს ეჭვებით გათანგული გულები; ისინი ვერასოდეს გაიგებენ „ჩამშვების“ სახელს.

***P. S. როგორც წესი, ქსეროასლის კალიგრაფიულ ექსპერტიზაზე სპეციალისტთა აბსოლუტური უმრავლესობა უარს ამბობს, მაგრამ ჭაბუა ამირეჯიბის მიერ სხვადასხვა დროს შესრულებულ ხელნაწერ ტექსტებში ჩვენ მაინც ვიპოვეთ ის სახასიათო ლინგვისტური, კალიგრაფიული და გრამატიკული ელემენტები, რომლებზეც უაღრესად კომპეტენტურმა სპეციალისტებმა საგანგებოდ მიგვანიშნეს და გააძლიერეს ჩვენი განწყობა დოკუმენტის უტყუარობის შესახებ.***

***დანარჩენი უფალმა, ხალხმა და ისტორიამ განსაჯოს!..***

**დიტო ჩუბინიძე**








**გია ფერაძე – ზესტაფონის პრეფექტის ყოფილი მოადგილე, რომელსაც ზვიად გამსახურდიამ გროზნოდან ალეკო მელაძისთვის გადასაცემი დოკუმენტი გამოატანა**

*საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ვ. მჟავანაძეს*
*მოქ. მზეჭაბუკ ირაკლის ძე ამირეჯიბი*
*მცხ. ქ. თბილისში. ბარნოვის ქ. № 67*
*დაბად. 1921 წ.*
*13 ოქტომბერი 1960 წ.*

## განცხადება

1943 წლიდან 1959 წლის დასასრულამდე ვიხდიდი სასჯელს. როგორც პოლიტიკური დამნაშავე. 1959 წელს, უმაღლესი სასამართლოს მიერ გამოტანილი დადგენილების თანახმად მივიღე პოლიტიკური რეაბილიტაცია და განვთავისუფლდი.

თბილისში ჩამოსვლისთანავე ხელი მოვკიდე ლიტერატურულ მოღვაწეობას. 1960 წელს გამოვაქვეყნე მოთხრობები ჟურნალ „მნათობში“, „დროშაში“, „საბჭოთა ქალში“ და სხვა „ლიტერატურულ გაზეთში“, გაზეთ „თბილისში“ (რეცენზია). დაიდგა ჩემი ტელე-პიესა „ველოსიპედი“ ჯერ თბილისის, ხოლო შემდეგ მოსკოვის ტელესტუდიებში. ვმუშაობ აგრეთვე თბილისის ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიაში ხელშეკრულებით — სცენარისტად და ქრონიკალური ფილმების ტექსტების ავტორად. ჩავაბარე გამოცდები და ვირიცხები თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტად. ყოველივე ეს, ჩემგან მოითხოვს მუყაითობას, გულდასმას და ინტენსიურ შრომას, მით უმეტეს, რომ სარჩენი და მოსავლელი მყავს დედა, მამიდა, უმცროსი და და ორი შვილი.

უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემს ფაქტიურ დანაშაულში ამომწურავად ვიყავი გარკვეული ჯერ დაპატიმრებამდე, ხოლო 16 წლის პატიმრობამ, ასაკმა და ასაკისმიერმა შეგნებამ საბოლოოდ დამანახვა ცხოვრების სწორი გზა და მგონი გამორიცხულია შესაძლებლობა, რომ აწმყოსა და მომავალში შესძლოს რაიმემ ჩემი გადაცდენა ამ სწორი გზიდან. სახელმწიფომ, სოციალისტურმა კანონიერებამ აღმადგინა მოქალაქეობრივ უფლებებში, გამამართლა, მომცა შრომისა და სასარგებლო მოღვაწეობის საშუალება და ცხადია, რომ ამას მე სათანადოდ უნდა ვუპასუხო.

ჩემმა წარსულმა, თექვსმეტი წლის პატიმრობამ, გასამართლებებმა, გაქცევებმა, სხვადასხვადასხვაგვარად უარყოფით ადამიანებთან იძულებითმა ურთიერთობამ დამიტოვა ძლიერ არასასურველი მემკვიდრეობა. მე დღემდე იძულებული ვარ ვიყო მათი ნაცნობი, ამხანაგი, ზოგ შემთხვევაში „მეგობარიც“ კი და ხანდახან „თანამოაზრის“ როლიც ვითამაშო, მიუხედავად იმისა, რომ ჩემს წარსულს ძლიერ მყარი წერტილი დავუსვი განთავისუფლების დროს (ფაქტიურად განთავისუფლებამდე კარგა ხნით ადრე). სამწუხაროდ დღემდე შემომრჩა ეგრეთ წოდებული „ნდობა“ და გადაჭარბებული აზრი ჩემი რაღაც არარსებული „ღირსებების“ შესახებ ჩემთან ნამყოფ თუ არნაყოფ პატიმრებს შორის. ამ მოკლე ხანში, რამოდენიმეჯერ იყო შემთხვევა, როდესაც პროფესიონალური ქურდი-რეციდივისტი ისე გულთბილად მესალმება, დასალევად მეპატიჟება და სხვა, თითქოს მე მასთან ერთად სადმე დანაშაული ჩამედინოს, ანდა მისი ახლო მეგობარი ვყოფილიყავი ოდესმე. ხდება ისეც, რომ ჩემი თანამოსაუბრის ლაპარაკი დიდი ხნით ადრე გამოფიტული და გამომ... *(სიტყვა დოკუმენტში არ იკითხება. — დ.ჩ.)* იდეოლოგიის პროპაგანდის დონემდე ადის. ყოველივე ეს ჩემში პროტესტს იწვევს, მაგრამ ზემოთხსენებული არასასურველი მემკვიდრეობის გამო იძულებული ვარ ვისმინო და კვერიც კი დავუკრა ხოლმე.

არც თქვენ და არც ვისმე, სხვას არ შევაწუხებდი ამგვარი წვრილმანებით, მაგრამ მიმდინარე წლის ივლისში მოხდა ერთი ძლიერ საყურადღებო რამე, რის შესახებაც მოვალედ ვთვლი ჩემს თავს, აუცილებლად მოგახსენოთ.

ყოფილმა პატიმარმა, ვინმე ალიკო მელაძემ, თბილისის ერთ-ერთი ბიბლიოთეკის მუშაკმა (ამჟამად), მაცნობა მისი და მისი ამხანაგების განზრახვა, მოახდინონ ტერორისტული აქტი საბჭოთა ხელმძღვანელის, ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის მიმართ, როცა იგი (ალბათ) ჩამოვა საქართველოში, მომავალი წლის თებერვალში და მთხოვა აღმომეჩინა გარკვეული დახმარება.

მე ვუპასუხე, რომ დავეხმარებოდი ან არ დავეხმარებოდი მაშინ, როდესაც გავცემ ჩემს თავს პოზიტიურ პასუხს: საერთოდ საჭიროა თუ არა ასეთი რამ. ასეთი პასუხი საჭირო იყო იმისთვის, რომ არც თანხმობა მიმეცა და არც უარი მეთქვა. რა თქმა უნდა, მე დაუყოვნებლივ ვაცნობე ამის შესახებ სახ. უშიშროების ხელმძღვანელ პირებს ამხ. ქავთარაძეს, შადურს, სანადირაძეს.

ჩემი აზრით ზედმეტია მსჯელობა იმ მიზეზების შესახებ, რომელთა გამოც გადავდგი ეს ნაბიჯი - ეს მიმიყვანდა პათეტიკურ ფრაზებამდე. ვიტყვი მოკლედ. მე მოვიხადე ვალი, როგორც მოქალაქემ.

გვერდს ვუქცევ ამ ამბავის დაწვრილებით აღწერას. მგონია, რომ ზემოთხსენებული მუშაკები მოგახსენებენ გაცილებით სრულად და ამომწურავად, ვიდრე მე შემიძლია ეს.

უმორჩილესად გთხოვთ და დაჟინებით მოვითხოვ, რომ საქმის მსვლელობაში არსად არ იყვეს ნახსენები ჩემი გვარი ან ვინაობა. ჩემის აზრით ჩემი ასეთი სურვილი, იმდენად ჩემი პიროვნების უშიშროებას არ ემსახურება, რამდენადაც ელემენტარული კეთილგონიერებითაა განპირობებული.

## ᲒᲐᲘᲝᲖ ᲙᲔᲠᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲗᲮᲗᲐᲕᲘᲡᲐ

*ვუძღვნი ჩემი მასწავლებლისა და მაკურთხევლის, განსვენებულ კათალიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ის ნათელ ხსოვნას*

# ᲡᲐᲮᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲐᲗᲔᲡᲘ

*ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. „ᲛᲐᲛᲣᲚᲘ" 2005 №14.*

## ᲗᲐᲕᲘ 6

**1.** ერიდეთ ქველისა საქმისა კეთებასა კაცთა წინაშე სახილველად მათდა. უკეთუ არა, ვეღარ მიიღოთ სამაგიერო მამისაგან თქვენისა ზეცათაისა.

**2.** ხოლო რაჟამს იქმოდე ქველისა საქმესა, შენთვისაც ნუ იტყვი ამას, ვითარცა თვალთმაქცნი აკეთებენ სინაგოგებსა და უბნებზე რათა იქებიდიდებოდნენ კაცთაგან. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ისინი უკვე ღებულობენ საზღაურსა მათსა.

**3.** და შენ რაჟამს იქმოდე ქველისა საქმესა, ნუ ეცოდინება მარცხენასა შენსა, რასა იქმს მარჯვენა.

**4.** რათა ფარული იყოს ქველის საქმენი შენი, და მამაი შენი რომელიცა ჰხედავს დაფარულთა, მოგაგებს შენ ცხადად.

**5.** და რაჟამს ილოცვიდეთ, ნუ იქცევით ვითარცა თვალთმაქცნი, რომელთაც უყვართ სინაგოგებსა და მოსახვევებში დგომა და ლოცვა, რათა ხალხს მოაჩვენონ თავი. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ისინი უკვე ღებულობენ საზღაურსა მათსა.

**6.** ხოლო შენ რაჟამს ილოცვიდე, შედი სახლსა შენსა, ჩაკეტე კარი და ილოცე წინაშე მამისა შენისა ფარულად; და მამაი შენი, რომელიც ჰხედავს დაფარულთა, მოგაგებს შენ ცხადად.

**7.** და ჟამსა ლოცვისასა ნუ იტყვით ზედმეტს, ვითარცა იგი წარმართთაგანნი, რომელთაც ჰგონიათ, ვითარმედ მათითა სიტყვამრავლობითა შეისმინებიან.

**8.** და თქვენ, მსგავსნი ნუ იქნებით მათი, რამეთუ იცის მამამან თქვენმან თუ რაი გჭირდებათ, ვიდრე თქვენ რამეს ითხოვდეთ მისგან.

**9.** ხოლო თქვენ ესრეთ ილოცვიდეთ: მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი;

**10.** მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა;

**11.** პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს;

**12.** და მოგვიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა;

**13.** და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელსა, არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან. რამეთუ შენი არს სუფევა, ძალი და დიდება, საუკუნეთა მიმართ. ამინ.

**14.** უკეთუ მიუტევოთ თქვენ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტევოს თქვენცა მამამან თქვენმან ზეცათამან.

**15.** ხოლო, უკეთუ არა მიუტევოთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა თქვენ მოგიტევოთ მამამან თქვენმან შეცოდებანი თქვენნი.

**16.** და რაჟამს იმარხვიდეთ, მწუხარედ ნუ იქნებით თვალთმაქცებივით, რომელნიც მგლოვიარე სახეებს იღებენ, რათა მმარხველად მოეჩვენნენ ხალხს. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ისინი უკვე ღებულობენ საზღაურსა მათსა.

**17.** ხოლო შენ რაჟამს იმარხვიდე, იცხე თავსა შენსა და დაიბანე პირი,

**18.** რათა მმარხველად ეჩვენო არა ხალხს, არამედ მამასა შენსა დაფარულად. და მამაი შენი, რომელიც ჰხედავს დაფარულთა, მოგაგებს შენ ცხადად.

**19.** ნუ იუნჯებთ საუნჯესა თქვენსა ქვეყანასა ზედა, სადაც ჩრჩილი და ჟანგი სპობს და ქურდნი თხრიან და იპარავენ.

**20.** ხოლო თქვენ დაიუნჯეთ საუნჯენი ცათა შინა, სადაც არც ჩრჩილი და არცა ჟანგი არ გააფუჭებს და აღარც ქურდები მოთხრიან და მოიპარავენ.

**21.** რამეთუ სადაცაა საუნჯენი თქვენი, იქვე იქნება გულნიცა თქვენი.

**22.** სანთელი სხეულისათვის თვალი არს. უკეთუ თვალი შენი სუფთა არს, მთელი შენი სხეული ნათელი იქნება.

**23.** ხოლო უკეთუ თვალნი შენი ბოროტ არს, მთელი შენი სხეული დაბნელებულ იქნება. უკეთუ ნათელი, რომელიც შენში არს სიბნელეა, რაოდენიღა იქნება სიბნელე?

**24.** არვის არ ხელეწიფების ორი ბატონის მონობა: რამეთუ, ან ერთი მოიძულოს და მეორე შეიყვაროს, ან იმ ერთს შეეჩვიოს და მეორე მოიბეზროს. ვერ შესძლებთ ემსახუროთ ღმერთსაც და მამონასაც[1].

**25.** ამისათვის გეუბნებით თქვენ: ნუ ზრუნავთ სულისა თქვენისათვის, რაი სჭამოთ და რაი დალიოთ, ნუცა ხორცთა თქვენთათვის, თუ რითი შეიმოსოთ. განა სიცოცხლე საზრდოზე მეტი არაა და სხეული სამოსელზე?

**26.** შეხედეთ ფრინველთა ცისათა, რამეთუ არც სთესენ, არც მკიან და არცა ბეღლებში არ იგროვებენ და მამაი თქვენი ზეცათაი ზრდის მათ; განა თქვენ ფრინველზე ბევრად უმჯობესნი არა ხართ?

**27.** რომელსა თქვენგანს შეუძლია ეცადოს და სიმაღლესა თვისსა ერთი წყრთა მიამატოს?

**28.** და სამოსელზე რაღასა ზრუნავთ? დააკვირდით ველის შროშანებს, თუ როგორ იზრდებიან! არცა შრომობენ და არცა რთავენ.

**29.** ხოლო გეუბნებით თქვენ, რამეთუ სოლომონიც კი არ შემოსილა მთელ მის დიდებაში ისე, ვითარცა ერთი ამათგანი.

**30.** უკეთუ ბალახსა მინდვრისასა, რომელიც დღეს არის და ხვალე თონეში ჩაიყრება ღმერთი ასე ჰმოსს, თქვენ უფრო მეტად არ შეგმოსავთ, მცირედ მორწმუნენო?

**31.** ნუ ჰზრუნავთ და ნუ ამბობთ: რაი ვჭამოთ, ან: რაი ვსვათ, ან: რაით შევიმოსოთ?

**32.** რამეთუ ამას ყოველსა წარმართნი ეძიებენ; რამეთუ იცის მამამან თქვენმან ზეცათამან, რამეთუ გჭირდებათ ყოველივე ესე.

**33.** ხოლო თქვენ ეძიებდეთ პირველად სასუფეველსა ღვთისასა და სიმართლესა მისსა, და ყოველივე ესე შეგემატოთ თქვენ.

**34.** ნუ ზრუნავთ ხვალინდელ დღეზე, რამეთუ ხვალინდელმა თავად იზრუნოს თავის თავზე. საკმაოდა აქვს ყველა დღეს თავისი გასაჭირი.




## ᲗᲐᲕᲘ 7

**1.** ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთ.

**2.** რამეთუ რომლითა განკითხვითა განიკითხავდეთ, იმითვე განიკითხნეთ და რა საწყაულითაც მიუწყათ, იმავე საწყაულითა მოგეწყოთ თქვენ.

**3.** და რად უყურებ ბეწვსა თვალსა შინა ძმისა შენისასა, და დირეს კი თვალსა შინა შენსა ვერ ამჩნევ?

**4.** ანდა, ვით ეტყვი ძმასა შენსა: მოიტა და აღმოგიღო ბეწვი თვალიდან, და აჰა თვალსა შენსა შინა კი ამოდენა დირე დევს?

**5.** თვალთმაქცო! ჯერ შენი თვალიდან აღმოიღე დირე და მერე ნახე, ვითარ აღმოიღო ბეწვი თვალიდან ძმისა შენისა.

**6.** ნუ მისცემთ სიწმიდესა ძაღლთა, და ნურც თქვენს მარგალიტებს ნუ დააფენთ წინაშე ღორთა, რათა არ გათელონ ფეხითა მათითა და მობრუნდნენ და დაგგლიჯონ თქვენც.

**7.** ითხოვდით, და მოგეცეთ თქვენ; ეძიებდეთ და ჰპოვოთ; რეკავდეთ და განგეღოთ თქვენ.

**8.** რამეთუ ყოველი, რომელიც თხოულობს, ღებულობს, და რომელიც ეძიებს, პოულობს, და რომელიც რეკავს, განეღვის.

**9.** ნუთუ არს ვინმე თქვენთაგანი რომელსაც შვილმან პური სთხოვოს, და ქვაი მისცეს მას?

**10.** ანდა თევზი სთხოვოს და გველი მისცეს მას?

**11.** უკეთუ თქვენ, უკეთურებმა იცით კეთილის გაცემა შვილთა თქვენთათვის, მეტადრე მამამან თქვენმან ზეცათამან მისცეს კეთილი, რომელნიც თხოულობენ მისგან!

**12.** ყოველი, რაც კი თქვენა გსურთ, რომ გიკეთონ კაცთა, თქვენც იგივე აკეთეთ მათთვის, რამეთუ ესე არს რჯული და წინასწარმეტყველნი.

**13.** შეხვიდოდეთ ვიწრო კარიბჭით, რამეთუ ვრცელი არს კარიბჭე და ფართო არს გზა, რომელსაც წარწყმედისაკენ მიჰყავს და მრავალნი იარებიან მასზე.

**14.** რამეთუ ვიწრო არს კარიბჭე და ძნელია გზა, რომელსაც ცხოვრებისაკენ მიჰყავს და მცირედნი არიან, რომელნიც ჰპოვებენ მას.

**15.** ერიდეთ ცრუწინასწარმეტყველთ, რომელნიც სამოსლითა ცხვრისაითა მოვლენ თქვენთან და შინაგანად იქნებიან მგელნი მტაცებელნი.

**16.** ნაყოფთა მათთაგან იცნოთ ისინი. განა ეკალთაგან ყურძენი მოიკრიბის ან კუროსთავისაგან ლეღვი?

**17.** ესრეთ, ყოველმან ხემან კეთილმან ნაყოფი კეთილი გამოიღოს, ხოლო ხემან ხენეშმან ნაყოფი ხენეში გამოიღოს.

**18.** არ შეუძლია ხესა კეთილსა ხენეში ნაყოფის გამოღება, და არცა ხესა ხენეშსა მოცემა კეთილი ნაყოფისა.

**19.** ყოველმან ხემან, რომელმან არ გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოიჭრას და ცეცხლზე დაიდვას.

**20.** მათთავე ნაყოფთაგან იცნოთ იგინი.

**21.** არა ის — ვინც მეუბნება: „უფალო, უფალო!" — შევიდეს სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ჰყოს ნებაი მამისა ჩემისა ზეცათაისა.

**22.** მრავალმან მითხრას დღესა მას შინა: უფალო! უფალო! განა სახელითა შენითა არ ვწინასწარმეტყველებდით? და განა სახელითა შენითა ეშმაკთა არ განვაგდებდით? და განა სახელითა შენითა სასწაულთა მრავალთა არ ვახდენდით?

**23.** ჟამსა მას ვუთხრა მათ, რამეთუ: არასოდეს გიცნობდით თქვენ. განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი უსჯულოებისანი.

**24.** ყოველმან, რომელმან ისმინოს სიტყვანი ჩემნი, და ჰყოს იგი, ვამსგავსო კაცსა გონიერსა, რომელმან აღაშენა სახლი თავისი კლდესა ზედა.

**25.** და მოვიდა წვიმა, და მოვარდა მდინარენი, და დაჰბერა ქარიშხალმა, და ეკვეთნენ სახლსა მას, და არა დაეცა, რამეთუ კლდესა ზედა იყო დაფუძნებული.

**26.** და ყოველმან, რომელმან ისმინოს სიტყვანი ესე ჩემნი და არა ჰყოს იგი, ემსგავსოს კაცსა უგუნურსა, რომელმან აღაშენა სახლი თავისი ქვიშასა ზედა.

**27.** და მოვიდა წვიმა, მოვარდა მდინარენი, დაჰბერა ქარიშხალმან და ეკვეთნენ სახლსა მას, და დაეცა. და ფრიად დიდი იყო დაცემაი მისი.

**28.** და რაჟამს დაასრულა იესომ სიტყვანი ესე, გაკვირვებულიყო ხალხი მოძღვრებითა მისითა.

**29.** რამეთუ მოძღვრავდა იგი, ვითარცა ხელმწიფებისა მქონე, და არა ვითარ იგი მწიგნობარნი და ფარისეველნი მათი.

## ᲗᲐᲕᲘ 8

**1.** და რაჟამს ჩამოვიდა მთიდან, დიდძალი ხალხი მოჰყვებოდა უკან.

**2.** და აჰა, კეთროვანი ვინმე წარუდგა წინ, და თაყვანისცა და უთხრა: უფალო! უკეთუ გინდოდეს, შეგიძლია განწმედაი ჩემი.

**3.** და გაიწვდინა ხელი იესომ, შეახო და უთხრა: „მინდა, განწმიდენ!" და მყისვე განიწმიდა იგი კეთროვანებისგან მისგან.

**4.** და უთხრა იესომ: იცოდე, არავის უთხრა, არამედ წადი და აჩვენე შენი თავი მღვდელს და შესწირე შესაწირავი შენი, რომელიც მოსემ ბრძანა საწამებელად მათდა.

**5.** და როდესაც კაპერნაუმში შედიოდა, მივიდა მასთან ასისთავი და შეევედრა

**6.** და უთხრა: უფალო, მსახური ჩემი სახლსა შინა მიწევს, დამბლა აქვს დაცემული და იტანჯება ძლიერ.

**7.** უთხრა მას იესომ: მოვალ და განვკურნავ.

**8.** და მიუგო ასისთავმან და უთხრა: უფალო, არა ღირს ვარ, რათა სახლისა ჩემის ჭერქვეშ შემოხვიდე, მხოლოდ სიტყვა სთქვი მარტო, და განიკურნება მსახური ჩემი.

**9.** რამეთუ ხელმწიფებისა ქვეშე მყოფი კაცი ვარ, და მეც მყვანან ხელქვეითი ჯარისკაცები. ვეტყვი ერთს, წადი! და წავა, და სხვას ვეტყვი, მოდი! და მოვა; მსახურსა ჩემსა: გააკეთე ეს! და გააკეთებს.

**10.** ესმა რაი ესე იესოს, გაუკვირდა და უთხრა მათ რომელნიც მოყვებოდნენ: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: არცაღა ისრაელთა შორისა ვპოვე მე ესოდენი რწმენა.

**11.** ხოლო გეუბნებით თქვენ, რამეთუ მზისა აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან მრავალნი მოვლენ და აბრაამის თანა და ისააკის თანა და იაკობის თანა გვერდით დასხდებიან ცათა სასუფეველში.

**12.** ხოლო ძენი სასუფევლისანი გადიყრებიან ბნელსა მას გარესკნელისასა. იქ იყოს ტირილი და ღრჭენაი კბილთა.

**13.** და უთხრა იესომ ასისთავსა: წარვედ და ვითარცა ირწმუნე, მოგეგოს ისე. და განიკურნა მსახური მისი იმავე ჟამიდან.

**14.** და მოვიდა იესო სახლსა მას პეტრესსა და ნახა სიდედრი მისი მწოლიარედ, სიცხით ავადმყოფი.

**15.** და შეეხო ხელსა მისსა და ცხელებამ გაუარა და აღდგა და მსახურებდა მას.

**16.** და ვითარცა შემწუხარდა, მრავალნი ეშმაკეულნი მოჰგვარეს მას და განასხა სულები სიტყვითა და რომელნიც მძიმედ ავად იყვნენ, განკურნა ყველა.

**17.** რათა აღესრულოს თქმული იგი ესაია წინასწარმეტყველისა, რომელმაც თქვა: მან უძლურებანი ჩვენი თავს იდვა და სნეულებანი ჩვენნი იტვირთა.

**18.** ვითარცა იხილა იესომ მის გარშემო ხალხის სიმრავლე, უბრძანა იქიდან გაღმა გასულიყვნენ.

**19.** და მიუახლოვდა ერთი მწიგნობარი და უთხრა: მოძღვარო! მეც შენთან ერთად წამოვალ, სადაც არ უნდა მიდიოდე.

**20.** უთხრა მას იესომ: მელიებს სოროები აქვთ და ფრინველთა ცისათა ბუდენი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქვს, თავი რომ სადმე მიიდრიკოს.

**21.** და სხვამ, მოწაფეთაგანმა უთხრა: უფალო, მომეცი ნება, რათა წარვიდე და ჯერ მამაჩემი დავასაფლავო.

**22.** ხოლო იესომ მიუგო მას: შენ მე გამომყე და გაუშვი მკვდრები მათმა მკვდრებმა დაასაფლავონ.

**23.** და ავიდა ნავში და გაჰყვნენ მას მოწაფენი მისნი.

**24.** და აჰა ესერა, ღელვაი აღტყდა ზღვასა შინა დიდი, რამეთუ ნავი იფარებოდა ტალღებისგან. ხოლო, თვითონ მას ეძინა.

**25.** და მოვიდნენ მოწაფენი მისნი და გააღვიძეს და უთხრეს: უფალო, გვიხსენი, რამეთუ ვიღუპებით.

**26.** და უთხრა მათ: რაისთვის შეშინდით ასე მცირედ მორწმუნენო? მაშინ აღდგა და შეჰრისხა[2] ქართა და ზღვასა, და იქმნა მეყვსეულად დამშვიდება დიდი.

**27.** ხალხი კი გაკვირებულიყო და ამბობდა: ვინა არს ასეთი, რამეთუ ქარნიცა და ზღვაიცა ემორჩილებიან მას?

**28.** და ვითარცა გავიდა გაღმა ქვეყანასა მას გერგესევალთასა[3], შემოხვდა ორი ეშმაკეული, რომლებიც სამარხებიდან გამოდიოდნენ, ფრიად მძვინვარენი, რომ ვეღარავინ ბედავდა იმ გზაზე გავლას.

**29.** და მორთეს ყვირილი და იძახდნენ: რა გინდა ჩვენგან იესო, ძეო ღვთისაო! რომ მოხვედ აქ ადრე სატანჯველად ჩვენდა?

**30.** და მათგან მოშორებით ბალახს ძოვდა კოლტი ღორებისა.

**31.** ხოლო ეშაკნი ევედრებოდნენ და ეუბნებოდნენ მას: უკეთუ განგვყრი, კოლტსა ღორთასა მაინც შეგვიშვი.

**32.** და უთხრა: წადით! ხოლო ისინი განვიდნენ კაცთაგან მათთა, და შევიდნენ კოლტსა მას ღორთასა. და მიაწყდა კოლტი იგი კბოდესა ზღვისასა და გადაცვივდნენ და ჩაიხოცნენ წყალში.

**33.** ხოლო მეღორენი გაიქცნენ და წავიდნენ ქალაქში და მოყვნენ ყველაფერი, რაც დაემართათ ეშმაკეულთ.

**34.** და აჰა, მთელი ქალაქი გამოვიდა იესოს შესახვედრად. და ნახეს იგი და შეეხვეწნენ, რათა წასულიყო მათი საზღვრებიდან.

***ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ***

*1. მამონა: სიმდიდრე.*
*2. შერისხვის მომენტი რუსულ სახარებაში არაა.*
*3. სახარების ადიშურ რედაქციაშია „გადერელთასა", ხოლო ახალ თარგმანებში „ღადარენელთასა".*

# სახელისუფლო თამაშები სასიკვდილო შედეგით





გიორგი ბეზირგანი



## თავი II

## თეთრი ყვავები შავ გუნდში

როგორ მოვძებნოთ შავი კატა ბნელ ოთახში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის იქ არ არის? როგორ გამოვიცნოთ თეთრი ყვავები კუნაპეტი ღამესავით შავი თანამოძმეების გუნდში?

აი, კიდევ ერთი ჩინური თავსატეხი. იქნებ შავ გუნდში თეთრი ყვავები არასოდეს გვხვდებიან? მაგრამ არა. ასე არ არის. მიუხედავად მკაცრი გადარჩევისა, მიუხედავად იმისა, რომ სახელისუფლო კიბეზე ასვლისას საჭიროა თანამიმდევრულად დამცირების, სიცრუის, მლიქვნელობის, მოღალატეობის და აშკარა უნამუსობის საფეხურების გადალახვა, თეთრი ყვავები ამ კიბის თავში ხანგამოშვებით მაინც ხვდებიან – ოღონდ, მისი უდიდებულესობა შემთხვევის წყალობით. მთავარ სელექციონერთა უყურადღებობის, წინდაუხედაობის, დაუდევრობის შედეგად. რა თქმა უნდა, მხოლოდ ერთეულები. და, ბუნებრივია, შავ თანამოძმეებად შენიღბულები.

მაგრამ მათი გარჩევა – შესაძლებელია. ჩამოჰკრავს ჟამი, დიდი მსროლელი მათ თავისი კარისკაცების გუნდში გამოავლენს და გეგმაზომიერად დაიწყებს ხოცვას. თანაც ორმაგ სარგებელს მიაღწევს. მის მიერვე დამკვიდრებული ცხოვრების წესის „ანტიპოდებთან“ ბრძოლის თვალსაზრისით და საკუთარი ლაშქრის სიწმინდისა და მონოლითურობის მიმართულებით.

თეთრი ყვავები შავ გუნდში... მაგრამ ამაზე მოგვიანებით... ახლა კი...

●

ბედისწერამ ინება, რომ კახეთის გზაზე ზურაბ პატარიძის დაღუპვა სახელისუფლო დერეფნებში მომხდარ კიდევ ერთ ტრაგედიას დამთხვეოდა (გვინდა, გვჯეროდეს, რომ ეს უბრალო დამთხვევაა). ამ დერეფნების მკვიდრთათვის მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა ფინანსთა მინისტრის ფარნაოზ ანანიაშვილის მოულოდნელი დაპატიმრება. რისთვის, რატომ – ამ კითხვებზე დამაჯერებელ პასუხს ვერავინ იძლეოდა. მინისტრი „დიდ სახლში“ გარჩევაზე გამოიძახეს. მუშაობაში შეუწყნარებელ ნაკლოვანებებზე მიუთითეს. გაუშვეს. ის ქვევით ჩავიდა. პერსონალურ შავ „ვოლგას“ დაუწყო ლოდინი. ის იგვიანებდა. სანაცვლოდ სხვა მანქანა მიუახლოვდა, ასევე შავი. და მასში მსხდომმა ბუნდოვნად ნაცნობმა ახალგაზრდა მამაკაცებმა ზრდილობიანად შესთავაზეს მინისტრს, რამდენიმე წუთით პროკურატურაში გაჰყოლოდა რაღაც დეტალების დასაზუსტებლად.

გაჰყვა. და... დამთავრდა. მშობლიურ კერასთან ყოფილი მინისტრის დაბრუნება, უკეთეს შემთხვევაში, თხუთმეტი წლით გადაიდო. უარესში კი – სამუდამოდ. „ყოფილი მინისტრი“ შემთხვევით არ წამოგვცდენია. საქმე ის არის, რომ სანამ შავი „ვოლგა“ რკინის ფელიქსის სახელობის ქუჩაზე მისრიალებდა, ის დაუსწრებლად მოხსნეს თანამდებობიდან, გამოიყვანეს ცკ-ის შემადგენლობიდან, გარიცხეს პარტიიდან, გაიწვიეს დეპუტატობიდან. და პროკურატურის შენობასთან მიახლოებისას ის უკვე უბრალო მოკვდავი იყო. უფრო მოკვდავი, ვიდრე ნებისმიერი ჩვენგანი.

მაგრამ აქ, ჩემი აზრით, მცირე განმარტებაა საჭირო. კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება. და თუკი ერთ-ერთი ყველაზე საქმიანი და გავლენიანი (ან ყველაზე საქმიანი და გავლენიანი) მინისტრის დაცემას „კვამლად“ ჩავთვლით, მის გამომწვევ „ცეცხლად“, უეჭველია, მექრთამეობაში სტანდარტული ბრალდებით სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს უფროსის დაპატიმრება იქცა. გაირკვა, რომ მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი კონტროლიორ-რევიზორები შემოწმებისა და რევიზიების დროს ფულს სძალავდნენ. უფროსი კი მათ შთააგონებდა, მიმართავდა, ხელს აფარებდა, ბუნებრივია, საკუთარი ჯიბის სასარგებლოდ.

ჰქონდა თუ არა ამ საქმიდან „წილი“ მინისტრს – ჯერჯერობით უცნობი იყო.

ამ კითხვაზე პასუხმა დიდხანს არ დააყოვნა. ძალიან მალე ჩემს კაბინეტში შიდა ტელეფონი აწკრიალდა და შეფმა – საორგანიზაციო-პარტიული განყოფილების გამგემ სოლიკო ხაბეიშვილმა მიბრძანა, ყველა საქმე გადამედო და სასწრაფოდ მომემზადებინა ინფორმაცია პარტაქტივისთვის მინისტრის დაპატიმრების მიზეზების შესახებ.

რა ობოლ მარგალიტებს არ იწოვდა თითიდან იმ დროს ჩემი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი პარტიული ინფორმაციის სექტორი, რა პატაკებს არ აგზავნიდა მოსკოვში პარტიისა და ხალხის არნახული ერთიანობის, არარსებული გამარჯვებებისა და მიღწევების, საბჭოთა საქართველოს მშრომელთა მიერ ფასების მორიგი „შეცვლის“ მხურვალე მოწონების შესახებ. მაგრამ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მსგავსი ნაცადი მეთოდები არ გამოდგებოდა. ცკ-ის წევრის, დეპუტატის, მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრის, მინისტრის „დაპატიმრების მიზეზებზე“ რიგითი ზღაპრის შეთხზვა შეუძლებელი იყო. რის ახსნაც ჩემი შეფისთვისაც ვცადე.

– ეგ მეც მესმის, – შემაწყვეტინა შეფმა (მიხვედრილი ყმაწვილი იყო და სწორედ ამან დაღუპა), – მესმის. გამომძიებელი გამოვიძახე, საქმის არსს ის გაგაცნობთ.

გამომძიებელი, ცარიელსახიანი ადამიანი (ასეთს რომ დაინახავ, იქვე დაგავიწყდება და შეხვედრისას ვერასოდეს იცნობ), შეფს მარჯვენა მხრიდან ეჯდა გვერდში, მე კი მარცხნიდან მივუჯექი. გამომძიებლის ხელში საქაღალდის ან რაიმე საბუთების დანახვას მოველოდი, მაგრამ „ხელნი მისნი ცარიელი და უძრავი იყო“. თუმცა, ყველაფრიდან ჩანდა, ამ წარჩინებულ კაბინეტში თავს ცოტა შებოჭილად გრძნობდა. და, რაღა თქმა უნდა, ეჭვადაც არ ჰქონდა, რომ სულ რაღაც სამიოდე წელიწადში ამ აპარტამენტის პატრონი მისი „კლიენტი“ გახდებოდა. ან, იქნებ, მისი ასეთივე გრძელხელება, თვალებცარიელი, მაგრამ ფხიანი კოლეგების. რა განსხვავებაა? ისინი ყველანი ერთ თარგზე არიან გამოჭრილი და შეკერილი. ნებისმიერი რეჟიმის დროს გამოსაყენებლად უნივერსალურები. და, სხვათაშორის, დღევანდელი რეჟიმის მიერ ბოლომდე დასაქმებულნი.

უეჭველია, თავად სოლიკოს მაშინ წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა მეტამორფოზები მოხდებოდა მომავალში. და როგორ მოიქცეოდა იმ, ახალ ვითარებაში გამომძიებელი, რომელიც ახლა თვალებით ჭამდა, ელაქუცებოდა და ფეხქვეშ ეგებოდა. მაგრამ შეფი მოღუშული იყო. მინისტრის ამბავი არაფრად ეჭაშნიკებოდა. და ამ მძიმე შეხვედრის შესამოკლებლად მან მოუთმენლად აიქნია ხელი – დაიწყეო.

ცარიელსახიანი ადამიანი შეკრთა.

– ისეთი ფაქტები მაქვს, ისეთი ფაქტები...

ბლოკნოტი გადავშალე.

– დავიწყოთ იმით, რომ ზესტაფონის რაიონში რევიზორების მიერ ჩადენილი გამომძალველობის შესახებ მინისტრმა იცოდა. სიგნალი მიაწოდეს. რამდენიმე დღის წინ სამინისტროში მის სახელზე წერილი მივიდა.

– ვინ იყო სიგნალის ავტორი?

– წერილი, სამწუხაროდ, ანონიმური გახლდათ. მაგრამ მასში ფაქტები იყო მოყვანილი. და იცით, როგორ მოიქცა მინისტრი? ეს წერილი საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს უფროსს გააცნო. მაგრამ ფორმის მიხედვით არ გაუტარებია.

– გასაგებია...

– ამის კვალიფიცირება დანაშაულებრივ დაუდევრობად შეიძლება.

– დაუდევრობა, მესმის. მაგრამ, როგორც ამბობთ, მან ეს წერილი სამმართველოს უფროსს გააცნო – აი, რას სჩადიან შენი რევიზორები, ზომები მიიღეო. ანონიმურ წერილებზე არავითარი სხვა რეაგირება გათვალისწინებული არ არის. მათ მხედველობაში იღებენ, მაგრამ რეგისტრაციაში არ ატარებენ. ხომ არ შეგვიძლია, პარტაქტივს ვაცნობოთ, მინისტრი, ცკ-ის წევრი იმისათვის დააპატიმრეს, რომ ანონიმური წერილი რეგისტრაციაში არ გაატარაო?

– თუ თქვენთვის ეს საკმარისი არ არის, – განაწყენდა გამომძიებელი, – კეთილი, აი, კიდევ ერთი აღმაშფოთებელი ფაქტი. საშტატო განაწესის დარღვევით მინისტრმა თავის უწყებაში ტრანსპორტის სამმართველო შექმნა და მის უფროსად, როგორ ფიქრობთ, ვინ დანიშნა?

– წარმოდგენაც არ მაქვს.

– საკუთარი მძღოლი, – აშკარად ზეიმობს გამომძიებელი.

– სულ ეს არის?

გამომძიებელს აშკარად აღაშფოთებს ჩემი შეუსმენადობა. მხრებს იჩეჩს, ნერვიულობს. მე კი შეფისკენ ვტრიალდები:

– მაშასადამე, დაპატიმრების მიზეზების შესახებ ინფორმაციაში ჩავწერთ, რომ მინისტრი დააპატიმრეს, რადგან ანონიმური წერილი რეგისტრაციაში არ გაატარა და საკუთარი მძღოლი სამმართველოს უფროსად დანიშნა.

– ნუ მასხრობ (ეს მე მეკუთვნოდა). ფაქტები საკმარისი არ არის (ეს კი – გამომძიებელს).

– ვმუშაობთ, ბატონო სოლიკო, – გამომძიებელი თვალდათვალ დაპატარავდა.

– ჰოდა, როცა გამოიმუშავებ, მაშინ მოდი. თავისუფალი ხარ.

ეჰ, ეს მათრობელა სიტყვები „თავისუფალი ხარ“ ვინმეს ჩემი შეფისათვის რომ ეთქვა. ოღონდ სხვა კაბინეტში. ამ ან სხვა გამომძიებელს. თავისუფალი ხარ, წადი, გზა ოთხივ მხარეს ხსნილი გაქვს.

●

მინისტრის საქმეში გამომძიებლები, რაღა თქმა უნდა, „გამოიმუშავებენ“. სხვა რა გზა აქვთ. მასთან პირზე წაყენებისას კონტროლის სამმართველოს უფროსი აჩვენებს, რომ მინისტრის სოჭში გამგზავრების წინ, სადაც ის საკავშირო მინისტრს უნდა შეხვედროდა, მან, ცოდვილმა, პატრონს გარკვეული თანხა გადასცა შავიზღვისპირეთში მაღალი სტუმრის სათანადოდ გასართობად (იმ წლების ჩვეული პრაქტიკა). მინისტრი ამ „ქრთამს“ აღიარებს. დაპირისპირების ამსახველ ფირს ჩინოვნიკთა კაბინეტებში ბევრჯერ ნახავენ. ენებს ააწკლაპუნებენ. იტყვიან – უყურე შენ! ვინ იფიქრებდა! არასოდეს დავიჯერებდი! გულში კი იფიქრებენ – ფუ, ფუ, შორს ჩემგან.

თუმცა მინისტრის დახვრეტა არ მოხერხდა. მათ ჯიბრზე დიდი სამამულო ომის ვეტერანი აღმოჩნდა. მათზე ემბარგოა – დახოცვას არ ექვემდებარებიან. რა გაეწყობა, კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანს. და ყოფილი მინისტრი სრულად იგემებს შრომა-გასწორების ბანაკებს, საიდანაც ან ველარ გამოდიან, ან გამოდიან, მაგრამ სუფთა სინდისით.

●

მკითხველი დაბნეულია. მაინც, რისთვის დააპატიმრეს მინისტრი? ასეთი რა ცოდვებისათვის უპირებდნენ სიკვდილით დასჯას? ანონიმური წერილისათვის? ტრანსპორტის სამმართველოსათვის? სოჭის გასართობ ადგილებში მოსკოველ სტუმართან ერთად სეირნობისათვის?

არა, აქ უფრო ღრმა, სერიოზული მიზეზია. და მინისტრის მოშორება საჭირო იყო, ამაში მთავარი მოთამაშე არ ცდებოდა. თან ისე მოშორება, რომ ვერ „ეჭიკჭიკა“.

საქმე ის არის, რომ პასიანსი მხოლოდ რესპუბლიკურ კი არა, მოსკოვის, კრემლის ლომბერის მაგიდაზეც იშლება. ამბობენ, რომ სადღაც, სტარაია პლოშჩადზე მდებარე დიდი სახლის უფლებამოსილ კაბინეტებში, არა, ჯერ არ შლიდნენ, მაგრამ უკვე განიხილავდნენ კარტის ასეთ განლაგებას მზიური რესპუბლიკისათვის: ცკ-ის პირველი მდივანი (ყოველი შემთხვევისათვის, რადგან ახლანდელი მეტისმეტად მკვირცხლია) – ზურაბ პატარიძე, ნაცადი, საქმიანი ადამიანი, რომელიც საკავშირო აპარატშია ნამუშევარი. სწორედ ზედგამოჭრილია. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე? აქ განსახილველიც არაფერია – ფარნაოზ ანანიაშვილი საუკეთესო კანდიდატურაა.

არსებობდა თუ არა კარტების ასეთი განლაგება? ძნელი სათქმელია. თუკი იმ მომენტში არ ყოფილა – თუმცა მცოდნე ხალხი იწმუნება, რომ იყო! – ის შეიძლება ნებისმიერ წუთს სპონტანურად წარმოქმნილიყო. და მაშინ...

არა, ნამდვილად უმართლებს კარგ და მარჯვე მოთამაშეებს, არ ვიტყვი, შულერებს-მეთქი, მაგრამ მოხერხებულებს. ბედისწერის ჩარევა და... მთელი მოსკოვური ბანქოს სახლი გაცამტვერდა. ზურაბ პატარიძეს დიდი პოლიტიკისკენ გზა მძიმე ტრაილერმა გადაუღობა. ფარნაოზ ანანიაშვილი კი ანონიმი მშრომელების სიგნალებისადმი დანაშაულებრივი უყურადღებობის გამო გისოსებს მიღმა აღმოჩნდა.

და მაინც, ვფიქრობ, კიდევ ერთი მიზეზი არსებობდა, რომელმაც ფინანსთა მინისტრი კატასტროფამდე მიიყვანა. ის თეთრი ყვავი იყო შავ გუნდში. სხვა მინისტრები თავს აჩვენებდნენ, რომ მუშაობენ, ის კი – მუშაობდა. სხვა ხელმძღვანელები „პოტიომკინის სოფლებს“ აშენებდნენ, ის კი – წყნეთის დასასვენებელ კომპლექსს თავისი თანამშრომლებისათვის, რომელიც არაფრით ჩამოუვარდებოდა ცეკასას. მავანი ოპერის თეატრს ცეცხლს უკიდებდა, ის კი მის აღდგენას აფინანსებდა და თვითონაც მონაწილეობდა ამაში. სხვები ნორჩ ტალანტებზე ლაქლაქებდნენ, ის კი თავის სამინისტროში ახალგაზრდა ქართველი მხატვრების პირველ გამოფენას აწყობდა.

ამბობენ, ოდესის ტრამვაის ვაგონებში ოდესღაც ასეთი წარწერა იყო: „თავს გაუფრთხილდით!“ ოქროს სიტყვებია. ფარნა ანანიაშვილმა უგულებელყო ეს გაფრთხილება. ისევე, როგორც ზურაბ პატარიძემ, კლასიკურმა თეთრმა ყვავმა შავ გუნდში. და აი, ამ ორი თავზეხელაღებულის კვალდაკვალ, ჩვენს მოთხრობაში ცეცხლის ხაზზე სხვა მხურვალე თავები გამოდიან. მათზე მომავალში მოგითხრობთ.

შემდეგ ნომერში:
„ფერისცვალისა და ბლეხაკის იგავი“

# ზურაბ ჟვანიას საფლავზე ვარდები დაჭკნა!

***გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრისთვის „ხავერდოვანმა ხელისუფლებამ“ მხოლოდ ერთი პატარა ქვა გაიმეტა. უკვე ხუთი თვე გავიდა ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებიდან და მისთვის სასაფლაოს გაკეთება არ მოხერხდა... არადა, სხვა ვალდებულებებთან ერთად ხელისუფლებამ ეს მოვალეობაც იტვირთა... დღეს დიდუბის პანთეონში დაკრძალული პრემიერ-მინისტრის საფლავზე რამდენიმე დამჭკნარ ვარდს თუ მოჰკრავთ თვალს.***




1. ზურაბ ჟვანია
2. შოთა ლომსაძე
3. ჩვენთვის უცნობია, ვისი საფლავია, მასზე, ერთადერთი, ხის ჯვარია
4. მედეა ჯაფარიძე, რეზო თაბუკაშვილი
5. ჰამლეტ გონაშვილი
6. ოთარ ლითანიშვილი
7. იზა გიგოშვილი
8. მურმან და ფიქრია ლებანიძეები
9. კოტე მახარაძე
10. ჯაბა იოსელიანი
11. ბიძინა ავალიშვილი
12. გოგი გეგეჭკორი

**გიორგი აბდალაძის ფოტოპანორამა დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში**

ამჟამად დიდუბის პანთეონის გარშემო საკმაოდ მაღალი ღობე შენდება... მშენებლობა ყოველდღიურად მიმდინარეობს და მუშებისგან ასეთი ინფორმაციაც შევიტყვეთ: დაახლოებით ორი თვეა, აქ ვართ, მაგრამ პრემიერ-მინისტრის საფლავზე მოსული არცერთი პოლიტიკოსი არ გვინახავსო. ერთხელ ყოფილა მიხეილ მაჭავარიანი, ისიც, რამდენიმე თვის წინ, სხვა არავინ გამოჩენილა... **რთული ასახსნელია, რას შეიძლება მივაწეროთ ჟვანიას მეგობრების ესოდენ გულგრილი დამოკიდებულება - მოუცლელობას თუ იმის შიშს, რომ საკუთარი ლიდერის გარდაცვალების შემდეგ წარსული ცოდვები არ მოეკითხოთ?!** იქნებ, სწორედ ამისთვის სჭირდებათ მათ იმის დემონსტრირება, რომ მეგობარი და ლიდერი დაივიწყეს?!. სამაგიეროდ, შვილის საფლავზე თითქმის ყოველდღიურად დადისო ქალბატონი რემა, რომელიც, თურმე, ყოველთვის გრძნობდა, რომ ზურას მოკლავდნენ...

ხელისუფლებას ჟვანია კარგა ხნის წინ რომ დაავიწყდა, ეს ნათლად ჯერ კიდევ მაშინ გამოჩნდა, **როდესაც სააკაშვილს ბუშის ვიზიტის დროს თავისუფლების მოედანზე წარმოთქმულ სიტყვაში თავისი პოლიტიკური მამობილის ხსენება დაავიწყდა.** ხელისუფლებამ ჟვანია დაივიწყა მაშინაც, როდესაც „აჭარული რევოლუციის“ წლისთავთან დაკავშირებით საზეიმო კლიპები დაამზადეს. მაშინ რევოლუციის ერთ-ერთი ავტორი - ჟვანია კადრებში მხოლოდ მისი ოჯახის წევრების უშუალო ჩარევით გამოჩნდა...

ხელისუფლება საბოლოოდ ცდილობს, დაივიწყოს გარდაცვლილი ჟვანია და მისი მკვლელობის ბურუსით მოცული ისტორია. ჟვანიას მეგობრები ყველაფერს აკეთებენ, რათა „დემოკრატების“ ყოფილი ლიდერი საზოგადოებასაც მიავიწყონ და რაც შეიძლება მალე ჩააბარონ წარსულს.

ჟვანიას განსასვენებელი, პრაქტიკულად, ერთადერთია დიდუბის პანთეონში, რომელსაც აშკარად აკლია მოვლა-პატრონობა... როგორც აღვნიშნეთ, მის საფლავზე მხოლოდ დამჭკნარი ვარდების და პატარა ქვის ნახვა შეგიძლიათ. ქვაზე ბატონი ზურაბის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებიც კი არ არის გამოსახული...

პრემიერ-მინისტრის საფლავს ერთი მხრიდან ღობე ესაზღვრება. მის გვერდით კი შოთა ლომსაძე მარხია. ჟვანიასგან ოდნავ მოშორებით „მხედრიონის“ მეთაური ჯაბა იოსელიანია დაკრძალული, რომლის საფლავის ქვაზეც „ოქროს ასოებით“ არის ამოტვიფრული ჯაბა იოსელიანი. ზურაბ ჟვანიას სასაფლაოს უკან ჰამლეტ გონაშვილის საფლავი და ძეგლია, იქვე არიან დაკრძალული მედეა ჯაფარიძე და რეზო თაბუკაშვილი, რომელთა საფლავებსაც ასევე ამშვენებს ძეგლი. პრემიერ-მინისტრის საფლავის პირდაპირ, თეთრ მარმარილოს ქვაზე კოტე მახარაძის გვარ-სახელს ამოიკითხავთ. იქვე არიან დასაფლავებულნი მურმან და ფიქრია ლებანიძეები და დროს მათთვისაც შესაბამისი პატივი მიუგია. სამწუხაროდ, ამ ცნობილ ადამიანთა საფლავებს შორის უმოწყალოდ გაწირული პრემიერ-მინისტრის საბოლოო განსასვენებელი, რბილად რომ ვთქვათ, მოუვლელი და ყველასგან მიტოვებული ადამიანის საფლავს ჰგავს. არადა, როგორც აღვნიშნეთ, ვალდებულება, რომ სიკვდილის შემდეგ მაინც სათანადო პატივი მიეგოთ ჟვანიასათვის, ხელისუფლებამ იტვირთა. დიახ, ხელისუფლება, რომელსაც ძალაუფლების მოპოვებისკენ, პრაქტიკულად, ჟვანიამ გაუკვალა გზა, არ ინტერესდება მისი მკვლელობის გამოძიებით! ხელისუფლების ასეთი გულგრილობა საზოგადოებაში მრავალ კითხვის ნიშანს აჩენს და იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ზურაბ ჟვანია მოკლეს!

**მაია მარგველანი**



ლიტერატურული საქართველო

# ნაწყვეტი თამაზ წივწივაძის სკანდალური წერილიდან

*„ლიტერატურული საქართველო“, 2005 წლის 8 ივლისი*

# გვემშვიდობება?!

ძვირფასო თანამემამულენო!

ძვირფასო მკითხველო!

**მინდა მწუხარებით გაუწყოთ: რამდენიმე თვე კიდევ რომ გაგვეძლო, გაისამდროს, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ 75 წლის გახდებოდა!..**

მთელი ამხნის განმავლობაში არც ერთ ხელისუფლებას მისი დახურვა გულშიც არ გაუვლია!..

ამათთვის, ახალი ხელისუფლებისთვის, კიდევ ძნელი მხოლოდ რამეს გახსნა და განახლებაა, თორემ დახურვა და თვითლიკვიდაცია - თვითკმაყოფილების გამოხატვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა!

უხაროდათ კიდეც და ტუჩებს თავს ვერ უყრიდნენ, როცა:

**100 წლის „დილას“ დაფინანსება შეუწყვიტეს!**

**80 წლის ჟურნალი „მნათობი“ დახურეს!**

**130 წლის „დროშა“ პირისაგან მიწისა აღგავეს!..**

**153 წლის ჟურნალი „ცისკარი“ დააქციეს და დაამხეს!..**

და, საოცარი რა არის იცით? ეს ყველაფერი, ამ უკუღმადღეზე გაჩენილმა, სულ რაღაც წელიწადნახევარში მოასწრო!..

სხვა უკეთურებაც მრავლად ჩაიდინეს: **ღვთის ანაბარა მიატოვეს და, ფაქტობრივად, გააუქმეს მწერალთა კავშირი, მხატვართა კავშირი, კომპოზიტორთა კავშირი, თეატრალური და კიდევ სხვა დიდი შემოქმედებითი კავშირები და საზოგადოებები!..**

**პარალელურ რეჟიმში დაშალეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართული ფილმი!..**

**თავიანთი ჭკუით შეაერთეს, გამოაერთეს, გააუკუღმართეს და გამოაცუცურაკეს ყველა სხვა უმაღლესი სასწავლებელი, კვლევითი თუ სამეცნიერო ინსტიტუტი!**

**შვიდჯერ შეუხტნენ წელში ქართულ ეკლესიას!..**

**კარიბჭე შეუნგრიეს და „კრაზის“ ტიპის სატვირთო ავტომანქანას გამოაბეს გლდანის ეკლესიის მთავარი ალაყაფი!**

**თავიანთი ლაყაფით კი მოწამლეს ქვეყნის სატელევიზიო სივრცე, ქართული პრესა და საქართველოს რადიო!..**

თითქმის იავარყვეს ყველა კულტურული ცენტრი და ბოლოს, ყველა თავიანთი მხარდამჭერი რუსთაველის თეატრში შეჰყარეს და, ოთხი საათის დაგვიანებით მისულმა პრეზიდენტმა, დიდი სიცხით და დიდი ლოდინით პირზეოფლგადამდინარე და გამოთაყვანებულ საზოგადოებას, ურცხვი და აბუჩადამგდები ტონით გამოუცხადა:

დღეიდან საქართველოში ქართული კულტურის რენესანსი იწყებაო!..

კი, ბატონო, თუ სიტყვა „რენესანსი“ ადრინდელი მნიშვნელობით აღარ იხმარება და ახლა ის, კულტურის, მეცნიერების, განათლებისა და რელიგიის მოშლასა და მოსპობას ნიშნავს, ეს პროცესი ამ ხელისუფლების ქვეყნის სათავეში მოსვლის დღიდან დაწყებულა!..

**დიახ, ამ ქვეყანაში დღეს ყველაფერი დადუმებულია!**

**დუმს ქარხანა, დუმს ფაბრიკა, დუმს ხალხიც!**

**და ამ საყოველთაო მდუმარებაში, მხოლოდ პრეზიდენტი რაკრაკებს!..**

**ძვირფასო მკითხველო!**

**მინდა მწუხარებით გაცნობოთ და დაიმახსოვროთ: დღეს ხომ 8 ივლისია? ამის შემდეგ კიდევ ამ თვეში სამჯერ, 15-ში, 22-ში და 29-ში გამოვალთ!..**

**ამ თვისა და ამ წლის 29 ივლისიდან კი გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ თავის არსებობას ან დროებით ანდა სულაც, სამუდამოდ შეწყვეტს!..**

დიახ, მინდა კარგად გახსოვდეთ, 29 ივლისიდან მოყოლებული, მე, როგორც „უიარაღოდ“ დარჩენილი ოპოზიციური გაზეთის რედაქტორს, საკუთარი თავი თოკის ყულფში მექნება გაყოფილი და ამ ჩვენს ხელისუფლებას ვაძლევ შანსს, როცა მოესურვება, მაშინ გამოკრას ფეხი სკამს!..

**ძვირფასო თანამემამულენო!**

მეც თუ ამიერიდან უარს ვაცხადებ „ლიტერატურული საქართველოს“ გამოცემაზე, არა იმდენად მოსალოდნელი საფრთხის გამო, არამედ იმ იმედით და რწმენით, რომ ჩემს სამშობლოს ჩემი სამსახური აღარასოდეს დასჭირდება!

**და, რაც მთავარია! - მე დღეს ამ გაზეთის გამოცემის არავითარი საშუალება აღარ გამაჩნია!**

ხოლო თუ ზოგი ვინმე ამასაც სამშობლოს ღალატად და საკუთარი ქვეყნის სამსახურიდან გაქცევად ჩამითვლის, ამის პასუხიც მზად მაქვს!

**შემიძლია ხატზე დავიფიცო, უკვე მეორე წელიწადია: რაც ახალი ხელისუფლება „ლიტერატურულ საქართველოს“ ერთი თეთრი რაა, იმითაც კი არ დახმარებია!**

**მე კიდევ, ჩემი და ჩემი, ერთ დროს შეძლებული, ოჯახიდან აღარაფერი დამიტოვებია, გასაყიდი გაიყიდა, დასაგირავებელი დაგირავდა, დრო გავიდა და, ეს ყველაფერი სხვათა ხელში გადავიდა...**

ამ ჩემი გარჯით კი, ეს მეორე წელიწადია, „ლიტერატურული საქართველო“ ისეთივე სიზუსტით გამოდის ყოველი კვირის პარასკევს, როგორც იაპონიის სამგზავრო მატარებელი მეზობელი სადგურიდან!..

ეტყობა, საზღვარი ყველაფერს აქვს...

**და, ახლა, როგორც დაგთქვით, მომდევნო სამ ნომერს (15-ში, 22-ში, 29-ში), ღმერთის შეწევნით, ალბათ კიდევ გამოვცემთ და ამის შემდგომ, თქვენც უნდა მაპატიოთ, ძვირფასო მკითხველო!.**

**თამაზ წივწივაძე**

აზმა მეორე

# წიგნი კოლხთა და იბერიელთა

## დიაოხი, კოლხა, სპერი

ეს დრამატული ისტორია მჭიდროდ უკავშირდება ქართველ ტომთა სწრაფ აღზევებას ქრისტეს წინარე II ათასწლეულის შუა ხანებიდან (დაახლოებით, ჩვენგან 3500 წლის წინათ).

ეს ის დრო იყო, როცა მცირე აზიაში „ზღვის ხალხების“ შემოსევებმა ჯერ დაასუსტეს და შემდეგ სავსებით დაანგრიეს ოდესღაც მძლავრი ხეთთა სამეფო. ამით ისარგებლა კოლხური მოდგმის ძლიერმა ტომმა — მესხებმა. ისინი მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში შეიჭრნენ, მკვიდრად განსახლდნენ და საფუძველი მოუმზადეს მომავალში ძლიერი სახელმწიფოს შექმნას.

შემდეგ, ქრისტეს წინარე XIII საუკუნეში (დაახლოებით, ჩვენგან 3300 წლის წინათ), დღევანდელი არზრუმისა და მის სამხრეთ ტერიტორიებზე შეიქმნა ძლიერი ქართული ტომობრივ-სახელმწიფოებრივი გაერთიანება — დიაოხი (შემდგომში — ტაო), რომელიც ექვსასი წელი იგერიებდა წინა აზიის მძლავრ სახელმწიფოთა — ასურეთისა და ურარტუს შემოტევებს.

ქრისტეს წინარე VIII საუკუნეში (დაახლოებით 2800 წლის წინათ) დიაოხი სამხრეთ-დასავლეთ ქართველთა ახალმა მძლავრმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ დაიპყრო და შეიერთა. ეს იყო კოლხა, ანუ კოლხეთი, რომელსაც სახელი ამ დროისათვის ქართველ ტომთაგან ყველაზე გამძლავრებულმა კოლხებმა მისცეს. კოლხთა გარდა ახალ პოლიტიკურ გაერთიანებაში შედიოდნენ დანარჩენი ქართული ტომებიც: მოსხები (მესხები) და ტაოხები (ტაოელნი), მოსინიკები და სანიგები, ტიბარენები და ხალიბები, ქარდუხები და მაკრონები.

ახლა კოლხასა და ურარტუს შორის გაჩაღდა მძიმე ბრძოლები, მაგრამ ჩრდილოეთიდან გადმოჭრილმა კიმერიელთა ნიაღვარმა დააზავა და შეაკავშირა წაკიდებული მეზობლები. მალე კიმერიელებს სკვითთა და მიდიელთა შემოსევები მოჰყვა.

კოლხაც და ურარტუც დაეცნენ.

მაგრამ ქართული სახელმწიფოებრიობა მაინც დღეგრძელი აღმოჩნდა. იგი ახალი პოლიტიკური ქმნადობით განაგრძობდა არსებობას.

ქრისტეს წინარე VII-VI საუკუნეების მიჯნაზე (დაახლოებით, 2600 წლის წინათ), ისევ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, მდინარე ჭოროხის ზემო წელზე, ქართის ტომებმა სასპერებმა, ანუ იბერებმა, შექმნეს სპერის სამეფო.

სპერის მეზობლად მაშინ ორი მძლავრი სახელმწიფო არსებობდა: ირანული მიდია და მცირეაზიული ლიდია. ქრისტეს წინარე 586 წელს მიდიელები და ლიდიელები გადამწყვეტი ბრძოლისათვის ერთმანეთს შეხვდნენ მდინარე ღალისის პირას. მაგრამ ბრძოლა არ შედგა, რადგან მზის დაბნელებამ დაასწრო და „რაკი უფალმა ბრძოლა არ ინება“, მოწინააღმდეგენი უომრად შეთანხმდნენ, სასაზღვრო ხაზად მდინარე ღალისი გამოეცხადებინათ.

ვერც მიდიამ და ვერც ლიდიამ ვერ შეჰბედეს სასპერთა სახელმწიფო საზღვრებს.

ქრისტეს წინარე VI საუკუნის შუა ხანებში გამოჩნდა წინააზიელ ხალხთა ღვთისრისხვა — დიდი კიროსი, რომელმაც საფუძველი დაუდო სპარსეთის სახელმწიფოს და მის მბრძანებელ აქემენიანთა დინასტიას. სპარსელებმა დაიპყრეს მიდია, ლიდია, მესოპოტამია, დასავლეთ წინა აზია, შემდგომ ეგვიპტე და ბოლოს — შუა და ცენტრალური აზია ინდოეთამდე.

სამხრეთ-დასავლეთელი ქართველებიც აქემენიანთა სამბრძანებლო საზღვრებში მოექცნენ. ისინი სპარსეთის მეთვრამეტე-მეცხრამეტე სატრაპიებში შედიოდნენ, ხარკს იხდიდნენ და საჭირო შემთხვევაში სპარსელებს ლაშქრად მიჰყვებოდნენ.

## კოლხეთი და იბერია

დასავლეთ საქართველომ ჭოროხიდან კავკასიონამდე ახალი სახელმწიფოებრიობით განაგრძო ცხოვრება. ეს იყო ეგრისის, ანუ კოლხეთის სამეფო.

სპარსელ აქემენიანებს კოლხეთზე ხელი არ მიუწვდებოდათ.

უფრო ადრე, VII საუკუნიდან, ქართულ საზღვაო სანაპიროებზე უკვე საქვეყნოდ დაწინაურებულმა ბერძნებმა იწყეს გამოჩენა. შავი ზღვის სამხრეთით და აღმოსავლეთით დაარსდნენ სავაჭრო ახალშენები და კულტურული ცენტრები: სინოპი, ტრაპეზუნტი, კერასუნტი, ფასისი (ფოთი), დიოსკურია (სოხუმი).

ქართული სამყარო დიადი ბერძნული ცივილიზაციის მოკავშირე და მონაწილე შეიქნა.

VI საუკუნეში აღმოსავლეთ და სამხრეთ ქართველთაგან შეიქმნა ქართლის, ანუ იბერიის სახელმწიფო, იბერიელები არავის ბატონობას არ ცნობდნენ, არც მიდიელებისას, არც სპარსელებისას. ქართლის სახელმწიფო ჯერჯერობით სავსებით „თავისუფალ მამულიშვილებს“ ზრდიდა და ავაჟკაცებდა.

ქართლის თავადი ქალაქი იყო დიდებული მცხეთა.

ქართველთა საზოგადოებრივი, პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრების ყველა მხარე თითქოს მტკიცედ ჩადგა თავის კალაპოტში.

მაგრამ წინა აზიის მრავალტომოვან ხალხთა სისხლიან-მღომრული, მარადჟამეულ მღელვარე საუკუნეები ახალი ხოცვა-ჟლეტით აღსავსე ფურცლებით გრძელდებოდა. ქრისტეს წინარე 334 წელს მთელი მსოფლიო შეარყია მანამდე არნახული და არგაგონილი დამპყრობელის გამოჩენამ. მაკედონიის ტახტზე დაჯდა ოცი წლის ჭაბუკი ალექსანდრე, მომცრო ტანით და აღიელი თვალებით (ცალი შავი და ცალი ცისფერი), გენიალური გონებითა და აქილევსური შემმართებლობით. მას თავგამოდებით სურდა და სწამდა, რომ მსოფლიო ისტორიის სოლისტის როლს უეჭველად აღასრულებდა.

წამოვიდა ალექსანდრე ბერძნულ-მაკედონური ლაშქრით, აზიაში შემოიჭრა, სპარსული არმიები ზედიზედ დაამარცხა და გააცამტვერა, დაიპყრო მცირე აზია, სირია-ფინიკია, ეგვიპტე, მესოპოტამია, ცენტრალური და შუა აზია და, ბოლოს ინდოეთის დიდი ნაწილიც.

ბალკანეთიდან ფენჯაბამდე ხალხი არ დარჩენილა, მაკედონელთა უღელი არ დასდგომოდეს კისრად.

ხოლო ქართველები მაშინდელი მსოფლიოს ყველაზე დიდი დამპყრობელის მბრძანებლობასაც გადაურჩნენ.

323 წელს ალექსანდრე მაკედონელი გარდაიცვალა და მისგან შექმნილი მსოფლიო მონარქიაც მისივე გვამის გაცივებამდე დაიშალა. ალექსანდრეს მემკვიდრეობის ნანგრევებზე ე.წ. ელინისტური (ბერძნულ-აღმოსავლური) სახელმწიფოები წარმოიქმნენ. ამათგან უმთავრესი იყვნენ სირია, ეგვიპტე და მაკედონია. სირია, რომელიც ხმელთაშუა ზღვიდან ინდოეთამდე წვდებოდა, დაემორჩილა ალექსანდრეს ერთ-ერთ სარდალს, სელევკოსს, საიდანაც წარმოიშვა სელევკიდების დინასტია.

მცირე აზიაშიც რამდენიმე ელინისტური სახელმწიფო ჩამოყალიბდა, რომელთაგან ყველაზე ძლიერი იყო პონტოს სამეფო.

პონტოს სახელმწიფო შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით შეიქმნა და ძირითადად ქართველური ტომებით (ხალიბები, ტიბარენები, მოსინიკები, მაკრონები, დრილები, სანიგები, შკვითინები, კოლხები, ტაოხები და სხვ.) იყო დასახლებული, მაგრამ რაკი იქ, სხვა ელინისტურ ქვეყანათა მსგავსად, სახელმწიფო ენად ბერძნული ენა მოქმედებდა, ქართველები პონტოელებსაც „ბერძნებს“ უწოდებდნენ.

## წიგნი ფარნავაზისა

შენ, ჰე, ფარნავაზ ჰქმენ ერთ-მთავრობა,
შენ მოეც ქართველს წიგ ნი პირველი,
შენ დაუმკვიდრე ერსა ერთობა
და ერთობისა წესი და მალი.

**გრიგოლ ორბელიანი**

მცხეთაში მაშინ მამასახლისი იჯდა, სახელად სამარა.

პონტოდან ძლიერი ლაშქრით მოვიდა სარდალი აზონ, ტომით პონტოელი ქართველი, მაგრამ ქართველთაგან „ბერძნად“ წოდებული. აზონს ალექსანდრე მაკედონელის თანამებრძოლ სარდლადაც მიიჩნევდნენ.

მოვიდა იგი ძლიერი ჯარით და ძლიერი სახელით.

დაიპყრო მცხეთა, გული ქართლისა.

დაახოცვინა მამასახლისი სამარა და მისი ძმა.

ასე დაჯდა აზონ ქართლის ერისთავად. დაჯდა და მცხეთის აკროპოლისზე აღმართა ორი ვერცხლის კერპი — გაც და გაიმ.

მოკლულ სამარას ძმას სამი წლის ვაჟი დარჩა, სახელად — ფარნავაზი.

დედამ მამით დაობლებული შვილი კავკასიონის მთებში გახიზნა და იქაურ მთიელ ქართველობაში გაზარდა. ვაჟკაცობაში ფეხშედგმულმა ფარნავაზმა არ დაიშალა, დედასთან ერთად მცხეთაში დაბრუნდა და თავის მამულში დასახლდა.

მალე ფარნავაზს ხმა გაუვარდა, ვითარცა მომხიბლავ ვაჟკაცს, სწავლულ მწიგნობარს, უებრო მხედარს, მეომარსა და ხელმოუცარავ მონადირეს.

აზონის ყურსაც მისწვდა ფარნავაზის საქმენი სავაჟკაცონი. თვითონ აზონი ნადირობის დიდი მოყვარული იყო და ფარნავაზიც სწორედ მონადირეული ხელოვნებისთვის დაიახლოვა და დაიმეგობრა.

დედას აშინებდა ფარნავაზის სიახლოვე მეშურნე და მესისხლე აზონთან.

„შვილო ჩემო, ეკრძალე აზონს, ნურას უჩვენებ სიკეთეს და ღირსებას შენსას, თორემ, ვაი თუ მოგკლან!“ შეშფოთებით ეტყოდა ხოლმე დედა შვილს. ფარნავაზი დედას ამშვიდებდა, ამხნევებდა და მოძალადე მეგობარს კვლავ დანდობილად მისდევდა ტყესა და ღრეში.

ერთ დილას ფარნავაზმა ღამეული სიზმარი უამბო დედას:

ვითომ იგი სადღაც უკაცრიელ სახლში მომწყვდეულიყო, საიდანაც გასასვლელი არსაით ჩანდა; უცებ სარკმლიდან მზის სხივი შემოიჭრა, ფარნავაზს ხელზე შემოერტყა, განზიდა და გაიყვანა; მერე სადღაც ტრამალ ველზე გავიდა და შედგა: უცებ მზე ზეციდან ძირს დაეშვა და ფარნავაზის წინ მის სიმაღლეზე დადგა; ჭაბუკმა მზისკენ ხელი გაწვართა, პირზე სხივოსანი ცვარი ჩამოჰხოცა და პირი იმ მზიურნამცვრევით დაიბანა!..

ეს საამური ძილისშორისი დედას დაუტევა და თვითონ მარტოდმარტო წავიდა სანადიროდ.

დიღმის ველზე რომ გააღწია, ირმის ჯოგი წამოუვარდა. მონადირემ წამსვე მშვილდ-ისარი გამართა და ცხენს ქუსლი ჰკრა. ირმები წინ, ღრმა ტაფობისაკენ გაფრინდნენ. ფარნავაზმა ისარი დაადევნა. ერთი მოწყვეტით ჩამოსხლტა ჯოგს. მაინც სისხლდენით მიჰქროდა დაჭრილი ირემი. ბოლოს, მწუხრის ჟამს, ველარ გაუძლო და ერთ კლდის ძირს მუხლი ჩაიკრიფა. ფარნავაზიც მივიდა, ცხენიდან გარდახდა და დაუძლურებულ ნადირს კისერზე მკლავი გადაჰხვია.

ის ღამე ერთად გაათიეს კაცმა და ნადირმა. ფარნავაზმა კლდეს თვალი მოავლო — თავშესაფარს რასმე ეძებდა.

უცებ მან კლდის ძირში ქვა-ნაშალი შენიშნა. თითქოს კლდეში შესასვლელი ოდესღაც ვიღაცას ამოექოლოს.

სასწრაფოდ ჩუგლუგი მოიმარჯვა და კლდე-ნაქოლის გამორღვევას შეუდგა. იგი შევიდა გამოქვაბულში და გაიხარა, რომ გადასაწვიმებელ ადგილს მიაგნო. მაგრამ უფრო დიდი სიხარული თურმე მას წინ ედო.

როცა ფარნავაზმა გამოქვაბულს თვალი უფრო გულისყურით მოავლო, დაინახა საგანძური აურაცხელი ოქრო-ვერცხლისა!

გაოცებულმა და სიხარულით აღვსილმა ჭაბუკმა გამოქვაბულის კარი ისევ ამოქოლა და სახლისკენ გაქუსლა. იქ მან დედას და თავის სამ დას გაანდო ეს მოულოდნელი და სასიხარულო ამბავი.

ხუთი ღამის განმავლობაში ფარნავაზს, მის დებსა და დედას, ყველასაგან საიდუმლოდ და შეუმჩნევლად, გამოჰქონდათ ოქრო-ვერცხლი გამოქვაბულიდან. გამოჰქონდათ და სხვა, მათთვის უფრო მარჯვე და საიდუმლო ადგილზე ინახავდნენ.

როცა ეს საქმე მოათავა, ფარნავაზმა თავისი მსახური აფრინა დასავლეთ საქართველოში და ეგრისის მაშინდელ ერისთავს, ქუჯის შეუთვალა:

„მე ვარ ფარნავაზი, შენი ნათესავი ქართველი, შენებრ ქართლოსის შთამომავალი, აწ მოკვდინებულ სამარას ძმისწული. ხელთა მაქვს დიდძალი ხვასტაგი, ოქრო და ვერცხლი. მომეცი ნება, მოვიდე შენთან, რამეთუ ვეძმოთ ძმანი ერთურთსა, მოვიხმაროთ ხვასტაგი ესე და ერთიან ძალით შევებათ აზონ ერისთავსა“.

ქუჯიმ დიდად გაიხარა ფარნავაზის შემონათვალზე და პასუხიც ასეთი აახლა:

„აღსდექ და მოდი ჩემთან, შევერთოთ ერთურთსა, ძმაო ჩემო. შევერთდეთ, რამეთუ განიხარონ ყოველთა ქართველთა“.

ფარნავაზი დედისა და დების თანხლებით მცხეთიდან იდუმალ გაუჩინარდა და კოლხეთში გადავიდა.

ქუჯიმ დიდის პატივითა და სიხარულით მიიღო მცხეთელი სტუმრები. მაშინვე მტკიცე ფიცით შეეკრნენ ერთურთს, რომ ერთიანი ძალით იბრძო-




მეფე ფარნავაზი. მხატვარი გიორგი გეგეჭკორი

## პოეზიის ხუთი წუთი

საბრალო საქართველო, ობოლი ბავშვივით,
გამვლელს და გამომვლელს მუხლებზე ეხვეოდა:
- დამჩაგრეს, ბატონო, მიშველეთ უდედმამოს! -
თხოვდა ხან საფრანგეთს, ხან რუსეთს.
- ლექსები იციო?! - ჰკითხეს საქართველოს,
პატარა საქართველოს, პატარას, თვალცრემლიანს...
- ვიციო! - უპასუხა, ცრემლები მოიწმინდა;
პატარა საქართველოს პალე-როიალში
შოთა რუსთაველის ლექსი ათქმევინეს.
- ყოჩაღ! - მხარზე ხელი დაჰკრა საფრანგეთმა, -
ამ ბავშვს მომავალი დიდი ექნებაო!...
ბოლოს, როგორც იქნა, რუსეთმა იშვილა
პატარა საქართველო, ობოლი საქართველო,
მაგრამ მამობილი მკაცრი გამოდგა;
გაეპარებოდა ხოლმე მამობილსა
და დედის საფლავზე ტიროდა საქართველო.



**მუხრან მაჭავარიანი**

# ხმლებით

მაშ, ინებე, კეთილო მკითხველო, ჩვენი წინაპრების „აღდგომის წილად“ წიგნები ესე, დაწერილნი: სინათლე - სინათლედ, ჩრდილი - ჩრდილად, ღირსება- ღირსებად, უღირსოება - უღირსოებად, სიმაღლე - სიმაღლედ, სიმდაბლე - სიმდაბლედ, სიკეთე - სიკეთედ, უკეთურობა - უკეთურობად, მადლი - მადლად, ცოდვა - ცოდვად, ყოველივე - „გარეშე გარისხებისა და მიკერძებისა“ - **„sine irae et studio“**.

ესე არს ფიცი ავტორისა, ფიცი - „ვეფხისტყაოსანზე“ და „ქართლის ცხოვრებაზე“ ხელის დადებით.



**ლევან სანიკიძე. «უქარქაშო ხმლების» წინაბჭიდან.**
***26 მაისი 1974 წლისა***

ლებდნენ აზონის დასამხობად.

ქუჯიმ ისიც კი განსაზღვრა, ვინ უნდა ყოფილიყო გაერთიანებულ ქართველთა ბელადი და „უფალი“. მან ფარნავაზს ასე უთხრა:

„თავი და თავი ქართლოსიანნი აღმოსავლეთ ქართველები არიან, ამიტომ შენ გმართებს უფლობა ჩვენი. ახლა წადი, ნუ დაიშურებ ხვასტაგსა შენსა და ამრავლე ლაშქარი; და შემდგომაც, თუ ღვთის შეწევნით გავიმარჯვებთ, კვლავ შენ იქნები უფალი ჩვენი, ხოლო მე ქვეშევრდომი შენი“.

ქუჯის დიდსულოვნებითა და სიბრძნით აღტაცებულმა ფარნავაზმა შეჰყარა აღმოსავლეთ და დასავლეთ ქართველთა საომარი ძალები, კავკასიონითგან მოირთო ოვსნი და ლეკნი, რომლებიც აზონს დახარკულნი ჰყავდა.

ეტყობა, აზონის მომხრეთა ბანაკშიც არ ყოფილა მტკიცე ერთიანობა. როცა გადამწყვეტი ბრძოლის დღე მოახლოვდა, აზონის ლაშქარი ათასმა რჩეულმა მხედარმა მიატოვა და ფარნავაზის ბანაკს შეუერთდა.

აზონმა მოპირდაპირის ძლიერ ძალებს ბრძოლა ვერ შეჰბედა, მცხეთა მიატოვა, კლარჯეთში გადავიდა და იქ გამაგრდა.

ფარნავაზმა დაიპყრო მცხეთა და სრულიად ქართლი და შეუდგა კლარჯეთისაკენ სალაშქრო სამზადისს. მან ძღვენი გაუგზავნა და შემწეობა სთხოვა სირიის მაშინდელ ხელმწიფეს, ანტიოქე I სოტერს. ამანაც ფრიად გაიხარა ქართველთა ახალგაზრდა ბელადის ძღვენითა და სამოკავშირეო წინადადებით. მან ფარნავაზს „შვილი“ უწოდა, უძვირფასესი გვირგვინი გამოუგზავნა და თან თავის ქვეშევრდომ სომხეთის მმართველთ ფარნავაზისთვის დამხმარე ძალთა გაგზავნა უბრძანა.

ფარნავაზი ქუჯის თანხლებით, ქართველთა გაერთიანებული ძალებით, დაიძრა არტანუჯისაკენ.

აზონიც ელოდებოდა პონტოდან მიღებული ახალი საომარი ძალებით.

ბრძოლა მოხდა არტაანის, „ქაჯთა ქალაქის“ მახლობლად. სისხლიანი რკენა ფარნავაზის გამარჯვებით დამთავრდა. აზონი ბრძოლაში დაიღუპა. მისი ლაშქრის დიდი ნაწილიც განადგურდა. დანარჩენები ტყვედ ჩავარდნენ. მთელი კლარჯეთი თავის დედას — ქართლს შეუერთდა.

ასე შეიქნა ფარნავაზი ქართველთა პირველი გამაერთიანებელი და განთქმულ ფარნავაზიანთა დინასტიის დამაარსებელი.

ეს ამბავი მოხდა ქრისტეს წინარე IV-III საუკუნეების მიჯნაზე.

ფარნავაზი ჯერ მხოლოდ 27 წლისა იყო, მაგრამ ახლად წარმოქმნილ დიდ ქართულ სახელმწიფოს სიბრძნითა და კეთილგონიერებით განაგებდა.

იგი გამეფებისთანავე შეუდგა შინასახელმწიფოებრივი რეფორმების გატარებას. მან ჯერ განახორციელა ადმინისტრაციული რეფორმა. საქართველო დაჰყო საერისთავოებად, რომელთაც სათავეში ჩაუყენა ერისთავები. სულ იყო რვა საერისთავო: არგვეთი (შორაპანსა და ლიხს შორის), კახეთი (არაგვსა და ჰერეთს შორი), ხუნანი (გარდაბანი, მდ. ბერდუჯიდან ტფილისსა და გაჩიანამდე), სამშვილდე (ტაშირი და აბოცი), წუნდა (ჯავახეთი, კოლა და არტაანი), ოძრხე (სამცხე და აჭარა), კლარჯეთი (არსიანითგან შავ ზღვამდე) და ეგრისი (სამეგრელო და სვანეთი, სწორედ ეგრისის ერისთავი იყო ქუჯი).

შიდა ქართლს (ტფილისიდან ტაშისკარამდე), ვითარცა ცალკე საერისთავოს, განაგებდა სპასპეტი, მთავარსარდალი, რომელიც იმავე დროს ყველა საერისთავოთა ზედამდგომად და მეფის პირველ ვაზირად ითვლებოდა.

ჟამიდან ჟამზე თვითონ მეფე პირადად იწვევდა ხოლმე საერისთავოებს. ადგილზე მოიკითხავდა და გაიკითხავდა ყველა საჭირბოროტო საკითხს. უფრო ხშირად იგი სტუმრობდა კლარჯეთს და ეგრისს.

ფარნავაზი მეგობრობდა და მოყვრობდა თავის ერთგულ თანამებრძოლებთან, მოკავშირეებთან და ქვეშევრდომებთან. მას ცოლად ჰყავდა ჩრდილო კავკასიელ დურძუკთა ბელადის ასული, ხოლო თავის დათაგან ერთი ოვსთა მეფეს მისცა ცოლად, მეორე — ერთგულ ქუჯის, ეგრისის ერისთავს.

ფარნავაზმა ხელი მიჰყო დიდ აღმშენებლობით საქმიანობას. მან გაამშვენიერა და ქვის კედელ-ზღუდეებით გაამაგრა სატახტო ქალაქი მცხეთა და მისი აკროპოლისი არმაზ-ციხე, სადაც აღმართა ახალი კერპი არმაზ. მეფემ აღადგინა ყველა ქალაქი და ციხესიმაგრე, რომელიც კი მანამდე მტრის შემოსევას, თუ სტიქიურ უბედურებას დაენგრია. ამას გარდა დაიწყო ახალ ციხეთა და ქალაქთა მშენებლობა. ასე აშენდა შორაპნისა და დიმის ციხეები. ეგრისის ცენტრში ქუჯიმ აღაშენა ქალაქი ციხე-გოჯი.

იმავე IV-III საუკუნეთა მიჯნაზე ფარნავაზმა განახორციელა ყველაზე დიდი კულტურული ღონისძიება: „შექმნა მწიგნობრობა ქართული“, რასაკვირველია ქართულ ანბანზე დაფუძნებული. ჯერჯერობით მხოლოდ ეს არ ვიცით დაზუსტებით: ფარნავაზმა ქართული ანბანი, ვითარცა ქართული მწიგნობრობის უცილობელი საძირკველი, ადრეული საუკუნეებიდან აიღო (რაც უფრო სარწმუნოა), თუ თვითონ მის დროს შეიქმნა, მისი მითითებითა და ხელმძღვანელობით. ასეა, თუ ისე, ერთი რამ სავსებით უეჭველია:

ქართული ანბანი — რომლის საფუძველზედაც ფარნავაზმა „განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა, და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“, — არაუგვიანეს ქრისტეს წინარე III საუკუნის დამდეგისა, ძალაში შედის, ვითარცა უდიდესი სახელმწიფოებრივი და ეროვნული მოვლენა.

65 წელი იმეფა ფარნავაზმა და მიიცვალა 92 წლის ასაკში. იგი დაკრძალეს მისგანვე აღმართული არმაზის ფერხთა ქვეშ.

## საურმაგ და მირიან

ფარნავაზის შემდგომ გამეფდა მისი ვაჟი საურმაგ, რომელიც ენერგიულად იღვწოდა სახელოვანი მამის დიდი მკვიდრეობის შენარჩუნებისა და გაზრდისათვის.

მაგრამ ქვეყნის შიგნით, მეფესა და ერისთავთა შორის, მაინცადამაინც დიდი სიმტკიცე არა ყოფილა, რამდენიმე ერისთავი შეითქვა კიდეც სამეფო ხელისუფლების დასამხობად. საურმაგმა საკუთარი ძალები არასაკმარისად მიიჩნია და ხელშემწე ძალთა შესაკრებად ჩრდილოეთ კავკასიისაკენ გაეშურა. იგი ჯერ დედის თანხლებით მივიდა დურძუკეთის ბელადებთან, რომლებიც მას ბიძებად (დედის ძმანი) ერგებოდნენ. აქვე საურმაგს ქართლიდან ფეხდაფეხ მოჰყვნენ ფარნავაზის ერთგული წარჩინებულნი. მოვიდნენ, მეფეს მტკიცე ერთგულება შეჰფიცეს და ურჩთა წინააღმდეგ დაუყოვნებლივი ბრძოლა მოითხოვეს.

საურმაგი შეხვდა ოვსთა მეფესაც, რომელიც მისი მამიდაშვილი იყო.

ბოლოს, საურმაგი ერთგულ ქართლოსიანთა, დურძუკთა და ოვსთა გაერთიანებული ლაშქრით მოაჯანყეებს შეება და სასტიკად გაანადგურა. ჩრდილო კავკასიელთა ტომები საურმაგმა ერთგულებისათვის კავკასიონს გადმოღმა გადმოიყვანა და დიდოეთიდან სვანეთამდე დედაწულიანად განასახლა. მერე ისინი ადგილობრივ ტომებში აღირივნენ და სავსებით გაქართველდნენ.

საურმაგის შემდგომ ქართლის ტახტზე დაჯდა მისი მემკვიდრე მირიან პირველი, „ტანითა სრული, შუენიერი, ძლიერი, მხნე და ქუელი“.

მირიანის მეფობისას ჩრდილო კავკასიელთა და ქართველთა მშვიდობიანობა და მოყვრობა დაირღვა. დურძუკნი და ჭართალელნი, ერთ ურდოდ შეკრულნი დარუბანდზე გადმოიჭრნენ და კახეთს შემოესივნენ. მირიანმა სასწრაფოდ აწვია ერისთავნი, შეჰყარა ლაშქარი: ცხენოსანნი და ქვეითნი; ქართველთა ჯარებს შეურია საურმაგისგან გადმოსახლებული ჩრდილოელნი და დაიძრა დურძუკეთისაკენ.

მოპირდაპირენი ერთმანეთს შეხვდნენ დარიალის ჩრდილო შემოსასვლელთან. მირიანი ცხენიდან გარდახდა და მოწინავე ქვეით ლაშქარს ხმალამოწვდილი გაუძღვა. ბრძოლა იყო სასტიკი და დაუნდობელი. თვითონ მეფე იბრძოდა, „ვითარცა ჯიქი სიფიცხითა, ვითარცა ვეფხი სიმხნითა, ვითარცა ლომი ზახილითა“. ქართველმა ქვეითებმა მოწინააღმდეგე ხელჩართულში ჩაკაფეს და უკუაქციეს. გაქცეულ მტერს მეფის ბრძანებით მხედრობა გამოუდგა და სავსებით გაანადგურა. დურძუკეთი და ჭართალი მორჩილიქმნა. მირიანმა დარიალის გადმოსასვლელნი ქვის ციხე-ზღუდეებით ჩაჰკეტა და ჩარაზა.

***გაგრძელება შემდეგ ნომერში***


## რეკლამა

არაფერია ქვეყანაზე ჩვენი და ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობაზე ძვირფასი, და რა ძნელია ზოგჯერ მედიცინის განაჩენის აღქმა, როცა გეუბნებიან, რომ დაავადება განუკურნებადია. ამის დაჯერება არ გვინდა. აქ შეიძლება დაგეხმაროთ მხოლოდ სასწაული. ეს არის ღმერთისგან განკურნების სასწაული და ეს რეალურია. და ამის გაკეთება შეუძლიათ მხოლოდ ერთეულებს, რომელთაც ეს ძალა და ნიჭი ღმერთისგან აქვთ ნაბოძები. ერთერთი მათგანია **გალინა სმირნოვა**, რომელთანაც რუსმა ჟურნალისტმა ისაუბრა.

# განკურნების სასწაული

*- რა არის ბიოენერგოთერაპია?*

- ბიოენერგოთერაპია არის მკურნალობა ბიოლოგიური ენერგიის ზემოქმედებით. ამ ენერგიის საშუალებით ხდება ზემოქმედება ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, დაზიანებულ ორგანოებზე, უჯრედის დნმ ჩათვლით, ორგანიზმის ყოველი უჯრედი იმყოფება ჩემი სამკურნალო ენერგიის ზემოქმედების ქვეშ. თქვენს გკურნავთ ღმერთი ჩემი ენერგიის საშუალებით, თქვენ დარწმუნდებით ამაში უკვე პირველივე სამკურნალო სეანსების შემდეგ.

*- რა დაავადებები ექვემდებარება მკურნალობას?*

- მე ვმკურნალობ ყველა არსებულ დაავადებას, დაგეხმარებით სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემების დაძლევაში, მოვიყვან მხოლოდ რამოდენიმე სახეობას იმ დაავადებათა, რომელებზედაც მე მიმუშავნია: გულის მანკი, ეპილეფსია, შაქრიანი დიაბეტი, სახსრების დაავადება, დეპრესია, პანიკური შეტევები, სიელმე, ფსორიაზი, წითელი ქარი, მეხსიერების და სმენისა და მხედველობის დარღვევები, ნერვული სისტემის დარღვევები, ენის დაბმა, ფსიქიკური გადახრები, პროსტატიტები, ოსტეოხონდროზი, ფარისებური ჯირკვლის დაავადებები, წნევა, ქალური პრობლემები, საშარდე და სასქესო სისტემების პრობლემები, უშვილობა, ჰორმონალური დარღვევები. თუ თქვენ ან თქვენს ახლობლებს ესაჭიროება ოპერაცია, უმჯობესია მომმართონ მე.

*- შეგიძლიათ თქვენ განსაზღვროთ დაავადება?*

- დიახ, ჩემთვის ეს ძალიან მარტივია. მე ვატარებ დიაგნოსტირებას დაავადების ფოტოსურათის მიხედვით ან პირადი შეხვედრით. თუ თქვენ გინდათ გაიგოთ თქვენს და თქვენი დაავადებების შესახებ, შეგიძლიათ მომართოთ ჩვენს ოფისს.

*- შეგიძლიათ თუ არა, რომ დაეხმაროთ ავადმყოფ ბავშვს?*

- მე მზად ვარ დავეხმარო ნებისმიერ ბავშვს, ასაკის მიუხედავად, განუკურნებადი დაავადებების დროსაც. როდესაც მედიცინა უძლურია და მშობლები იმედს კარგავენ, მე შემიძლია მივცე მათ იმედი და განკურნება. 3-წლამდე ასაკის ბავშვებს კი სრული განკურნების გარანტიას ვაძლევ. მე დიდი გამოცდილება მაქვს ბავშვებთან მუშაობისა როგორც ამერიკაში, აგრეთვე რუსეთში. მე ვმუშაობ ისეთ დაავადებებზე, როგორაცაა РЦП, აუტიზმი, ეპილეფსია, გულის მანკი, საბავშვო შაქრიანი დიაბეტი, ბრონქიალური ასთმა, დაუნის დაა-ვადება, ჩამორჩენა განვითარებაში და მრავალი სხვა. ბავშვები ჩვენი მომავალია და მე ვეცდები რომ ეს მომავალი იყოს ბედნიერი თქვენთვის და თქვენი შვილებისათვის.

*- შეგიძლიათ თუ არა თქვენ დახმარება ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის და მწეველობის პრობლემების დასაძლევად?*

- დიახ, მე ადვილად ვწყვეტ მაგ პრობლემებს. თუ თქვენ ან თქვენი ახლობლები არიან ალკოჰოლზე დამოკიდებულები, ან სურთ დაანებონ თავი მოწევას, ჩვენ დავეხმარებით მათ ამ პრობლემების დაღწევაში მხოლოდ 5 დღეში და დავუბრუნებთ მათ სრულყოფილ სიცოცხლეს. დაიჯერეთ, ეს რეალობაა!

*- რას ურჩევდით დეპრესიით დაავადებულ ადამიანებს?*

- მე შემიძლია დავძლიო ყველა არსებული დეპრესია, დაწყებული პანიკური შეტევისგან კლინიკურ მდგომარეობამდე. როგორ მძიმედაც არ უნდა გრძნობდე თავს დღეს, და რა განცდებიც არ უნდა გქონდეთ მოცემულ მომენტში, ჩემი სამკურნალო სეანსების შემდეგ თქვენ ისწავლით არა მარტო როგორ ვიცხოვროთ, არამედ როგორ გიხაროდეთ ყოველი ახალი დღის მოსვლა. ჩემს პრაქტიკაში მრავალი პაციენტი იყო დეპრესიის უმძიმესი ფორმებით, მათ არ უნდოდათ სიცოცხლე, არაერთხელ უცდიათ თავის მოკვლა, ისინი არ იცინოდნენ და არ ტიროდნენ წლების განმავლობაში და დაკარგული ქონდათ მომავლის ყოველგვარი იმედი. მე სიხარულით შემიძლია ვთქვა, რომ დავეხმარე ყველა ჩემს პაციენტს, რომლებიც დეპრესიით იყვნენ დაავადებულნი და დავუბრუნე მათ კარგი გუნება-განწყობა, ენერგია, ოპტიმიზმი, სურვილი ეცხოვრათ და ემუშავათ.

*- გვიამბეთ როგორ და როდის შეიტყვეთ თქვენი ამ ნიჭის შესახებ?*

- მე ამითი დავიბადე, დავიწყე ამ ენერგიის გამოყენება ბავშვობიდან, მაგრამ პირველად ეს შეამჩნიეს სოფლის ბებიებმა, იმიტომ რომ, ჯერ კიდევ პატარაობისას საკმარისი იყო ვინმესთვის თავზე გადამესვა ხელი, რომ თავის ტკივილი უქრებოდათ.

*- ყველა თქვენი პაციენტი ნიუ იორკის მაცხოვრებელია?*

- რა თქმა უნდა არა! მე მინდა ავღნიშნო, რომ ჩვენ ოფისში ჩამოდიან არამარტო ნიუ-იორკის, ნიუ ჯერსის და მეზობელი შტატებიდან, არამედ მეორე სანაპიროდან და კანადიდანაც და ყოველ თქვენთაგანს ჩვენ მივიღებთ სიხარულით, ყურადღებით მოვუსმენთ, და მივცემთ დიდ იმედს სრული გამოჯანმრთელებისა. მე დაგეხმარებით თქვენს ირწმუნოთ სასწაული, არ მოუშვათ თქვენი დაავადება იმ ზომამდე, რომ დაგვიანდეს. ჩემი დახმარებით თქვენ იგრძნობთ სიცოცხლის ძალას და სიცოცხლით სიხარულს.



Long Life

**არატრადიციული მედიცინის ოფისი**

**2054 East 35th street,**
**Brooklyn, NY 11234**
**718-382-5537;**
**917-815-0656** after 5pm

ბიოენერგოთერაპევტი
**გალინა სმირნოვა**

# კინოშედევრი საქართველოში გაზრდილ რუსთ ხელმწიფეზე

## ჰოლანდიელმა რეჟისორმა ქართველ კოლეგასთან ერთად გადაიღო ფილმი რუსეთის პრეზიდენტის დედაზე, რომელიც სოფელ მეტეხში ცხოვრობს

## გიორგი ოვაშვილი: ვერა პუტინას ცრემლიანმა ისტორიამ მაყურებელი სულით ხორცამდე შეძრა

***რამდენიმე წლის წინათ ქართულ პრესაში ატეხილი აჟიოტაჟი იმის შესახებ, რომ რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის დედა საქართველოში ცხოვრობს, ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გასცდა. ჰოლანდიელმა რეჟისორმა ინეკე სმიტსმა ქართველ კოლეგასთან გიორგი ოვაშვილთან ერთად კასპის რაიონის სოფელ მეტეხში მცხოვრები ქალბატონის ვერა პუტინას შესახებ მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი გადაიღო. გადამღები ჯგუფი ერთი თვის მანძილზე რუსეთის პრეზიდენტის დედის ქართულ ოჯახში ცხოვრობდა. ჩვენი სტუმარია რეჟისორი გიორგი ოვაშვილი.***

**- გიორგი, რა იყო თქვენი მიზანი, როდესაც ვერა პუტინას შესახებ ფილმის გადაღება გადაწყვიტეთ?**

- გახსოვთ, ალბათ, ის წლები, როდესაც ქართულ პრესაში აჟიოტაჟი ატყდა იმის შესახებ, რომ სოფელ მეტეხში ცხოვრობს რუსეთის პრეზიდენტის დედა. მაშინ ამერიკაში ვიყავი და ამის შესახებ იქ, ერთ-ერთი რუსული გაზეთიდან შევიტყვე. გავიდა გარკვეული ხანი, დავბრუნდი თბილისში. ინეკე სმიტსთან ერთად ვიღებდი ფილმს, გვინდოდა გადაგვეღო მთები, სადმე, თბილისთან ახლოს და თეძმის ხეობაში გავემგზავრეთ. უკან დაბრუნებულებმა სოფელი მეტეხი გამოვიარეთ. ჩემთან ერთად მყოფ ჰოლანდიელებს ვერა პუტინას შესახებ ვუამბე. მათ არ სჯეროდათ, მაგრამ როდესაც სოფლის მცხოვრებლებმა ეს ფაქტი დაგვიდასტურეს და ქალბატონ ვერას სახლიც მიგვასწავლეს, მასთან სტუმრობა გადავწყვიტეთ.

თავიდან საკმაოდ გაგვიჭირდა ვერა პუტინას ნახვა და მისი შვილების დაყოლიება, მაგრამ შემდეგ, როცა ოჯახში შევედით, ჩვენს შორის მეტად თბილი ურთიერთობა ჩამოყალიბდა. მაშინვე გადავიღეთ რამდენიმე კადრი და როცა ინეკემ ფილმისათვის საჭირო ფული მოიპოვა, ერთი თვე ვერა პუტინას სახლში გადავსახლდით.

რაც შეეხება ფილმის მიზანს, ჩვენს ამოცანას არ წარმოადგენდა სენსაციის ძიება, არც იმის მტკიცება - არის თუ არა ეს ქალბატონი ვლადიმერ პუტინის დედა. ეს არის ამბავი ერთი ჩვეულებრივი ქალისა, რომელიც ცხოვრობს სოფელში, თავის პატარა სახლში და დარწმუნებულია, რომ მისი შვილი არის რუსეთის პრეზიდენტი.

**- და მაინც, თქვენ თუ დარწმუნდით, რომ ვერა პუტინა რუსეთის პრეზიდენტის დედაა?**

- საკმაოდ დიდხანს ვიმუშავე ამ თემის ირგვლივ, მოვაგროვეთ მასალები, შევხვდით და ვესაუბრეთ უამრავ ადამიანს. კვლევის პროცესში და თავად ქალბატონ ვერასთან საუბრის დროს ერთ რამეში დავრწმუნდით: - **ისტორია, რომელსაც მეტეხში მცხოვრები მოხუცი ქალი ჰყვება, ნამდვილია, ანუ, ნამდვილად იყო ამ სოფელში პატარა ბიჭი ვოვა პუტინი, რომელიც 10 წლის ასაკში გაგზავნეს ურალში.** არის თუ არა ის ვოვა პუტინი რუსეთის დღევანდელი პრეზიდენტი, აქ კითხვის ნიშანი, რა თქმა უნდა, ჩნდება. ვერა პუტინას კი ნამდვილად სჯერა, რომ იგი პრეზიდენტის დედაა.

**- თქვენ ერთი თვე დაჰყავით ვერა პუტინას ოჯახში. საინტერესოა, როგორ ცხოვრობს პრეზიდენტის დედა?**

- ცხოვრობს ისე, როგორც ამ სოფლის ყველა მცხოვრები. ეს არის მეტად სევდიანი ისტორიის მქონე ქალბატონი, რომელიც მარტოა თავის სევდასთან და დარდთან. მეტისმეტად განიცდის ყველაფერს, რაც ვლადიმერ პუტინს ეხება. თვლის, რომ საბედისწერო შეცდომა დაუშვა, როდესაც შვილი ურალში გაგზავნა, თუმცა, თავს იმით იმართლებს, რომ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა.

**- როდის და სად ნახავს ამ ფილმს ქართველი მაყურებელი?**

- ფილმი „ვერა პუტინა" რამდენიმე ხნის წინათ აჩვენეს კინოს ფესტივალზე, ნაჩვენები იქნა რამდენიმე საერთაშორისო კინოფესტივალზეც და საოცარი წარმატება მოიპოვა, მაყურებელი სულით ხორცამდე შეძრა ამ ქალის ცრემლიანმა ისტორიამ. ქართველები როდის ნახავენ ამ ფილმს, სამწუხაროდ, არ ვიცი.

*ესაუბრა*
თეა ასათიანი



*მეტეხი. ვოვა პუტინი 3 წლისაა.*



*მეტეხი. ვოვა პუტინი 7 წლისაა და ამ სურათს თავის მეგობარ გაბრიელს ჩუქნის.*



*ვალოდია პუტინს 14 წელი შეუსრულდა.*

## „მამულის" კინოდარბაზი

გადამღები ჯგუფი მიდის მანქანით, კასპის რაიონი.

**ავტორი**: **ერთი შეკითხვა მაქვს - სად ცხოვრობს პუტინის დედა?**

**სოფლის მცხოვრები**: ვინ?

- პუტინის დედა.
- სოფელ მეტეხში, აი, აქ.

ახლა სხვებს მიმართავს - სხედან სკამზე.

**ავტორი:** გამარჯობა. სად ცხოვრობს პუტინის დედა?

- უნდა გახვიდეთ სოფელ მეტეხში.
- ხომ ვერ გვეტყვით, რა ჰქვია?
- ვერა.

***ბავშვები უჩვენებენ გზას.***

- სოფელ მეტეხში ამ გზით ახვალთ.
- არა, ეს ბავშვები ტყუილს ამბობენ.

**სოფლის ბირჟა, ახალგაზრდების ჯგუფი...**

- პუტინის დედა სად ცხოვრობს?
- ეკლესიასთან, მარჯვნივ ჩაუხვევთ.

**ეკითხებიან მოხუც ქალს:**

- პუტინის დედას რა ჰქვია?
- ვერა!

**სუფრასთან სხედან თანასოფლელები.**

- გაუმარჯოს ვერა პუტინას, რომელმაც გაზარდა დიდი რუსეთის პრეზიდენტი, გაუმარჯოს, ყველას გაეზარდოს ასეთი სახელოვანი შვილი.

ვერა პუტინას ქალიშვილი: ძალიან მინდა, რომ დედაჩემი შვილის უნახავად არ წავიდეს ამქვეყნიდან. გვინდა, რომ ვლადიმირმა ერთხელ მაინც ნახოს თავისი დედა, თორემ ჩვენ არაფერი გვინდა მისგან. როგორც ვცხოვრობდით, ისე ვიცხოვრებთ. ჩვენ არაფერი გვიკვირს, იმიტომ, რომ ჩვეულებრივი ცხოვრებით ვცხოვრობთ.

ვერა პუტინა ჩეხს შეშას, ღუმელს ანთებს, ხინკალს ახვევს.

**ავტორი**: **ვიცი, ამ თემაზე საუბარი არ გიყვართ, მაგრამ როგორ გაიცანით ვოვას მამა?**

- ტექნიკუმში, სადაც ვსწავლობდი, საღამოს ახალგაზრდები შევიკრიბეთ, წვეულება გავმართეთ. ყველა კურსის მოსწავლეები იყვნენ, ბიჭებიც მოვიდნენ, რუსულ ცეკვებს ვასრულებდით.
- რა ერქვა ვლადიმირის მამას?
- პლატონი.
- თქვენთან ერთად სწავლობდა?
- სხვა კურსზე იყო, მექანიკოს-ელექტრიკოსი.
- ცოლად რატომ არ გაჰყევით?
- ერთხელ მისი მშობლიური სოფლიდან ამანათი მოვიდა. ,,პასილკა'' რომ გავხსენი, იქ, საჭმელთან ერთად, მისი ცოლის წერილი იყო! იმ დღიდან დავშორდით. დავრჩი ასე, ჩემს შვილთან ერთად.
- დღეს ვოვას თავისი მამის სახელი არა აქვს, - ვლადიმირ ვლადიმიროვიჩია, სინამდვილეში კი... ეჰ, პლატონი... ისიც, ვითომ მამა იყო. ვოვასთან მამამისის სახელი არასოდეს მიხსენებია, არ იცოდა მამამისის ვინაობა.

სოფლის ბავშვები თევზაობენ, თამაშობენ.

**ვერა პუტინა**: იმ პატარა სოფელში, სადაც დედაჩემი და მამაჩემი დაიბადნენ, სულ პუტინები ცხოვრობდნენ. ახალგაზრდები ქალაქში იყვნენ წასული, მარტო მოხუცები დარჩნენ. იქ ერთი მღვდელი ცხოვრობდა, პუტინი და თავის გვარზე მონათლა მთელი სოფელი.

**- გიორგი (ოსეფაშვილი) სად გაიცანით?**

- ხომ იცით, ახალი წლის მეორე დღეს წყლით სავსე ჭიქაში ბეჭედს რომ აგდებენ და სარკეში საბედოს ნახულობენ. გიორგი ზუსტად ასეთი ვნახე, სამხედრო ფორმაში, როგორც ამ ფოტოზეა. გაბრაზებულმა დავახეთქე ჭიქა, ეს ვინაამეთქი.

მერე ბედმა მატარა და... ტაშკენტში წავედი.

გოგოები ქარხნის საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდით. ბიჭები მოვიდნენ ერთხელაც ჩვენს გასაცნობად. დავინახე თუ არა გიორგი, ვიცანი. ასე დავრჩით ერთად. აქ რომ ჩამოვედი, სულ სხვა იყო, საქართველოში უკვე ვინღა გამიშვებდა საცეკვაოდ, სასიმღეროდ. ისე, ძალიან მიყვარდა ცეკვა-სიმღერა.

***ამ დროს ვერა პუტინასთან მოდის მეზობლის ქალი, ეზოში საუბრობენ.***



# ფრაგმენტები დოკუმენტური ფილმიდან «პუტინის დედა»






















**ვერა:** არ მინდოდა ჩაგეწერათ ჩვენი საუბარი.

**ავტორი: არც ჩაგვიწერია, შორს ვიყავით, თან ძაღლი ყეფდა.**

**ვერა:** იმ მეზობელმა მითხრა, ჩემი შვილი ექთანია და მინდა, ჰოლანდიაში ვინმესთან ხელი მოაწეროსო. მე ვუთხარი: არაფერი გამოვა, ახლა იქაც გაჭირვებაა, ისევე ცხოვრობენ, როგორც ჩვენ, ეკონომიკა ჩავარდნილია.

***ვერა პუტინა მიმართავს ქალიშვილს: სოფო, მიდი, სურათი მაინც აჩვენე.***

- რომელი?

- ვოვა რომ სულ პატარაა, ოთხნი ხართ ერთად. იმ სურათს შეადარეთ, პრეზიდენტობისას რომ გადაიღო. თვალებიც ისევე უციმციმებს, როგორც ბავშვობაში. ეს სურათი რომ ვნახე, მაშინ უფრო დავრწმუნდი რომ ეგაა.

- ამ ფოტოზე წლინახევრისაა ვოვა, ტირის. დააკვირდით, როგორ ჰგავს, თვალები სულ მაგისია. %აჩვენებს ორივე ფოტოს - ბავშვობის და ახალგაზრდობის).

სოფლის სკოლაში, დარბაზში ბავშვები მღერიან, ცეკვავენ.

**ავტორი: როგორ შეეჩვია ვოვა აქაურობას?**

- პატარა იყო, თანდათან ისწავლა ქართული, მაგრამ მაინც არ მოსწონდა აქაურობა. ღარიბულად ვცხოვრობდით და, ალბათ, ამიტომ არ მოსწონდა. როცა სკოლიდან მოვიდოდა, ბიჭები სათევზაოდ მიდიოდნენ, ჭიდაობდნენ, ცელქობდნენ. 10-11 წლის ბავშვს რა უნდა მოსთხოვო? ჭიდაობისას აუცილებლად უნდა გაემარჯვა, თუ არა და, მაინც მიაღწევდა მიზანს! შეუპოვარი იყო, უნდოდა ყველაზე კარგი ყოფილიყო.

**საუბრობენ მამაკაცები - თანაკლასელები, თანასოფლელები**

**თანაკლასელი:** ვოვას ვეძახდით, პუტინი იყო გვარად. ვერ დავამტკიცებ, ნამდვილად ისაა თუ არა. მე-2 კლასამდე ერთ მერხზე ვისხედით.

- რომელ კლასამდე იყო თქვენთან?

- მე-4 კლასამდე. მერე წავიდა. ჭიდაობაც უყვარდა, ცეკვა-სიმღერაც.

**მეორე თანაკლასელი:** მახსოვს ვოვა. ჩამოშვებული თმებით, გარეგნობით ნამდვილი რუსი იყო; მოგრძო, თხელი სახე ჰქონდა.

***ეკითხებიან პატარა ბიჭებს: რა იცით პუტინის შესახებ?***






















პირადი ანგარიში № 525

ოჯახის უფროსის გვარი, სახელი, მამის სახელი

მეურნეობის საზოგადოებრივი ჯგუფი 1958 წ. 1. I-თვის ... 195 წ. 1. I-თვის ... 195 წ. 1. I-თვის

1. ოჯახის წევრთა სია

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | გვარი, სახელი, მამის სახელი (ჩაიწეროს სრულად) | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 2 | დამოკიდებულება ოჯახის უფროსთან | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 3 | სქესი (მამრობითი, დედრობითი) | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 4 | დაბადების წელი და თვე | 1922 | 1929 | 1950 17/II | 1953 | 1955 24/XII |
| 5 | ეროვნება | ქართველი | რუსი | ქართველი | ქართველი | |
| 6 | წერა-კითხვის ცოდნა | [illegible] | [illegible] | | | |
| 7 | შემდეგი ცვლილებები წერა-კითხვის ცოდნაში | | | | | |
| 8 | მოწაფეების მიმართ აღინიშნოს: სკოლის, სასწავლებლის დასახელება (ტიპი) და რომელ კლასში ან კურსზე სწავლობს — 1958 წ. 1.I-ის | | | [illegible] | | |
| 9 | 1959 წ. 1.I-ის | | | [illegible] | | |
| 10 | 1960 წ. 1.I-ის | | | [illegible] | | |
| 11 | სპეციალობა სოფლის მეურნეობაში და სოფლის მეურნეობის გარეშე | | | | | |
| 12 | მუშაობის ადგილი, თანამდებობის დასახელება და რა დროიდან მუშაობს | [illegible] | | | | |
| 13 | შემდეგი ცვლილებები მუშაობაში — 1959 წელში | [illegible] | | | | |
| 14 | 1960 წელში | [illegible] | | | | |
| 15 | აღინიშნება 1-ლი იანვრის მდგომარეობით დროებით წასული ოჯახის წევრთა შესახებ — 195__ წ. — რა დროიდან არის წასული და წასვლის მიზეზი | | | | | |
| 16 | როდის დაბრუნდა მეურნეობაში | | | | | |
| 17 | 195__ წ. — რა დროიდან არის წასული და წასვლის მიზეზი | | | | | |
| 18 | როდის დაბრუნდა მეურნეობაში | | | | | |
| 19 | 195__ წ. — რა დროიდან არის წასული და წასვლის მიზეზი | | | | | |
| 20 | როდის დაბრუნდა მეურნეობაში | | | | | |
| 21 | აღინიშნოს ოჯახის იმ წევრთა შესახებ, რომლებიც სრულიად გავიდნენ ოჯახის შემადგენლობიდან (აღინიშნოს თვე, წელი და წასვლის მიზეზი) | | | | | |
| 22 | აღინიშნა ინვალიდებისა და პენსიონერების შესახებ — ჩაიწეროს დასახელება და ინვალიდობის ჯგუფი | | | | | |
| 23 | შემდეგი ცვლილებები | | | | | |

ხელისმოწერა 1958 წ. 1.I-თვის — ოჯახის უფროსისა V. Путина — სოფლსაბჭოს მდივნისა ან იმ პირისა, რომელმაც ჩაატარა ჩაწერა ან შემოწმება [illegible]

1954 წ. 24 ივნისს № 296

საკომლო წიგნი № 6

[illegible] სასოფლო საბჭო

1958, 1959, 1960 წ. წ.

Статиздат, зз. 33/61-1019-IV-57 г. т. 5000×100—2500×50—3500×24

1973 г.

ამონაწერები მეტეხელი პუტინების საკომლო წიგნიდან

**ამ ჩანაწერების გაცნობით ერთხელ და სამუდამოდ ვირწმუნებთ, რომ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი პირველი სამი წელი მართლაც საქართველოში, კასპის რაიონის სოფელ მეტეხის საშუალო სკოლაში სწავლობდა.**

და ერთსაც დააკვირდით: წინა გვერდზე წარმოდგენილ საკომლო წიგნში ვლადიმერ პუტინი ქართველად არის რეგისტრირებული!!!

## ფანტასტიკური დოკუმენტები, რომლების საკავშირო КГБ-მ ვერ მოსპო













ამ ადამიანთაგან ბევრი ცოცხალია და პირადად დაგისაბუთებთ, რომ ჩვენ მიერ მოძიებული საბუთები არ ტყუიან.

# „მამულის" კინოდარბაზი

- ვიცი, რომ აყვანილი იყო. სხვისი შვილი იყო და მამინაცვალი სცემდა ხოლმე, ამიტომ გაიქცა.

- ვოვასთან ახლოს ვიყავი. მამამისთან ისე ახლოს არ ვყოფილვარ, როგორც ვოვასთან. რუსი, როგორც სხვა რჯულის ადამიანი, მაინტერესებდა.

- მათ ვოვა ბებიასთან გააგზავნეს, ვერას დედამ, ბებიამ ბავშვი ინტერნატში მიაბარა.

- პუტინი რუსეთის მეფეა!

***მამაკაცები სვამენ პუტინის სადღეგრძელოს.***

**ავტორი: ვოვას და გიორგის, შენს ქმარს, როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ?**

- ისე, რა. მისი შვილი ხომ არ იყო და... გიორგი მუშაობდა და არაფერს მეუბნებოდა. მერე ვთქვი, მინდა რუსეთში წავიყვანო-მეთქი და ხმა არ ამოუღია. მერე ვუთხარი, აღარც მე დავბრუნდები-მეთქი. ეშინოდა, რომ მართლა აღარ დავბრუნდებოდი საქართველოში. რუსეთში მშობლებთან დაბრუნებისთანავე, დეპეშა დამხვდა. გიორგი ჩემს მშობლებს წერდა, - სასწრაფოდ გამოგზავნეთ უკანო. სახლში ორი ქალიშვილი დავტოვე. დედამ მითხრა, შენ წადი, გოგონებს მოუარე და ისინიც აქ წამოიყვანე, ეს ბიჭი კი ჩემთან იქნებაო. აი, ასე იყო. არ ვიცოდი, რა მექნა. აქ რომ ჩამოვედი, უკვე სულ სხვა ცხოვრება იყო.

***ვერა პუტინა მიდის ეკლესიაში, სანთელს ანთებს, მერე - ქმრის საფლავზე გადის და ასუფთავებს.***

**ავტორი: თუ გახსოვთ, რაზე საუბრობდით გაცნობისას?**

- რაზე უნდა გველაპარაკა? სამ დღეში ცოლად წავყევი. მარტო არ მინდა დაბრუნება, აღარც დედა მყავსო. ეჰ, ჭკუა არ მქონდა.

- გიორგიმ იცოდა, შვილი რომ გყავდათ?

- იცოდა! ხშირად მეჩხუბებოდა, არც მე ვიყავი ნაკლები. ასე გავიარეთ მთელი ცხოვრება, ჩხუბში და მაინც ერთად ვიყავით. უჩემოდ ვერაფერს აკეთებდა. მაინც მე ვიყავი მისთვის მთავარი. გავებუტებოდი, ხმას არ ვცემდი. ახლა კი მენანება, მაგრამ... 52 წელია, აქ ვარ. ნეტავ, სულ წავსულიყავი და აქ აღარ დავბრუნებულიყავი. როგორ გავძელი 52 წელი, მეც არ ვიცი. ჯანი კიდევ მაქვს და ვცოცხლობ. ღმერთი მეხმარება.

- სამშობლო, რუსეთი გესიზმრებათ ხოლმე?

- არა, მარტო ვლადიმირს ვხედავ ხოლმე, მეტს არავის. ერთხელ ვნახე სიზმარი: ვლადიმირი მოვიდა. ვეუბნები - რას მებუტები, დამნაშავე არა ვარ-მეთქი. ამ დროს მოვიდა ვიღაცა ქალი და უნდა ვაქეიფოო (ვოვა). ამ დროს გამეღვიძა. ხშირად მესიზმრება, ყოველღამე - არა, მაგრამ ხშირად. ეკლესიაში სანთელს ვანთებ, რომ ხშირად დამესიზმროს.

სადგური, ბაქანთან, სკამზე ზის ვერა პუტინა.

- ვერა დეიდა, თუ გაიხსენებთ პირველად როგორ ჩამოხვედით აქ?

- არასოდეს დამავიწყდება. ღამის პირველი, ორი საათი იყო. ჩემოდნები დავდგი და ვზივარ, არ ვიცი, რა ვქნა. ვიღაც კაცი მოვიდა და მეკითხება: „საიდან და როგორ მოხვდი აქ?" ფეხმძიმედ ვიყავი, დიდი მუცლით. მან თავის სახლში წამიყვანა. დილით მოვიდა მამამთილი, დაიქირავა „ლინეიკა" და წამიყვანა მეტეხში. ამ დროს გიორგი უკვე ჩემს დასახვედრად მოდიოდა, მაგრამ დავასწარი. გიორგიმ მომატყუა, თბილისში დიდი ბინები მაქვსო. მერე ვეღარაფერი ვთქვი, დავიწყეთ სახლის მშენებლობა. არ უნდა ჩამოვსულიყავი. მომატყუა, რომ დიდი ფული ჰქონდა. მოვედი და რა დამხვდა? მიწის იატაკი, შეულესავი კედლები. ძალიან ღარიბები იყვნენ - მამა და დედინაცვალი.

**გლეხები ვაზს სხლავენ, უვლიან, შემდეგ სუფრა იშლება.**

**გლეხები:** მშვიდობიანი წელი ყოფილიყოს, კარგი მოსავალი, სავსე ქვევრი ვუსურვოთ ამ ოჯახს, ბარაქა ამ ოჯახს!

***ვერა პუტინაც სვამს ღვინოს.***

***მღერიან.***

***ბავშვები ქუჩებში დარბიან. წარწერა - სტალინის ქუჩა.***

***ბავშვები საპარიკმახეროში შედიან.***

**პარიკმახერი:** ხშირად ვკრიჭავ „ბოქსს" და „პოლუბოქსს", „ნანეტი" ამ ბავშვებმა არც იციან. ხბოს სასკორეში ეტყობაო, პუტინს ეტყობოდა, რომ ყოჩაღი ბავშვი იყო.

სოფლის შუკა. ქალები სხედან, საუბრობენ.

**სოფლის მცხოვრები:** კარგი ბიჭი იყო ვოვა. სულ ამ კედლის ძირას იჯდა, საწყალი ბიჭი იყო.

- რატომ იყო საწყალი?

- მაშინ იყო, ახლა აღარ არის.

- მამინაცვალი სცემდა, ტყეპავდა. კარებს უკეტავდნენ, სახლში არ უშვებდნენ. რომ შესცივდებოდა, ჩვენთან შემოდიოდა: ლილი ძალო, მიშველე, მცივაო. საცოდავი იყო, საცოდავად გაზრდილი. მამინაცვალი თავის შვილებს არ სცემდა. ვოვას კარგი დედა რომ ჰყოლოდა, არავინ სცემდა!

***ვერა პუტინა მიდის სახლში, ბზა მიაქვს, მერე ისევ - სადგურში.***

**ავტორი: სასაფლაოზე გვითხარით, ვოვა რუსეთში რომ გავამგზავრე, ძალიან დავმწუხრდიო. თუ საუბრობდით ამ თემაზე?**

- არა, არასოდეს მიხსენებია, ჩემს გულში ვინახავდი ყველაფერს. ჩემი ძმები აქ არ ჩამოვიდოდნენ, მამაჩემი ჩემს ნაბიჯს არ ამართლებდა. აქ არ უნდა ვყოფილიყავი, საქართველოში.

***ვერა პუტინა ეზოში საქმიანობს.***

**ავტორი: დედის გარდაცვალება როგორ შეგატყობინეს?**

- დეპეშა მივიღე. არ მიშვებდნენ, მაგრამ ღრიალი, წივილ-კივილი მოვრთე. რომ მივედი, დედა გონებაზე არ იყო, ვეღარც ვოვას შესახებ ვკითხე ვერაფერი. აღარც



## რეჟისორები ინეკე სმიტსი და გიორგი ოვაშვილი





















## ფილმის საგაზეთო ვარიანტზე მუშაობდა ნინო კვიტაშვილი

ნათესავებმა მითხრეს რაიმე. ძველი დრო იყო. ალბათ, ვოვას „კგბ"-ში მიღება უკვე გადაწყვეტილი იყო და არაფრის თქმა არ შეიძლებოდა. დღეს ვლადიმირი ამბობს, ჩემი დედ-მამა გარდაიცვალაო!

***სააღდგომოდ ცხვარს ყიდულობენ 70 ლარად.***

***სააღდგომო კვერცხებს ღებავს ვერა პუტინა.***

**ავტორი: მაშინ, როცა ლუბამ (თქვენმა შვილმა) ვოვა ტელევიზიით იცნო, გიორგი, თქვენი მეუღლე ცოცხალი იყო?**

- კი, მაგრამ არაფერი უთქვამს. ერთხელ გაზეთში ფოტო ვნახეთ, ჩემმა ქმარმა მითხრა, - ვერ ხედავ, როგორ გვგავსო?! გიორგი ეჭვიანი იყო.

გიორგი ოსეფაშვილის საფლავზე გადიან.

**ვერას ერთ-ერთი ქალიშვილი:** როცა მამა მოკვდა, მკითხეს, რომელი სასაფლაო გინდათო. დედაჩემს ადგილი არ მოეწონა, ჩემს დას, მარინეს უთხრა: აქაც ქალები უყვარდა და საფლავიც ქალების გვერდით მოგინახავთო.

***სასაფლაო, სოფლის მცხოვრებნი სვამენ წინაპრების სადღეგრძელოს.***

- გაუმარჯოს სტალინს, რომელმაც მსოფლიოს თავისი ფრთები გადააფარა. დიდია ჩვენი საქართველო.

**ვერა პუტინა:** კასპიც და გორიც სტალინის სამშობლოა. ამიტომ ჰქვია ჩვენს ქუჩას სტალინის სახელი. რუსეთში ხალხი ამბობს, პატარა სტალინი მოვიდაო. მეამაყება, რომ ჩემი შვილია. ისეთი ბიჭი გახდა, ყველას უყვარს.

***ეკლესიაში ცხვარი მიჰყავთ შესაწირად.***

**ვერა პუტინა:** ცხვარი გვინდა შევწიროთ, ეკლესიასთან დავკლათ.

**მღვდელი:** წარმართი მღვდელი ხომ არა ვარ, არ შეიძლება ეკლესიის ეზოში დაკვლა. ამათ არ იციან, რა არის ქრისტიანობა. ძველად კომუნისტები ეკლესიებს ანგრევდნენ, მღვდ-ლებს კლავდნენ.

***ეკლესიაში წირვა-ლოცვაა, ვერაც სანთელს ანთებს.***

**ვერა:** ორი კვირისაც არ იყო ვოვა, როცა ეკლესიაში მოვნათლეთ. ვიცი, რომ იგი ჯვარს ატარებს, რომელზეც ამბობს, - ჩვენს სახლში ხანძარი გაჩნდა, ყველაფერი დაიწვა და მხოლოდ ეს ჯვარი გადარჩაო. ეს ჯვარი, ვფიქრობ, დედაჩემმა ჩამოჰკიდა, როცა სახლიდან მიდიოდა.

**- ხშირად ამბობთ, ჩემი ბედი ღმერთის ხელშიაო. ეთანხმებით ამ ბედს? თუ ღმერთს თხოვთ, სხვა ბედი მოეცა თქვენთვის?**

- მაინც ყველაფერი ისე იქნებოდა, როგორც მოხდა. თუ ბედი გამიღიმებს და ჩემს შვილს ვნახავ, ბედნიერი ვიქნები. სხვა არაფერი მინდა. მალე მოვკვდები, სიკვდილი უკან დამდევს.

***თანასოფლელები ცეკვავენ, ლხინია. ცეკვავს ვერა პუტინაც.***

***ისევ სადგური.***

**ვერა პუტინა:** დედაჩემმა ბავშვზე მითხრა, ჩემთან უნდა ცხოვრობდესო, ამის შემდეგ მისი ბედი არ ვიცი. დედაჩემს უნდა გავეფრთხილებინე, ხომ იცოდა, რომ აქ ვცხოვრობდი, უნდა ეთქვა, ვოვა სად იყო... თუ საჭირო იყო, სულ არ გამოვჩნდებოდი. მე ხომ არ ვიცოდი, რომ ასეთი კაცი გამოვიდოდა?! რომ დავინახე, სიხარულით ლამის გავგიჟდი და არ გამემხილა? ეს ჩემი შეცდომა იყო და, ალბათ, ნაწყენია ჩემზე. ამიტომ ვტირივარ სულ, მენანება... ეჰ, ბედი რასაც მოგცემს, ისე იქნება ყველაფერი.

***მთელი ოჯახი იღებს ფოტოსურათს. ეკრანზე ჩნდება დასასრულის მაუწყებლის ტიტრები. აპარატი ჩაჩხაკუნდა. 50-წუთიანი დოკუმენტური ფილმის მონაწილენი იშლებიან.***











დასასრული

გამომცემლობა „ქურიერ-ლაიფი“ იწვევს სამსახურში




# ბრუკლინის მთავარი ცნობარი

24 SEVEN

WHERE TO GO, WHAT TO DO...ARTS, DINING AND ENTERTAINMENT

## ფილმი ◆ მუსიკა ◆ გამოფენა ◆ გართობა

გამოსაწერად ან რეკლამის განსათავსებლად მოგვმართეთ:

718-615-2500 ◆ sales@courierlife.net

BAY NEWS · Kings Courier · Bay Ridge Courier · flatbush life · Canarsie Digest · the brooklyn GRAPHIC

park slope COURIER · Brooklyn Heights COURIER · Carroll Gardens/Cobble Hill COURIER · Fort Greene Clinton Hill Courier · Harbor Watch · Brooklyn's Progress

COURIER HOMES · Brooklyn Chinese Monthly · Russian Weeklies · Caribbean Life · PROMtime · Brooklyn & Queens family

GŁOS The VOICE · COURIER CLASSIFIED · WEDDING GUIDE · Bar/Bat Mitzvah Guide · East Brooklyn Courier · STAR REPORTER Staten Island Group

PUGATCH
Realty Corp

არავინ აკეთებს ჩვენზე უკეთ!

ჩვენ ვზრუნავთ!

ესტუმრეთ ჩვენს ვებ-გვერდს:
www.pugatch.com



დიდებული 5 წლის აგურის კოლონიური პროექტის სახლს, დრამატული შესასვლელით, მარმარილოს იატაკით; სამზარეულოს ქვის იატაკითა და გრანიტით მოპირკეთებული ავეჯით; მთავარი დიდი საძინებელი ოთახი ქალისა და მამაკაცის სრული სიდიდის გამოსაცვლელი ოთახებითა და ჭერამოჭრილი აბაზანით ჯაკუზითა და შხაპით, 4 რიგითი საძინებელი ოთახით.

დაურეკეთ სუსან პუგაჩს, სახლის პირადად დათვალიერებისათვის და სხვა არჩევანის გასაცნობად, რომელიც ამ სააგენტოს გააჩნია.



950 Broadway, Woodmere, NY
516-295-3000



სიახლე!

გსურთ გაილამაზოთ ოჯახური წვეულება, დღეობა ან ქორწილი ქართული ხალხური ცეკვებით?



1 (718) 668-1086

## მანუჩარ კაჭახიძე

# [illegible]

დასაწყისი მესამე გვერდზე

არ მოეშვა „აბეზარი“ მასპინძელი, შვილის წერილი შეაჩეჩა ხელში.

„როგორაა ჩემი ბიჭიო“, - შეეკითხა.

„წერილში წერია, დედიო“, - უპასუხნია სტუმარს.

თვალებს არ უჯერებდა წერილის წამკითხავი დედა, ვაჟი კი ფიქრობდა: „ნეტა მიწა გამისკდებოდეს და შიგ ჩამიტანდესო”.

„ხომ არ შეშლილა ჭკუიდანო, ენა როგორ მოუბრუნდა ამეების საწერადო“ - იკითხა სახეშეშლილმა ქალმა. „ხომ ტყუილია, რასაც წერსო“, - არ მოეშვა სტუმარს.

„ჩემი ხელით დავხვრიტეო“, - უპასუხნია ჯარისკაცს, რომ დაეოკებინა ყელში მობჯენილი სინდისის ცრემლი.

დედა ადგილზევე გაშეშებულა.

„რომ არ დამეხვრიტა, მეც დამხვრიტავდნენო“, - უმართლებია თავი „თოფიან კაცს“.

„სხვა ვერავინ ნახეს, ბავშვი რომ არ ექციათ მკვლელადო“, - თავისთვის ჩაუბურტყუნებია დედას, სიზმარში ეგონა რა თავი.

„ეს წერილი ჩუმად გადმომცა, როცა დასახვრეტად მიგვყავდა, დედაჩემს გადაეცი, თუ მოგიწიოს ჩვენსკენ წასვლაო“, - და გადმოხეთქა ბავშვის თვალთაგან ცრემლების ნიაღვარმა.

მან კი იმ ღამით ფეხები დაუთბილა, ცხელი ჩაი დაალევინა და თბილ ლოგინში ჩააწვინა სტუმარი. ღამით მძინარეს ხშირ ქოჩორზე უსვამდა ხელს და ტიროდა.

ძილში ბოდავდა ბავშვი:

„ნუ, დედი, ნუ... მე ვარ შენი შვილის მკვლელიო“.

„მომკალი, გამლანძღე, გამათახსირე, ოღონდ ასე გულმოდგინედ ნუ მეალერსებიო“ - ზლუქუნებდა ბიჭი.

„შენი ბრალი არაა, რომ არ ებრძანებინათ, ხომ არ მოკლავდიო... კიდევ კარგი რომ მოკალიო, თორემ ერთით მეტი ქართველი მოუკვდებოდაო დედამისს“.

დილით ისევ ასაუზმა და მშვიდობით გაისტუმრა შვილის მეგობარი.

* * *

არ შეუცხადებია, როგორც ეს იციან ხოლმე, არც გვამი მისვლია შვილის. მას არ ჯეროდა და არც უნდოდა დაეჯერებინა სიკვდილის. ცოცხალი ეგონა მისი პირმშო. მაინც უკვირდა, რამ დააწერინა ეს წერილიო - დღედღეზე ელოდა მას. ძლიერ რომ მოენატრა, მაშინ შეიცხადა მხოლოდ. მეზობლები გაკვირვებულები იყვნენ:

„რატომ დამალა დედამ შვილის სიკვდილიო“...

ბავშვები უაზროდ უყურებდნენ თავიანთი დედების და მეზობელი ქალების ფუსფუსს და არ იცოდნენ რა მოხდა.

პანაშვიდისმაგვარი გაიმართა იმ საღამოს. ჩაბნელებულ ოთახში მხოლოდ ერთადერთი კელაპტარი ენთო. შვილის სურათს მიჯდომოდა დედა და უხმოდ ტიროდა. წერილი წინ ედო. ვერავინ ბედავდა დედასთვის სამძიმარი ეთქვა, მისვლასაც კი ვერ ბედავდნენ.

მხოლოდ ერთი ახალგაზრდა ქალი მოვიდა პანაშვიდზე. მისმა თვალებმა თითქოს გაანათა იქაურობა. შავები ეცვა მას, ცრემლები დიოდა და სუნთქვა ეკვროდა სიმწრისგან (როგორი ლამაზი იყო ცრემლები მის თვალებზე), დაიჩოქა სურათთან და საშინლად შეჰკივლა, თვალებზე აიფარა ხელები და აზლუქუნდა.

მხოლოდ მაშინ დაირღვა შემზარავი დუმილი.

* * *

ამ წერილის დუღილში ცხოვრობს ალბათ ის სული, რომელიც დღეს მოევლინა „შვილს“. მაინც არ დამალა თავი. მთელი ცხოვრება ერთმანეთის ძიებაში გაატარეს მამა-შვილმა, მაინც იპოვეს ერთმანეთი.

ბიჭი თვალებს არ უჯერებდა.

კიდევ ერთხელ წაიკითხა წერილი.

აუფორიაქდა სული.

ახალნაწვიმარზე ამოსული სოკოსავით სულის ღრუბლებიდან გადმომსკდარი ცრემლები გადმოღვარა ბიჭმა.

„აი, ბებიას საიდუმლოო!“ - თქვა მან.

მერე ღიმილი მოეფინა სახეზე. ნაწერები თავის ადგილას შეინახა.

მალე ბებიაც მოვიდა.

მე-6 გვერდიდან

## ედუარდ შევარდნაძე: ჟვანია პრეზიდენტად მინდოდა!

ნი ყოფილა. უკითხავს: თქვენ ამ პროექტებს რამე ეჭვქვეშ ხომ არ აყენებთო?! ჟვანიას უთქვამს: პირადად მე მიმაჩნია, რომ ეს დიდი შენაძენია საქართველოსთვის, თუმცა, აზრთა სხვადასხვაობა ნამდვილად არსებობსო...

**- ზურაბ ჟვანია ამერიკაში ვიზიტით კმაყოფილი ჩანდა?**

- მგონი, - კი. მითხრა: კარგი შეხვედრები შედგა. არავითარი გაუგებრობა არ არსებობს, თუმცა, ჩვენგან აქტიურ მოქმედებას მოითხოვენო.

**- ბოლოს როდის ესაუბრეთ ბატონ ზურაბს?**

- ალბათ, მეუღლე რომ გარდამეცვალა. ზურაბი და ნინო ორჯერ მოვიდნენ. ვისაუბრეთ, მაგრამ არა - პოლიტიკაზე.

**- პრეზიდენტობის ვადა რომ ამოგეწურათ და რევოლუციის გზით არ წასულიყავით თანამდებობიდან, დაასახელებდით თუ არა ჟვანიას თქვენს მემკვიდრედ?**

- შეიძლება, ბოლო დღეებში ეს საჯაროდ მეთქვა, რადგან ძალიან ვიწრო წრეში ამაზე ხშირად ვსაუბრობდი.

**- ესე იგი, თქვენ ღირსეულ მემკვიდრედ ზურაბ ჟვანია მიგაჩნდათ?**

- თავიდან ასე იყო, მაგრამ ახლა მიშაა პრეზიდენტი და ის მიმაჩნია... *(იცინის).*

**- თქვენ რომ ყოფილიყავით პრეზიდენტი და ჟვანია - თქვენი მთავრობის ხელმძღვანელი, როგორ ფიქრობთ, იგი კონსპირაციულ ბინაში „გაზით გაიგუდებოდა“?**

- შეიძლება სულ სხვაგვარად განვითარებულიყო მოვლენები. პრეზიდენტი რომ ვყოფილიყავი, ჩვენ ისეთი ურთიერთობა გვქონდა, ზურა აუცილებლად მეტყოდა, რომ კონსპირაციულ ბინაში მიდიოდა შეხვედრაზე. ეს არ არის ჩვეულებრივი მოვლენა. მე ვეცდებოდი, გადაწყვეტილება შემეცვლევინებინა... მოკლედ, ამ საქმეს ასე ჰაიჰარად ვერავინ გახსნის. ამას 24-საათიანი მკლავებდაკაპიწებული მუშაობა სჭირდება. თუკი რამე სიგნალი გაჩნდა, ყველაფერი უნდა შემოწმდეს და საზოგადოებას მიეწოდოს ინფორმაცია.

**- როგორ უნდა მოიქცეს ქვეყნის პირველი პირი, რომ ჟვანიას მკვლელობის თუ უბედური შემთხვევის საქმეს ნათელი მოეფინოს? საერთოდ, რა შეცდომები დაუშვა ხელისუფლებამ თუ გამოძიებამ?**

- სააკაშვილმა მეტი აქტიურობა უნდა მოსთხოვოს იმ ორგანოებს, რომლებიც ჟვანიას საქმეზე მუშაობენ. ხელისუფლების მთავარი შეცდომა მაინც ის იყო, რომ პირველადი განცხადება იყო დაუზუსტებელი და როდესაც ასეთ ინფორმაციას შს მინისტრი აჟღერებს, ეს შეცდომა კი არა, დანაშაულია. თუ ჟვანიას საქმესთან დაკავშირებით დაუზუსტებელი განცხადებები გაკეთდება, ეს დანაშაულის ტოლფასია.

**- გჯერათ, რომ ჟვანიას მკვლელობის საქმე გაიხსნება?**

- უნდა გაიხსნას! საქართველოს არ აქვს უფლება, ჟვანიას საქმე გაუხსნელი დატოვოს. უნდა დადგინდეს ყველაფერი. შეიძლება სიმართლის დასადგენად ხელმეორედ ჩატარდეს ექსპერტიზა, არც ეს არის გასაკვირი... ამიტომაც მეტი აქტიურობაა საჭირო. საზოგადოებასაც დროულად უნდა მიეწოდოს ინფორმაცია, თორემ ათასგვარი ეჭვი ჩნდება. შესაძლოა, ვიღაცა ფიქრობს: შევარდნაძემ მოაკვლევინაო ჟვანია... ვიღაცა იტყვის - ზურაბი საააკაშვილმა მოიცილაო... ეს ყველაფერი რომ გამოირიცხოს, ობიექტური გამოძიება უნდა ჩატარდეს... დავუშვათ, თუ მე ვარ ეჭვმიტანილი, უნდა შემოწმდეს ყველაფერი, თუნდაც ის, სად ვიყავი იმ დღეს...

ესაუბრა
**მაია მარგველანი**



ასოციაცია
თვისტომი
და
წმიდა ნინოს სახელობის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის სამრევლო საბჭო

**გიწვევთ**

# მარიამობა ამერიკაში

კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ამერიკაში მცხოვრები ქართველი ხელოვანები და ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი “ფრესკა”,
თქვენ გელით მრავალი სასიამოვნო სიურპრიზი და შეხვედრა თქვენთვის საინტერესო ადამიანებთან.
კონცერტი საქველმოქმედოა და შემოსული თანხა მთლიანად გადაირიცხება ეკლესიის ფონდში.

28 აგვისტოს, მარიამობას,
დღის 4 საათზე, რესტორან „ნაციონალში“
273 Brighton Beach ave, Brooklyn, NY

გთხოვთ მობრძანდეთ!

თქვენი მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია!

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
თინიკო ყენია: 347-528-0037
მანანა ჩიტაური: 646-872-0220
„თვისტომი“: 718-263-5325





# ქვირფასო თანამემამულენო!

გაიხსნა ახალი **ქართული სამედიცინო ოფისი ბრუკლინში,** სადაც ხორციელდება სრული სამედიცინო გამოკვლევა უახლესი აპარატურით!

გამოკვლევები ხორციელდება უახლესი დიაგნოსტიკური აპარატურითა და მეთოდებით, მაგნიტორეზონანსული, რადიოიზოტოპური და ულტრაბგერითი აპარატურის გამოყენებით, ამასთანავე ჩაგიტარებთ სისხლისა და შარდის სრულ ლაბორატორიულ ანალიზებს, კომპიუტერულ ტომოგრაფიას, უფასო მამოგრაფიას (მკერდის გამოკვლევა) ძვლების სიმყიფის განსაზღვრას.

სამედიცინო ჯგუფში გაერთიანებული არიან სხვადასხვა პროფილის მაღალკვალიფიცირებული ქართველი და ამერიკელი ექიმები რომლებიც წლების განმავლობაში მუშაობენ აშშ-ს სხვადასხვა კლინიკებში და დღეს თქვენს სამსახურში არიან!

ჩვენი თანამემამულეთათვის ფასები მაქსიმალურად დაბალია. მათთვის, ვისაც სამედიცინო დაზღვევა არა აქვს, გამოკვლევები ჩაუტარდებათ **60-70 %** -იანი ფასდაკლებით!!!

**ჩვენი ფასები ყველაზე დაბალია!!!**

**718-263-5323** მილება წინასწარი ჩაწერით

2 ვესტ ენდ ავენიუ, ბრუკლინი, მანჰეტენ ბიჩი
(არხთან და ბრაიტონთან ახლოს), აპარტმენტი №3


## მილოცვები

დაბადების დღეს ვულოცავთ გაზეთ „მამულის“ თანამშრომელს, შესანიშნავ ქართველს, ქალბატონ **გიული წერეთელს**. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს და იმის ნებას, რომ სამშობლოში დაბრუნდეს, საკუთარ ოჯახში, და საკუთარ სადამრიგებლო კლასშიც.

მეგობრები საყვარელ **ირინა გონგაძეს** ვულოცავთ შვილიშვილის - პატარა საბას დაბადებას, ახალშობილს კი ბედნიერ და ჯანმრთელ მომავალს ვუსურვებთ.

## განცხადებები

ვამზადებ ინგლისურში ნებისმიერი ასაკისა და დონის მსურველებს. ცნობებისათვის დარეკეთ: **718-784-6627** ლელა

გაზეთ „მამულის“ რედაქცია აცხადებს მოძიებას ამერიკაში მოღვაწე ქართველ ადვოკატებზე. დარეკეთ რედაქციაში, **347-724-0770**

იყიდება ვაჟა-ფშაველას ძეგლთან მშენებარე 11 სართულიან სახლში (უკვე 9 სართულია ამოყვანილი და ბინა ოქტომბერში ბარდება) დუპლექსი, შეიძლება გაიყიდოს ცალ-ცალკეც (თითოეულის ფართი 130 კვადრატული მეტრი). კვადრატული მეტრის ფასი: შავი კარკასით 400$, თეთრი კარკასით 450$
დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ:
თბილისში (32)23-88-98; (99)51-40-01; აშშ-ში (848)448-4374

## მადლობა

ჩვენი გაზეთის ერთგულ მეგობრებს **მზია მშვენიერაძესა** და **ჯულიეტა წამალაშვილს** უღიდეს მადლობას მოვახსენებთ გაწეული მხარდაჭერისათვის და დახმარებისათვის.

**დღეიდან ჩვენი გაზეთი 28 გვერდიანია,**
**მომავალი ნომერი გამოვა 20 აგვისტოს**


კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი



# გასტროლი ნიუ იორკში

კვირა,
18 სექტემბერი,
დღის 2 საათზე

იასმინა რიზა
**ხელოვნება**
ერთმოქმედებიანი პიესა

რეჟისორი თემურ ჩხეიძე
გადმოაქართულა თამაზ გოდერძიშვილმა
მხატვარი იური გეგეშიძე
კომპოზიტორი გივი გეგეშიძე
რეჟ-ის თანაშემწე მარინა ამაღლობელი

მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:

მამია – ზურა ყიფშიძე
სერგო – მიშა გომიაშვილი
ივანე – ალეკო მახარობლიშვილი

**თეატრი „მილენიუმი“**
1029 Brighton beach ave, Brooklyn, NY
ბილეთები შეგიძლიათ შეიძინოთ: www.russianny.com
ტელეფონები: 718-615-9500, 347-451-9435

„მამულის“ ფილადელფიაში მცხოვრებ მკითხველთა

# საყურადღებოდ

მომავალი ნომრიდან გაზეთ „მამულის“ ყიდვა შეგეძლებათ მხოლოდ ქართულ მაღაზიაში „მამული“ შემდეგ მისამართზე:

**Inside Grant Plaza**
1619 Grant Ave, Store 16,
Philadelphia, PA 19105

(215) 673-0778

# იყიდება

თბილისში, ამერიკული პროექტით მრავალსართულიანი სახლის მშენებლობა ამერიკაში მცხოვრები ქართველებისათვის.

კოოპერატივში გაერთიანებისათვის პირველი შესატანია 30 ათასი დოლარი, შემდეგში უოველთვიური უპროცენტო გადასახადით.



(267) 474-9273
(267) 474-9318

ექსკურსია

# ვაშინგტონში









– გთავაზობთ სატრანსპორტო და საექსკურსიო მომსახურეობას შეერთებული შტატების დედაქალაქში 4-კაციანი ჯგუფებისათვის;

– მგზავრთა გადაყვანა ხდება ჯიპის მარკის ავტომანქანებით;

– მგზავრებს მოემსახურებათ თარჯიმანი და ფოტო-კორესპონდენტი;

– ექსკურსია ერთდღიანია და ამ პერიოდში თქვენ შეგეძლებათ ისეირნოთ ვაშინგტონის ქუჩებში, დაათვალიეროთ ლინკოლნის მემორიალი, ვაშინგტონის მონუმენტი, მეორე მსოფლიო ომის ახალგახსნილი მემორიალი, ჯეფერსონის მემორიალი, გარედან ნახოთ თეთრი სახლი, კაპიტოლიუმის შენობა (11 სექტემბრის შემდეგ თეთრ სახლში ტურისტების შესვლა აკრძალულია).

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: 347-724-0770





# გამოიწერეთ

# მამული

**სურვილი მაქვს გამოვიწერო გაზეთის:**

- ☐ 12 ნომერი საერთო ღირებულებით 20 დოლარი
- ☐ 12 ნომერი ევროპაში 40 დოლარი

______________________________
(სახელი და გვარი ბეჭდური ასოებით)

______________________________
(ქუჩის დასახელება, აპარტამენტის N)

______________________________
(ქალაქი ZIP-CODE და ტელეფონი)

ჩეკი ან მანი ორდერები **M. KATCHAKHIDZE Co** სახელზე გაფორმებული უნდა გამოაგზავნოთ შემდეგ მისამართზე:

P.O. BOX 13121, JERSEY CITY, NJ 07303

მისამართის შეცვლის შემთხვევაში საჭიროა უზრალოდ დაგვიკავშირდეთ რედაქციის ტელეფონზე 1-347-724-0770 და გვაცნობოთ, რათა შევძლოთ თქვენი გაზეთის შეყოვნება ან გადამისამართება.

15

MAMULI მამული МАМУЛИ

რედაქტორ-გამომცემელი
მანუჩარ კაჭახიძე

Editor & Publisher
Manuchar KATCHAKHIDZE

ეკა მაისურაძე, ნინო ხაბელაშვილი (რედ. გერმანიაში), ქეთი ყარალაშვილი, გიორგი ბაქრაძე (რედ. კანადაში).

**EKA MAISURADZE, NINO KHABELASHVILI** (Editor in Germany), **KATE KARALASHVILI, GEORGE BAKRADZE** (Editor in Canada).

P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07109
Phone: 347-724-0770
mamuli@comcast.net

მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ. რედაქციას უფლება აქვს უარი განაცხადოს მასალის დაბეჭდვაზე ყოველგვარი კომენტარის გარეშე.

ჩვენი პარტნიორი:
ასავალ დასავალი

www.open.ge/mamuli

# იჩქარეთ, გამოიწერეთ «მამული»

ჩვენ უამრავ სიურპრიზს, საინტერესო საგაზეთო სერიალებს გპირდებით

# საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, ქართველმა ერმა მე–19 საუკუნეში დაკარგა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმების შედეგად. ქართველი ხალხი არასოდეს შეჰგუებია თავისუფლების დაკარგვას. 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღდგა საქართველოს გაუქმებული სახელმწიფოებრიობა. შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მრავალპარტიულობის საფუძველზე არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებითა და კონსტიტუციით.

1921 წლის თებერვალ–მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია საქართველო–რუსეთის 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა თავის მიერვე ცნობილი საქართველოს სახელმწიფოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია.

საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნებაყოფლობით არ შესულა, ხოლო მისი სახელმწიფოებრიობა დღესაც არსებობს, დამოუკიდებლობის აქტი და კონსტიტუცია დღესაც იურიდიული ძალის მქონეა, ვინაიდან დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია და განაგრძობდა მოღვაწეობას ემიგრაციაში.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით, რისი უკანასკნელი გამოვლინებაც იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. ფარული ომი საქართველოს წინააღმდეგ დღესაც გრძელდება. მისი მიზანია დააბრკოლოს საქართველოს სწრაფვა თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ.

1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, ადგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე.

საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია. მის ტერიტორიაზე უზენაესია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და ხელისუფლება. ყოველი მოქმედება, მიმართული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობის შეზღუდვის ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ჩაითვლება სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად და აგრესიად, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად.

საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის ერთ–ერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად.

საქართველოს რესპუბლიკა, ისწრაფვის რა დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აღიარებს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების ყველა ძირითად უფლებასა და თავისუფლებას, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტები და კონვენციები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ მტკიცედ დაიცავს სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა სრულად შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, ჰელსინკისა და ვენის აქტებს, რომლებიც აღიარებენ და განამტკიცებენ ყველა ხალხის უფლებას დამოუკიდებლად განაგოს თავისი ქვეყნის პოლიტიკური ბედი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იმედოვნებს, რომ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა არ დარჩება გულგრილი ქართველი ხალხის კანონიერი და სამართლიანი ნაბიჯისადმი და აღიარებს საქართველოს აღორძინებულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, რაც საქართველოს უშიშროების ერთ–ერთი ყველაზე მტკიცე გარანტია იქნება.

თბილისი, მთავრობის სასახლე,
1991 წლის 9 აპრილი, 12 საათი და 30 წუთი.

